

PIRLS 20
წლისა



PIRLS


2021

PIRLS 2021



წიგნიერების
საერთაშორისო კვლევის
შედეგები საქართველოში

შეფასებისა და გამოცდების
ცენტრი (NAEC) - 2023



წიგნიერების საერთაშორისო კვლევის შედეგები საქართველოში

PIRLS-ი (Progress in International Reading Literacy Study) მეოთხეკლასელი მოსწავლეების წიგნიერების საერთაშორისო შედარებითი, განმეორებითი კვლევაა, რომელსაც საგანმანათლებლო მიღწევების შეფასების საერთაშორისო ასოციაცია (IEA) 2001 წლიდან ატარებს. საქართველომ ბოლო ოთხ ციკლში მიიღო მონაწილეობა 2006, 2011, 2016 და 2021 წლებში. საქართველოში წიგნიერების საერთაშორისო კვლევას შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის კვლევის ჯგუფი უძღვება.

ანგარიში მოამზადეს: გიორგი რატიანმა და ზაქარია გიუნაშვილმა

ენობრივი რედაქტორი: თეა დულარიძე

კვლევის კოორდინატორი: ირინე სამსონია

მონაცემთა ბაზის მენეჯერი: ანა კამლაძე

მადლობას ვუხდით ყველა იმ ადამიანს, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი

საქართველოში PIRLS-ის 2021 წლის ციკლის წარმატებით ჩატარებაში, მათ შორის:

- კვლევის ჯგუფის თითოეულ თანამშრომელს;
- ლოჯისტიკის დეპარტამენტს კვლევის ორგანიზებაში გაწეული დახმარებისათვის;
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას (EMIS);
- კვლევაში ჩართული სკოლების თანამშრომლებს კვლევის ყველა საერთაშორისო სტანდარტის დაცვით ჩატარებისათვის;
- კვლევაში მონაწილე ყველა მოსწავლეს ტესტურ დავალებებზე გულისხმიერი და თავდაუზოგავი მუშაობისათვის.

შინაარსი

წინასიტყვაობა	4
ვინ ფასდება?	8
რა ფასდება?	8
რატომ არის მნიშვნელოვანი PIRLS-ში მონაწილეობა?	9
ძირითადი მიგნებები	10
Main Findings	12
საქართველოს მიღწევები წიგნიერებაში და საერთაშორისო კონტექსტი	14
მხატვრული და საინფორმაციო ტექსტების გააზრება	16
წაკითხულის გააზრების პროცესები	17
მიღწევის საერთაშორისო დონეები	19
თავი 2 - სახლი და ოჯახი	21
სახლისა და ოჯახის კონტექსტი	21
სასწავლო გარემო ოჯახში	21
ოჯახის საგანმანათლებლო რესურსი	21
მშობლების დამოკიდებულება კითხვისადმი	24
სასაუბრო ენა ოჯახში	26
ოჯახის აქცენტი წიგნიერებაზე	28
წიგნიერებასთან დაკავშირებული ადრეული აქტივობები	28
სკოლამდელი განათლება	28
სკოლაში სწავლის დაწყებისას წიგნიერებასთან დაკავშირებული დავალებების შესრულება	29
მშობლის მოლოდინი შვილის განათლებისადმი	31
ოჯახის ფაქტორები ქალაქსა და სოფელში	33
თავი 3 - სკოლა	34
სკოლის კონტექსტი	34
სასკოლო რესურსი	34
სკოლის ადგილმდებარეობა, ტიპი, ზომა და შემადგენლობა	34
დისციპლინა და უსაფრთხოება სკოლაში	38
დისციპლინა სკოლაში	38
უსაფრთხო და მოწესრიგებული სკოლა	40
ბუღინგი სკოლაში	41



სასკოლო კლიმატი.....	43
მშობლის დამოკიდებულება საკუთარი შვილის სკოლისადმი	43
სკოლის აქცენტი აკადემიურ მიღწევებზე	44
თავი 4 - კლასი და მასწავლებელი.....	48
კლასის კონტექსტი.....	48
მასწავლებლის პროფილი	48
მასწავლებლის განათლება	48
მასწავლებლის გამოცდილება	49
მასწავლებლის პროფესიული და სამსახურებრივი კმაყოფილება	50
მასწავლებელთა პროფესიული განვითარება.....	56
აკადემიური წარმატების მნიშვნელობა სკოლაში.....	59
მოსწავლის ჩართულობა კითხვის გაკვეთილებზე.....	61
წაკითხულის გააზრების უნარისა და კითხვის სტრატეგიების განვითარებისადმი ხელშეწყობა მასწავლებლის მიერ.....	64
მასწავლებლის მიერ ციფრული რესურსების გამოყენება კლასში.....	71
კლასის ორგანიზების ფორმები. ინდივიდუალური და დიფერენცირებული სწავლების მიდგომები	73
მოსწავლის წაკითხულის გააზრების უნარებისა და სტრატეგიების განვითარება	76
საშინაო დავალებები	78
კითხვის უნარის შეფასების ხერხები და სტრატეგიები.....	79
თავი 5 - მოსწავლის მახასიათებლები	82
მოსწავლის მახასიათებლები	82
მოსწავლის კითხვისადმი დამოკიდებულება.....	82
მოსწავლის სქესი.....	87
მოსწავლის ასაკი.....	88
ეროვნული კონტექსტი	89
მიღწევის საფეხურები.....	92
წიგნიერების ქულაზე მოქმედი ფაქტორები და განსხვავება სკოლებს შორის.....	94
პანდემიის მიმდინარეობა	97
ტექსტები და დავალებების ნიმუშები	100
დანართები	113
ლიტერატურა.....	136



წინასიტყვაობა

„PIRLS-ის მიზანია შეაფასოს მეოთხეკლასელი მოსწავლეების კითხვის უნარები. თითოეულ მონაწილე მოსწავლეს ეძლევა ორი ტექსტი წასაკითხად და მათ გარშემო დასმული კითხვები პასუხგასაცემად. ტექსტები ისეა შერჩეული, რომ შეფასდეს კითხვის ძირითადი მიზნები, როგორებიცაა **კითხვა სიამოვნებისთვის**, რაც საშუალებას გვაძლევს განვიცადოთ და აღვიქვათ სხვადასხვა სამყარო და კულტურა ((მაგ. ფიქცია), და **კითხვა შემეცნებისთვის**, რაც საშუალებას გვაძლევს გავეცნოთ, გავიაზროთ და გამოვიყენოთ ახალი ინფორმაცია (მაგ. საინფორმაციო ტექსტი). PIRLS -ის კონცეფციის მიხედვით კითხვის უნარი მოიცავს წერილობითი ტექსტებისა და ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს გააზრების და გამოყენების კომპეტენციას და წარმოადგენს როგორც ინდივიდუალური, ასევე საზოგადოებრივი მიზნების მიღწევის აუცილებელ ინსტრუმენტს (PIRLS 2021 Reading Assessment Framework, **Ina V.S. Mullis and Michael O. Martin**).

კითხვის უნარების განვითარება ადრეული ასაკიდან იწყება და PIRLS-ის კვლევის საერთაშორისო ანგარიშების მიხედვით ძირითადად მოსწავლის ოჯახის და სასკოლო ფაქტორებს უკავშირდება. კერძოდ, PIRLS-ი მოსწავლეების, მათი მშობლების, მასწავლებლების, და დირექტორების მიერ შევსებული კითხვარების მეშვეობით ასევე იკვლევს მოსწავლის საგანმანათლებლო რესურსებს სახლში, მისი მშობლების დამოკიდებულებას კითხვისადმი, მოსწავლის ჩართულობას ადრეული ასაკიდან წიგნიერებასთან დაკავშირებულ აქტივობებში; ასევე იმ გარემოს, რომელშიც მოსწავლეს უყალიბდება კითხვისადმი დამოკიდებულება. კითხვისადმი დადებითი დამოკიდებულება უკავშირდება მოსწავლის თავდაჯერებულობას კითხვის დროს, რაც დადებითად აისახება მის მომავალ მიღწევებზე (Noble and Holt 2018; Katzir, Lesaux, and Kim 2009). მოსწავლის თავდაჯერებულობა, როგორც ფაქტორი, საქართველოშიც დიდწილად განაპირობებს მოსწავლის მაღალ მიღწევებს წიგნიერებაში. თუ მოსწავლე ხშირად კითხულობს და კითხვა მას სიამოვნებას ანიჭებს, მას წიგნიერებაში უკეთესი მიღწევები აქვს (Young People’s Reading and Writing, Clark 2011; Clark and Douglas 2011). თუმცა ბოლო პერიოდის კვლევები და მათ შორის PIRLS-ის კვლევაც აჩვენებს, რომ მსოფლიოში მცირდება იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც გართობის მიზნით კითხულობენ (National Literacy Trust (NLT) for World Book Day (WBD); Nielsen Book 'Understanding the Children's Book Consumer' 2012-2020: Study of young American readers shows a fall of nearly 10% since 2010 of young readers doing so 'for fun'; The impact of Pleasure Reading on Academic Success, Christy Whitten Sam Houston State University). ბოლო წლებში გაიზარდა ელექტრონულ რესურსებზე ხელმისაწვდომობა და მათზე დამოკიდებულება, მათ შორის ბავშვებშიც (Children’s Dependence on Technology Research Paper, 2020). გარდა ამისა, 2020 წელს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ COVID-19-ის ვირუსის გამო გამოცხადებულმა პანდემიამ რადიკალურად შეცვალა ადამიანების ცხოვრების წესი და მათ შორის დიდი გავლენა მოახდინა განათლების სისტემებზე. ვირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით მრავალ ქვეყანაში სკოლები დროებით დაიხურა ან დისტანციურ რეჟიმზე გადავიდა, რაც ბუნებრივია უარყოფითად აისახა მოსწავლეთა საგანმანათლებლო მიღწევებზე და მათ შორის იმ ფაქტორებზეც, რომლებიც ამ მიღწევებს განაპირობებს.

კვლევის წინა ციკლებთან შედარებით, PIRLS 2021 მთელ მსოფლიოში განსხვავებულ ვითარებაში ჩატარდა. კვლევის პერიოდი დაემთხვა COVID-19-ის პანდემიას, როდესაც მრავალ ქვეყანაში მთლიანად ან ნაწილობრივ დახურული იყო სკოლები, მოსწავლეთა დიდი რაოდენობა კი გადასული იყო დისტანციური სწავლების რეჟიმზე. ამასთან, სხვადასხვა ქვეყანაში ვითარება განსხვავებული იყო პანდემიის მიმდინარეობის პერიოდითა და სიმძიმით, რასაც ყველა ქვეყანამ განსხვავებულად გაართვა თავი. საერთო ჯამში პანდემიამ არათანაბარ მდგომარეობაში ჩააყენა კვლევაში მონაწილე ქვეყნები. პანდემიის ეფექტი აისახა არა მხოლოდ კვლევის მიმდინარეობაზე, არამედ მის შედეგებზეც. კვლევაში მონაწილე თითქმის ყველა ქვეყანამ, კვლევის წინა 2016 წლის ციკლთან შედარებით (PIRLS 2016), გააუარესა მიღწევები.

სკოლას, სადაც მოსწავლე ეუფლება ცოდნას, ივითარებს სოციალურ უნარებს და ერთობა კიდევ, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოსწავლის ჩამოყალიბებაში. სკოლების დახურვამ გამოიწვია სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიის შეცვლა. სწავლის დისტანციური მოდელი, რომელზეც საქართველოს სკოლებიც



გადავიდნენ, განსაკუთრებით მტკივნეულად აისახა დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებსა და მათ მშობლებზე. მოსწავლეებს განსხვავებულ პირობებში მოუწიათ სწავლა და, სავარაუდოდ, ოჯახის ფაქტორის მნიშვნელოვნება კიდევ უფრო ღირებული გახდა მოსწავლის კითხვის უნარის განვითარებისათვის.

წიგნიერების, კითხვისა და წაკითხულის გააზრების უნარების განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების კვლევა ადნიშნულ კონტექსტში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესოა.

აკრონიმები

NAEC - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

IEA - საგანმანათლებლო მიდწევების შეფასების საერთაშორისო ასოციაცია

PIRLS - მეოთხეკლასელი მოსწავლეების წიგნიერების საერთაშორისო კვლევა



შეჯამება

PIRLS (Progress in International Reading Literacy Study) წარმოადგენს საგანმანათლებლო მიღწევების შეფასების საერთაშორისო ასოციაციის (IEA) მიერ ორგანიზებულ წიგნიერების საერთაშორისო კვლევას, რომელსაც საქართველოში შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ახორციელებს. კვლევის მიზანია შეაფასოს მეოთხეკლასელი მოსწავლეების კითხვის უნარები. თითოეულ მონაწილე მოსწავლეს ეძლევა ორი ტექსტი წასაკითხად და მათ გარშემო დასმული კითხვები პასუხასაცემად. ტექსტები ისეა შერჩეული, რომ შეფასდეს კითხვის ძირითადი მიზნები, როგორებიცაა **კითხვა სიამოვნებისთვის**, რაც საშუალებას გვაძლევს განვიცადოთ და ადვიტვით სხვადასხვა სამყარო და კულტურა (მაგ. მხატვრული ლიტერატურა), და **კითხვა შემეცნებისთვის**, რაც საშუალებას გვაძლევს გავცნოთ, გავიაზროთ და გამოვიყენოთ ახალი ინფორმაცია (მაგ. საინფორმაციო ტექსტი).

PIRLS -ის კვლევა ასევე მოიცავს კითხვარებს, რომლის ფარგლებშიც ხდება კონტექსტთან დაკავშირებული ინფორმაციის მოგროვება მოსწავლეების, მათი მშობლების, მასწავლებლებისა და დირექტორებისგან. ამ მონაცემებზე დაყრდნობით PIRLS -ის სწავლობს თუ რა გავლენას ახდენს მოსწავლეების შედეგებზე წიგნიერებაში (როგორც საქართველოში, ასევე სხვა ქვეყნებში) ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა დემოგრაფია, მოსწავლის ოჯახში არსებული საგანმანათლებლო რესურსები, საგაკვეთილო პროცესი, და სკოლის მახასიათებლები.

კვლევა 2001 წლიდან ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ტარდება და ყოველ მომდევნო ციკლში კვლევაში მონაწილე ქვეყნების რაოდენობა იზრდება. 2001 წელს კვლევაში მხოლოდ 35 ქვეყანა მონაწილეობდა, კვლევის წინა ციკლში 2016 წელს კვლევაში მონაწილეობა 50 ქვეყანამ მიიღო, ხოლო 2021 წელს კვლევაში მონაწილე ქვეყანათა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა და კვლევამ 57 ქვეყანა და 8 ტერიტორიული ერთეული მოიცვა. საქართველო კვლევაში პირველად 2006 წელს ჩაერთო და მასში უკვე მეოთხედ მიიღო მონაწილეობა (**2006, 2011, 2016 და 2021 წლებში**).

როგორც წესი, ქართველი მეოთხეკლასელი მოსწავლეები ტესტირებაში მონაწილეობას იღებდნენ გაზაფხულის სემესტრის ბოლოს, მაისი-ივნისის თვეში. PIRLS 2021 წლის კვლევაში კი COVID-19 პანდემიის გამო საქართველოში, ისევე როგორც კიდევ 20 ქვეყანასა და სამ ტერიტორიულ ერთეულში ტესტირება გადაიდო შემოდგომისთვის. ტესტირების გადადების საფუძველი გახდა დახურული სკოლების რაოდენობა და მოსწავლეთა დასწრების მაჩვენებლები, მათ შორის, დისტანციურ რეჟიმში. კვლევაში მონაწილე 14-მა ქვეყანამ და სამმა ტერიტორიულმა ერთეულმა ტესტირებაში მონაწილეობა შემოდგომაზე მიიღო, ხოლო 7 ქვეყანაში ტესტირება შემოდგომაზეც ვერ ჩატარდა და ერთი წლის შემდეგ 2022 წლის გაზაფხულზე ჩატარდა. მონაწილე სამ ქვეყანაში მოსწავლეთა დასწრების მაჩვენებელი 50%-ზე დაბალი იყო, 8 ქვეყანაში 70%-85%-მდე მერყეობდა, ხოლო დანარჩენ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში (**94%**) მოსწავლეთა დასწრების მაჩვენებელი 85%-ს აღემატებოდა, რაც კვლევის სტანდარტით გათვალისწინებული აუცილებელი მაჩვენებელია.



ილუსტრაცია: PIRLS 2021 ქვეყნები მონაცემთა შეგროვების თარიღების მიხედვით

შეფასება გეგმის მიხედვით

შეფასდნენ მეოთხე კლასელი მოსწავლეები სასწავლო წლის ბოლოს PIRLS 2016-ის ციკლთან 5 წლიანი ტენდენცია, შედარებადი ქვეყნები

ოქტომბერი-ნოემბერი 2020 სამხრეთ ნახევარსფერო	მარტი-ივნისი 2021 ჩრდილოეთ ნახევარსფერო		
ახალი ზელანდია	ალბანეთი	ჰონგ-კონგი	სერბეთი
სინგაპური	ავსტრია	იტალია	სლოვაკეთის რესპუბლიკა
	აზერბაიჯანი	იორდანია	სლოვენია
	ბელგია (ფლამანდიური)	კოსოვო	ესპანეთი
	ბელგია (ფრანგული)	მაკაო	შვედეთი
	ბულგარეთი	მალტა	თურქეთი
	ჩინური ტაიპეი	მონტენეგრო	უზბეკეთი
	კვიპროსი	ნიდერლანდები	მონაწილე რეგიონები
	ჩეხეთის რესპუბლიკა	ჩრდ. მაკედონია	ალბერტა, კანადა
	დანია	ნორვეგია(5)	ბრიტანული კოლუმბია, კანადა
	ეგვიპტე	ომანი	ნიუფაუნდილანდია-ლაბრადორი, კანადა
	ფინეთი	პოლონეთი	მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია
	საფრანგეთი	პორტუგალია	
	გერმანია	რუსეთის ფედერაცია	

დაგვიანებული შეფასება

შეფასდნენ მეოთხე კლასის კოჰორტის მოსწავლეები, მეხუთე კლასის სემეტრის დასაწყისში

აგვისტო-დეკემბერი 2021 ჩრდილოეთ ნახევარსფერო		
ბაჰრეინი	ლიეტუვა	მონაწილე რეგიონები
ხორვატია	მაროკო	კვებეკი, კანადა
საქართველო	ჩრდილოეთ ირლანდია	აბუ დაბი, საამიროები
უნგრეთი	კატარი	დუბაი, საამიროები
ირლანდია	საუდის არაბეთი	
ყაზახეთი	არაბთა გაერთიანებული საამიროები	
ლატვია	ამერიკის შეერთებული შტატები	

შეფასება ერთი წლის შემდეგ

შეფასდნენ მეოთხე კლასის კოჰორტის მოსწავლეები, ერთი წლის შემდეგ, სასწავლო სემეტრის დასაწყისში. PIRLS 2016-ის ციკლთან 6 წლიანი ტენდენცია

აგვისტო-დეკემბერი 2021 სამხრეთ ნახევარსფერო	მარტი-ივნისი 2022 ჩრდილოეთ ნახევარსფერო
ავსტრალია	ინგლისი
ბრაზილია	ირანის ისლამური სახელმწიფო
სამხრეთ აფრიკა	ისრაელი
მონაწილე რეგიონები	
სამხრეთ აფრიკა (6)	

იმ ქვეყნებისთვის, რომელთაც კვლევაში მონაწილეობა შემოდგომაზე მიიღეს (მათ შორის საქართველოსთვის), PIRLS 2021 წლის კვლევის შედეგები შედარებადი არ არის იმ ქვეყნების მონაცემებთან, რომლებშიც ტესტირება გაზაფხულზე ჩატარდა. მოსწავლეთა საშუალო ასაკის გამო სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ შედეგების წინა წლების მიღწევებთან შედარებასაც.



ვინ ფასდება?

კვლევის სამიზნე სეგმენტში ერთიანდებიან მეოთხეკლასელი მოსწავლეები, მათი მშობლები, მასწავლებლები და სკოლის დირექტორები. 2021 წლის წიგნიერების საერთაშორისო კვლევაში მსოფლიოს მასშტაბით საერთო ჯამში დაახლოებით 400 000-მა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. საქართველოში მონაწილე ქართულენოვანი სკოლები სტრატეგიული შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეირჩა. PIRLS-ში მონაწილეობა მიიღო 192 სკოლის 5 241-მა მოსწავლემ, რომლებიც ტესტირების პერიოდისათვის უკვე მეხუთე კლასში იყვნენ და საშუალოდ 5 თვით უფროსები იყვნენ ტესტირების ჩვეულ დროსთან შედარებით. ქართველი მოსწავლეების საშუალო ასაკი ტესტირების პერიოდისათვის შეადგენდა 10.3 წელს მაშინ, როცა ზოგადად კვლევისათვის შეირჩევიან ხოლმე მეოთხეკლასელი მოსწავლეები, რომელთა საშუალო ასაკი 9.5 წელია. ეს იმ მოსაზრებით ხდება, რომ აღნიშნული პერიოდი მოსწავლის განვითარების მნიშვნელოვან გარდატეხის პერიოდს წარმოადგენს, როდესაც მან უკვე იცის კითხვა და იწყებს ამ უნარის გამოყენებას იმისათვის, რომ ისწავლოს.

რა ფასდება?

კვლევის მიზანია მეოთხეკლასელ მოსწავლეებში კითხვის სწავლების მონიტორინგისა და შეფასების მეშვეობით ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო პოლიტიკის გაუმჯობესებას, რათა მოსწავლეებმა უკეთ აითვისონ და განვითარონ კითხვისა და წაკითხვის გააზრების უნარები. ეს უკანასკნელი კი თითოეულ მოსწავლეს დაეხმარება უკეთ ისწავლოს, გაიდრმავოს თვალსაწიერი, დაისახოს და მიაღწიოს დასახულ მიზნებს და საბოლოო ჯამში კონკურენტუნარიან მოქალაქეებად იქნენ. კვლევის პროცესში მოსწავლეები მუშაობენ ტესტურ დავალებებზე, ტესტი შედგება როგორც ღია, ასევე დახურული ტიპის დავალებებისაგან. ტესტირების სესია გრძელდება 40 წუთი. ტესტირების შემდეგ მოსწავლეები ავსებენ კითხვარს დაახლოებით 30 წუთის განმავლობაში, სადაც პასუხობენ შეკითხვებს მათი კითხვის ჩვევების, უნარებისა და ასევე ოჯახში არსებულ საგანმანათლებლო რესურსების შესახებ.

კვლევაში მონაწილეობის მაჩვენებლები საქართველოში

მოსწავლეები	
მოსწავლეთა კვლევაში მონაწილეობის შეწონილი მაჩვენებელი	94%
შერჩეული მოსწავლეების რაოდენობა	5,808
კვლევაში მონაწილე მოსწავლეების რაოდენობა	5,241
სკოლიდან გადასული მოსწავლეთა რაოდენობა	92
მოსწავლეების რაოდენობა, რომლებმაც დააკმაყოფილეს კვლევიდან გამორიცხვის კრიტერიუმი	79
მოსწავლეთა ხელმისაწვდომი რაოდენობა	5,637
მოსწავლეთა რაოდენობა, რომელმაც კვლევაში მონაწილეობა არ მიიღო	396
მშობლები	
მშობელთა მონაწილეობის მაჩვენებელი	96%
კვლევაში მონაწილე მშობელთა რაოდენობა	5,241
გამოკითხული მშობლების რაოდენობა	5,020
მშობელთა რაოდენობა, რომელთაც კვლევაში მონაწილეობა არ მიიღო	221
სკოლები	
კვლევაში მონაწილეობის მაჩვენებელი	98%
კვლევისათვის შერჩეული სკოლების რაოდენობა	194
კვლევაში მონაწილე პირველადად შერჩეული სკოლების რაოდენობა	187
ჩანაცვლებული სკოლების რაოდენობა, რომლებმაც კვლევაში მონაწილეობა მიიღო	3
კვლევაში მონაწილე სკოლების რაოდენობა, რომლებმაც დააკმაყოფილა ჩართულობის მაჩვენებელი	190
მასწავლებლები	
კვლევაში მონაწილეობის მაჩვენებელი	91%
კვლევისათვის შერჩეული მასწავლებლების რაოდენობა	278
გამოკითხული მასწავლებლების რაოდენობა	252
მასწავლებელთა რაოდენობა, რომელთაც კვლევაში მონაწილეობა არ მიიღეს	26



კვლევის ფარგლებში, მასში ჩართული მოსწავლეები, მათი მშობლები/მეურვეები, სკოლის მასწავლებლები და დირექტორები ავსებენ მათთვის განკუთვნილ კითხვარებს, რომლებიც აფასებს მოსწავლის საგანმანათლებლო კონტექსტს. ამდენად, ყოველი მონაცემი და კვლევაში მონაწილეობის მაღალი მაჩვენებლები კრიტიკულად მნიშვნელოვანია კვლევის სანდოობის თვალსაზრისით.

კვლევაში ჩართული მოსწავლეების მაჩვენებლები საქართველოში წლების მიხედვით

ქვეყანა	სკოლაში სწავლის ხანგრძლივობა (წლები) *	მოსწავლის საშუალო ასაკი ტესტირების პერიოდისთვის	ჯამური გამორიცხვის მაჩვენებლები	კვლევაში ჩართულობის ჯამური მაჩვენებლები
საქართველო				
2021	4	10.6	2.7%	91%
2016	4	9.7	3.8%	96%
2011	4	10.0	4.9%	96%
2006	4	10.1	7.3%	98%

შენიშვნა: 2021 წელს მოსწავლეები გამოიკითხნენ მეხუთე კლასის დასაწყისში

რატომ არის მნიშვნელოვანი PIRLS-ში მონაწილეობა?

PIRLS აღიარებულია, როგორც მოსწავლეთა წიგნიერების ყველაზე ფართომასშტაბიანი საერთაშორისო კვლევა, რომელიც 9-10 წლის მოსწავლეებში ამოწმებს კითხვის უნარებსა და წიგნიერების დონეს. ამ კვლევაში მონაწილეობა საშუალებას იძლევა, დავაკვირდეთ იმ ფაქტორებს, რომლებიც წიგნიერებაზე მოქმედებს და გლობალურ კონტექსტში გავიაზროთ მოსწავლეთა შესაძლებლობები და წიგნიერების ტენდენციები.

თავდაპირველად კვლევა მოიაზრებდა მხოლოდ ფურცელზე შესრულებული დავალებების შეფასებას, თუმცა PIRLS 2021 წლიდან კვლევა საშუალებას იძლევა ტესტის ადმინისტრირება განხორციელდეს ელექტრონულად. ელექტრონული ტესტირება მოიცავს ვიზუალურად მიშვიდველ, განსხვავებულ, ინტერაქტიული ტიპის ტესტურ დავალებებს, რომლებიც მოსწავლეთათვის უფრო საინტერესოა და მას კითხვის მოტივაციას უღვივებს. მომავალ 2026 წლის ციკლიდან კვლევა მთლიანად ელექტრონულ ფორმატზე გადადის, სამომავლოდ ფურცელზე ტესტირება საშუალებას არ მოგვცემს ქვეყნის მონაცემები შევადაროთ მსოფლიოში არსებულ ტენდენციებს წიგნიერებაში. ამდენად, მნიშვნელოვანია ქვეყნებმა ფეხი აუწყონ PIRLS-ის განვითარებას და ჩაერთონ ტესტირებაში ელექტრონული ფორმით.

ელექტრონული ფორმატის ტესტური დავალებები ქადალზე მოცემული დავალებებისაგან განსხვავდება, ისინი უფრო კომპლექსური და ინტერაქტიულია. ამდენად, გარდა იმისა, რომ სამომავლოდ PIRLS-ში მონაწილეობა ჩვენთვის ახალი გამოწვევა იქნება, დაგჭირდება გავეცნოთ ელექტრონული ტესტური დავალებების თავისებურებებს და ჩვენ მოსწავლეებს შესაძლებლობა მივცეთ ამ ტიპის დავალებებზე იმუშაონ.

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია საქართველოს მონაცემები, რომლებიც წიგნიერების საერთაშორისო კვლევის ფარგლებში 2021 წელს ფურცელზე არსებული ტესტის გამოყენებით შეგროვდა.



ძირითადი მიგნებები

- ✓ **კვლევის ადმინისტრირება**
 - ✓ საქართველოდან PIRLS-ში მონაწილეობა მიიღო 192 სკოლის 5241-მა მოსწავლემ, რომლებიც ტესტირების პერიოდისთვის უკვე მეხუთე კლასში იყვნენ და საშუალოდ 5 თვით უფროსები იყვნენ ტესტირების ჩვეულ ასაკთან შედარებით. ქართველი მოსწავლეების საშუალო ასაკი ტესტირების პერიოდისთვის შეადგინდა 10.3 წელს მაშინ როდესაც, ზოგადად კვლევისათვის შეირჩევიან ხოლმე მეოთხეკლასელი მოსწავლეები, რომელთა საშუალო ასაკი 9.5 წელია.
- ✓ **მოსწავლეთა მიღწევები წიგნიერებაში**
 - ✓ 2021 წლის შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოში მოსწავლეთა განაწილება წიგნიერებაში მიღწევის საფეხურების თვალსაზრისით რადიკალურად არ შეცვლილა. მართალია, წინა წლების შედეგებთან შედარება რეკომენდირებული არ არის, რადგან არ ვიცით მიღწევებში არსებული ცვლილება მოსწავლეთა შედეგებით მაღალ ასაკს უკავშირდება თუ სხვა რამეს, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ სურათი გაუარესებული არ არის;
 - ✓ ქართველ მოსწავლეებს გაცილებით უადვილდებათ მხატვრული ტექსტების გააზრება და გაგება, ვიდრე საინფორმაციო ტექსტებთან მუშაობა;
 - ✓ ქართველი მოსწავლეების მიღწევები წიგნიერებაში კვლავ საერთაშორისო საშუალო მონაცემზე დაბალია;
 - ✓ საქართველოში მოსწავლეთა 13% წიგნიერებაში მიღწევების დაბალი სირთულის საფეხურის მიღმაა.
- ✓ **სახლის და ოჯახის ფაქტორი**
 - ✓ ის მოსწავლეები, რომელთა ოჯახებს მათი შვილის მაღალი აკადემიური მიღწევების მოლოდინი აქვთ, წიგნიერებაში შედარებით უკეთეს მიღწევებს აჩვენებენ;
 - ✓ მოსწავლეები მაღალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის მქონე ოჯახებიდან, წიგნიერებაში უკეთეს მიღწევებს გვიჩვენებენ (სხვაობა 32 ქულა);
 - ✓ მშობლის ჩართულობა საქართველოში არ განაპირობებს მოსწავლის მაღალ მიღწევებს წიგნიერებაში;
 - ✓ სახლში ელექტრონულ რესურსებზე ხელმისაწვდომობა მოსწავლის მიღწევებზე აისახება;
 - ✓ საქართველოში დაბალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის მქონე ოჯახებიდან მოსწავლეთა რაოდენობა მხოლოდ 12%-ია. დაბალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის მქონე ოჯახების წარმომადგენელი მოსწავლეების მიღწევები წიგნიერებაში გაცილებით დაბალია, ვიდრე მაღალი და საშუალო შესაძლებლობების მქონე ოჯახების მოსწავლეთა მიღწევები;
 - ✓ მოსწავლეთა 56.6%-ს ოჯახში ელექტრონულ რესურსებზე (ინტერნეტი, კომპიუტერი, სმარტფონი) ხელი სრულად მიუწვდება და მათი საშუალო მიღწევა (510 ქულა) აღემატება იმ მოსწავლეთა საშუალო მიღწევას, რომელთაც არ აქვთ სრულყოფილი წვდომა ციფრულ მოწყობილობებზე;
 - ✓ საქართველო, სერბეთის, მონტენეგროს და აზერბაიჯანის შემდეგ გამოკითხულ ქვეყანათა შორის მეოთხე ადგილზეა, მშობლების მხრიდან კითხვისადმი დადებითი დამოკიდებულებით. კერძოდ, საქართველოში მშობელთა 44%-ს კითხვა ძალიან უყვარს და ამ მოსწავლეების საშუალო მიღწევა (511 ქულა) აღემატება იმ მოსწავლეების საშუალო მიღწევას, რომელთა მშობლებს კითხვა ნაკლებად უყვართ, ან არ უყვართ;
 - ✓ საქართველოში მოსწავლეთა 26% სკოლაში შესვლამდე ძალიან კარგად ართმევდა თავს წიგნიერებასთან დაკავშირებულ დავალებებს და საშუალოდ 25 ქულით უკეთესი მიღწევა აქვთ იმ მოსწავლეთა შედარებით, რომლებიც კარგად ვერ ართმევდა თავს წიგნიერებასთან დაკავშირებულ ადრეულ დავალებებს (46%).
- ✓ **სკოლის ფაქტორი**
 - ✓ ქართული სკოლების ძალიან მცირე ნაწილს აქვს აქცენტი მაღალ აკადემიურ მიღწევებზე. ამასთან, სკოლის აქცენტი მაღალ აკადემიურ მიღწევებზე, მოსწავლეთა წიგნიერებაში ნაჩვენებ მიღწევებთან კავშირში არ არის;
 - ✓ ის მოსწავლეები, რომლებიც სკოლაში ბულინგს განიცდიან, წიგნიერებაში უკეთეს მიღწევებს გვიჩვენებენ. მოსწავლეთა 11.4%-ის აზრით ბულინგის შემთხვევა თვეში ერთხელ მაინც ხდება, ხოლო მოსწავლეთა 4.1% ამბობს, რომ კვირაში ერთხელ მაინც არის ასეთი ფაქტის შემსწრე;



- ✓ წიგნიერებაში კერძო სკოლების მოსწავლეთა მიღწევები ტრადიციულად მნიშვნელოვნად (31 ქულით) მაღალია, ვიდრე საჯარო სკოლის მოსწავლეთა მიღწევები;
- ✓ ქალაქისა და სოფლის სკოლების მოსწავლეთა მიღწევებს შორის სხვაობა მნიშვნელოვნად არ შემცირებულა და კვლავ ქალაქის სკოლების უპირატესობაზე მიუთითებს (სხვაობა 18 ქულა);
- ✓ საქართველოში, მოსწავლეთა 99% სწავლობს სკოლაში, რომლის დირექტორიც ფლობს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დიპლომს. სკოლის დირექტორების განათლების ეს მაჩვენებელი სხვა ქვეყნებთან შედარებით საქართველოში საკმაოდ მაღალია;
- ✓ მშობლის დამოკიდებულება საქართველოში საკუთარი შვილის სკოლისადმი უმრავლეს შემთხვევაში დადებითია. გამოკითხული მშობლების 84.7% კმაყოფილია საკუთარი შვილის სკოლით. ზოგადად, საქართველო, სკოლისადმი პოზიტიურად განწყობილი მშობლების რაოდენობით გამოირჩევა და ყოველთვის იმ ქვეყანათა ხუთეულშია, სადაც მშობლები სკოლების მიმართ დადებითად არიან განწყობილნი;
- ✓ საქართველოში სკოლის მოსწავლეთა 74.8%-ს სკოლისადმი მაღალი მიკუთვნებულობის განცდა აქვს.

მასწავლებლის ფაქტორი

- ✓ საქართველოში მასწავლებელთა 73.5%-ს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი აქვს;
- ✓ მასწავლებელთა აბსოლუტური უმრავლესობა კმაყოფილია საკუთარი პროფესიით - (მოსწავლეთა 96.6%-ს ასწავლიან ძალიან კმაყოფილი მასწავლებლები);
- ✓ საქართველოში მასწავლებლების პროფესიული განვითარების აქტივობებში ჩართულობა საკმაოდ მაღალია. მოსწავლეთა 70%-ზე მეტს ასწავლიან მასწავლებლები, რომლებსაც ბოლო ორი წლის მანძილზე გავლილი აქვთ წაკითხულის გააზრების უნარებისა და სტრატეგიების სწავლების ტრენინგი;
- ✓ კვლევის ფარგლებში გამოკითხული ქართველი მასწავლებლების დიდი ნაწილი აცხადებს, რომ ისინი იყენებენ მრავალფეროვან მიდგომებს და ელექტრონულ რესურსებს სწავლა სწავლების პროცესში;
- ✓ მოსწავლეების 40%-ზე მეტს მასწავლებლები ცდილობენ თითქმის ყოველ გაკვეთილზე წაახალისონ მოსწავლეები, რომ მათ ტექსტი წაკითხონ სხვადასხვა პერსპექტივიდან;
- ✓ მოსწავლეების 80%-ზე მეტს მათი მასწავლებლები ინდივიდუალურად აწვდიან უკუკავშირს თითქმის ყოველ გაკვეთილზე;
- ✓ მეოთხეკლასელი მოსწავლეების დაახლოებით 87%-ს, ტექსტში ინფორმაციის მოძებნას მასწავლებელი თითქმის ყოველდღე ავალეს. ამ მოსწავლეების საშუალო ქულა მნიშვნელოვნად აღემატება (499) იმ მოსწავლეების საშუალო ქულას, რომლებსაც მასწავლებელი უფრო იშვიათად სთხოვს ამის გაკეთებას (476).

მოსწავლის ფაქტორი

- ✓ მოსწავლის თავდაჯერებულობა კითხვის დროს ყველაზე ძლიერ კავშირშია მოსწავლის მიღწევებთან წიგნიერებაში;
- ✓ მეოთხეკლასელ გოგონებს, ბიჭებთან შედარებით წიგნიერებაში მნიშვნელოვნად უკეთესი მიღწევები აქვთ, მიღწევებს შორის სხვაობა 23 ქულას შეადგენს;
- ✓ საქართველოში მოსწავლეთა დიდი ნაწილი (44%) ამბობს, რომ კითხვა ძალიან უყვარს, თუმცა მათი ეს დამოკიდებულება მიღწევებზე ნაკლებად აისახება;

COVID-19 პანდემიის ეფექტი

- ✓ 2021 წლის კვლევა განსხვავებულ ვითარებაში ჩატარდა, როდესაც საქართველოში და მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში გარკვეული შეზღუდვები მოქმედებდა. ამდენად, მრავალმა ქვეყანამ საკუთარი მიღწევები ვერ გააუმჯობესა;
- ✓ PIRLS-ის კვლევის ფარგლებში პანდემიის ეფექტის გაანგარიშება ვერ მოხერხდა, ამდენად კვლევაში მონაწილე ქვეყნების უმრავლესობა განსაკუთრებული სიფრთხილით უყურებს საკუთარ მიღწევებს.

კონკრეტული სირთულეები კითხვის დროს

- ✓ მრავალ ქვეყანაში თვლიან, რომ თანამედროვე ეპოქაში მოსწავლეებს ნაკლებად მოსწონთ ის ტექსტები რასაც მათ სკოლაში აკითხებენ და ტექსტების „გათანამედროვებაზე“ ფიქრობენ;
- ✓ ქართველ ბავშვებს შინაარსისა და ტექსტური ელემენტების შეფასებასა და კრიტიკულ აზროვნებასთან დაკავშირებული დავალებების შესრულება უჭირთ;
- ✓ მოსწავლეებს უფრო მეტად უადვილდებათ ცხადი სახით მოცემული ინფორმაციის პოვნა და ამოცნობა, თუმცა საინფორმაციო ტექსტებში ამ ტიპის დავალებების შესრულებაც მაღალი მიღწევის მქონე მოსწავლეებსაც შედარებით ნაკლებად შეუძლიათ.



Main Findings

How the study is administered

- ✓ In 2021, 5241 children from 192 Georgian schools participated in PIRLS 2021. They were fifth grade students, thus were 5 months older than the average testing age. Average age for Georgian participants was 10.3 years, whereas study participants are fourth graders, aged 9.5 years;

Students' reading achievements

- ✓ The analysis of the results achieved in 2021 indicates that students' performance levels in reading literacy have not changed radically. While the comparison of the results with the previous years is not recommended given that it is unclear whether change in achievements is related to the relatively higher age of students or other factors, one can still conclude that the picture has not worsened as compared to the previous years;
- ✓ ;
- ✓ It is much easier for Georgian students to comprehend and understand literary texts than to work with informative texts;
- ✓ Achievements of Georgian students are still below the international average;
- ✓ 13% of students in Georgia are beyond the low level of achievement in literacy.

Home and family factors

- ✓ Students, whose family expects high academic achievements from children, are more likely to show better results in reading achievements;
- ✓ Students, from the families with high socio-economic status, show better results (with 32-point difference) in reading achievements;
- ✓ Parents' involvement doesn't ensure students high achievements in reading;
- ✓ Access to electronic resources at home are well-reflected on student achievement;
- ✓ Only 12% of students in Georgia come from families from low socio-economic background. Achievements of these students are lower compared to the performance of students, who come from medium and high-income families;
- ✓ 56.6% of students had full access to digital resources (internet, computer, smartphone) in their families. Average achievement level (510 score) of these students were higher compared to average achievement of students with limited Access;
- ✓ Georgia, after Serbia, Montenegro and Azerbaijan, ranks fourth among the surveyed countries, with a positive attitude towards reading on the part of parents. In particular, 44% of parents in Georgia like to read very much, and the average achievement of these students (511 points) is higher than the average achievement of students whose parents like reading less or don't like it at all;
- ✓ 26% of students, who manage reading related tasks well have 25 points more achievement compare to students who could not managed earlier reading related works (46%).

School factor

- ✓ Very few Georgian schools have an emphasis on high academic achievement. However, the school's emphasis on high academic achievement does not correlate with student literacy achievement;
- ✓ Students who are bullied at school show better achievement in reading. According to 11.4% of students, bullying happens at least once a month, while 4.1% of students say that they witness such a fact at least once a week.;
- ✓ Achievement of students from private schools are traditionally 31 points higher compared to their peers from public schools;
- ✓ The difference between the achievements of students in urban and rural schools has not decreased significantly and still indicates the advantage of urban schools (a difference of 18 points);
- ✓ In Georgia, 99% of students study at a school whose principal holds a master's degree or equivalent. This indicator of education of school principals is quite high in Georgia compared to other countries;
- ✓ Parents' attitude towards their child's school in Georgia is positive in most cases. 84.7% of the interviewed parents are satisfied with their child's school. In general, Georgia is distinguished by the number of parents who have a positive attitude towards school and is always in the top five countries where parents have a positive attitude towards schools.;
- ✓ 74.8% of students have high sense of belonging to their schools.



Teacher's factor

- ✓ 73.5% of teachers in Georgia have a master's degree or equivalent;
- ✓ Majority of Georgian teachers are satisfied with the profession they have chosen (96.6% of students are taught by content teachers);
- ✓ The involvement of teachers in professional development activities in Georgia is quite high. More than 70% of students are taught by teachers who have received training in teaching reading comprehension skills and strategies within the last two years;
- ✓ A large part of the Georgian teachers interviewed within the framework of the research state that they use various approaches and electronic resources in the learning and teaching process;
- ✓ Teachers of more than 40% of students try to encourage students to read the text from different perspectives in almost every lesson;
- ✓ More than 80% of students receive individual feedback from their teachers in almost every lesson;
- ✓ About 87% of fourth-grade students are instructed by their teachers to find information in the text almost every day. The average score of these students is significantly higher (499) than the average score of students who are asked to do this more rarely by the teacher (476).

Student's factor

- ✓ A student's confidence in reading is most strongly related to student achievement in literacy;
- ✓ Fourth grade girls have significantly better literacy achievements than boys, the difference between the achievements is 23 points;
- ✓ A large part of students in Georgia (44%) enjoy reading very much, however, this attitude has had limited impact on their achievements;

✓

COVID-19 effect

- ✓ In 2021 the study was administered in different circumstances due to the pandemic related restrictions. Thus, many countries were not able to improve their achievements.
- ✓ ✓ In the scope of PIRLS study, it was not possible to measure the direct effect of Covid, therefore, the majority of the participating countries interpret the study results with special caution.

✓

Specific difficulties during reading

- ✓ Many countries believe that nowadays students do not like the texts they are taught at school and they are thinking about "modernizing" the texts.
- ✓ ✓ Students in Georgia find it difficult to perform tasks related to evaluating the content and textual elements as well as critical thinking related elements.
- ✓ ✓ It is easier for students to find and recognize information given in an explicit form, but even high-achieving find it difficult to perform the same type of tasks in informational texts.



თავი 1 - ძირითადი შედეგები

საქართველოს მიღწევები წიგნიერების კვლევაში და საერთაშორისო კონტექსტი

PIRLS წარმოადგენს კროსკულტურულ კვლევას, რომლის მიზანია ქვეყნებმა შეაფასონ წიგნიერებაში საკუთარი მიღწევების პროგრესი და ასევე შეადარონ ეს მიღწევები სხვა ქვეყნების მიღწევებს. კვლევის სტანდარტის მიხედვით მოსწავლეთა მიღწევები ერთ სტანდარტულ საერთაშორისო სკალაზე განთავსდება, რომლის საერთაშორისო საშუალოც 500 ქულას, ხოლო სტანდარტული გადახრა 100 ქულას უდრის. მოსწავლეთა მიღწევები ძირითადად 300-დან 700 ქულამდე იცვლება.

2021 წლის ციკლის კვლევაში მონაწილე 38 ქვეყანას საერთაშორისო საშუალოზე მაღალი შედეგი აქვს, ხოლო 19 ქვეყანას, მათ შორის საქართველოს - საერთაშორისო საშუალოზე დაბალი 494 (სტანდარტული შეცდომა - 2.6) ქულა. მოსწავლეთა მიღწევების მიხედვით, 2021 წლის კვლევის შედეგინილ რეიტინგულ სიაში 57 ქვეყნიდან საქართველოს 41-ე ადგილი უჭირავს.

ამ 57 ქვეყნიდან საქართველო იმ ქვეყნებს შორის არის, რომელთაც კვლევის წინა ციკლთან შედარებით საკუთარი მიღწევები არ გააუარესეს, თუმცა არც სტატისტიკურად მნიშვნელოვან გაუმჯობესებასთან გვაქვს საქმე (6 ქულა). როდესაც მოსწავლეთა მიღწევებზე ვმსჯელობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ კვლევა COVID-19-ის პანდემიის პერიოდში ჩატარდა. 2021 წლის კვლევის შედეგების მიხედვით, იმ ქვეყნების პროგრესის მაჩვენებლები, რომელთაც ტესტირება დროულად, გაზაფხულზე წერეს, კვლევის წინა ციკლებთან შედარებით ძირითადად გაუარესდა. ასევე გაუარესებულია იმ ქვეყნების შედეგები, რომელთაც ტესტირება ერთი წლის შემდეგ, 2022 წლის გაზაფხულზე გაიარეს. რაც შეეხება საქართველოს და იმ ქვეყანებს, რომელთაც ტესტირება პანდემიის გამო დაგვიანებით, შემოდგომაზე გაიარეს, მათი მიღწევები ერთგვაროვანი არ არის. კერძოდ, ქვეყნების ნაწილმა შედეგები საგრძნობლად გააუარესა (ლატვია, უნგრეთი, ყაზახეთი), უფრო დიდმა ნაწილმა, ისევე როგორც საქართველომ, მცირედ გააუმჯობესა, ხოლო რამდენიმე ქვეყანამ საგრძნობლად გააუმჯობესა (არაბთა გაერთიანებული საამიროები, კატარი, დუბაი და აბუდაბი - გაერთიანებული ემირატები).

როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, პანდემია მტკივნეულად აისახა კვლევაში ჩართული ქვეყნების უმრავლესობაზე და ისეთი მაღალი მიღწევების ქვეყნებშიც კი, როგორებიცაა რუსეთის ფედერაცია, ფინეთი, პოლონეთი და სხვა, მოსწავლეთა მიღწევები სტატისტიკურად მნიშვნელოვნად გაუარესდა. მაღალი მიღწევების მქონე ქვეყნებიდან გამორჩეულია სინგაპურს მაგალითი, რომელმაც შეძლო მიღწევების 11 ქულით გაუმჯობესება, ასევე სერიოზული გაუმჯობესება აქვს ეგვიპტესა (48 ქულა) და თურქეთს (47 ქულა), თუმცა თურქეთმა კვლევაში მონაწილეობა ბოლოს 2001 წელს მიიღო.

თუ მოსწავლეთა მიღწევების რეიტინგულ სიას დავაკვირდებით (დანართი 1), ვნახავთ, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან საქართველო მიღწევებით კვლავ მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება ლიეტუვასა (552 ქულა) და ლატვიას (528) და ასევე ჩამორჩება ყაზახეთს (504 ქულა), რომელსაც საერთაშორისო საშუალოზე მაღალი შედეგი აქვს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტესტირება ჩვენი ქვეყნის მსგავსად ყაზახეთმა შემოდგომაზე გაიარა და მნიშვნელოვანი რეგრესივ განიცადა. პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან საქართველოზე დაბალი მიღწევები აქვს აზერბაიჯანსა და უზბეკეთს. რუსეთის ფედერაცია კი, რომელმაც 2021 წლის ციკლში მიღწევები გააუარესა, კვლავ რეიტინგული სიის პირველი ნომერია და წიგნიერებაში მოსწავლეთა მიღწევების თვალსაზრისით ლიდერობას ინარჩუნებს.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნების წიგნიერებაში მიღწევების ამგვარი რეგრესი გარკვეულწილად აიხსნება 2021 წელს მსოფლიოში არსებული COVID-19-ის პანდემიით, ხოლო მიღწევებს შორის განსხვავება შეიძლება აიხსნას კონკრეტულ ქვეყანაში პანდემიასთან ბრძოლის ეფექტურობის ან პანდემიის მიმდინარეობის სიმძიმით. 2021 წლის კვლევის შედეგების მიხედვით საქართველო მიღწევების თვალსაზრისით მნიშვნელოვან პროგრესს არ განიცდის, თუმცა არც შედეგების გაუარესებასთან გვაქვს საქმე.



ცხრილი 1.1 კვლევებში მონაწილე ქვეყნების საშუალო ქულა წლების მიხედვით

ქვეყნები/ტერიტორიული ერთეულები, რომლებმაც ტესტირებაში დროულად მიიღეს მონაწილეობა	2001	2006	2011	2016	2021	სხვაობა წინა ციკლთან
მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია				612	598	-14▼
სინგაპური	528	558	567	576	587	11▲
ჰონგ-კონგი	528	564	571	569	573	4
რუსეთის ფედერაცია	528	565	568	581	567	-14▼
ფინეთი			568	566	549	-17▼
პოლონეთი				565	549	-16▼
ჩინური ტაიპეი		535	553	559	544	-15▼
შვედეთი	561	549	542	555	544	-11▼
ბულგარეთი	550	547	532	552	540	-12▼
ჩეხეთის რესპუბლიკა	537		545	543	540	-3
ნორვეგია (5)				559	539	-20▼
ალბერტა, კანადა		560	548		539	-9▼
დანია		546	554	547	539	-8▼
იტალია	541	551	541	548	537	-11▼
მაკაო SAR				546	536	-10▼
ბრიტანული კოლუმბია, კანადა		558			535	-23▼
ავსტრია		538	529	541	530	-11▼
სლოვაკეთის რესპუბლიკა	518	531	535	535	529	-6▼
ნიდერლანდები	554	547	546	545	527	-18▼
გერმანია	539	548	541	537	524	-13▼
ესპანეთი		513	513	528	521	-7▼
ახალი ზელანდია	529	532	531	523	521	-2
სლოვენია	502	522	530	542	520	-22▼
პორტუგალია			541	528	520	-8▼
საფრანგეთი	525	522	520	511	514	3
ბელგია (ფლამანდიური)		547		525	511	-14▼
კვიპროსი	494				511	17▲
თურქეთი	449				496	47▲
ბელგია (ფრანგული)		500	506	497	494	-3
ჩრდილოეთ მაკედონია	442	442			442	0
აზერბაიჯანი			462	472	440	-32▼
ომანი			391	418	429	11▲
ეკვიპტე				330	378	48▲
ქვეყნები, რომელთაც ტესტირება ერთი წლის დაგვიანებით მეოთხეკლასელებთან ჩაატარეს	2001	2006	2011	2016	2021	სხვაობა წინა ციკლთან
ინგლისი ✕	553	539	552	559	558	-1
ავსტრალია ✕			527	544	540	-4
ისრაელი ✕			541	530	510	-20▼
ირანის ისლამური რესპ. ✕	414	421	457	428	413	-15▼
სამხრეთ აფრიკა ✕				320	288	-32▼



ქვეყნები, რომელთაც ტესტირება COVID-19 პანდემიის გამო დაგვიანებით შემოდგომაზე ჩაატარეს	2001	2006	2011	2016	2021	სხვაობა წინა ციკლთან
ირლანდია			552	567	577	10▲
ჩრდილოეთ ირლანდია			558	565	566	1
ხორვატია			553		557	4
ლიეტუვა	543	537	528	548	552	4
დუბაი, საამიროები			476	515	552	37▲
კვებეკი, კანადა	537	533	538	547	551	4
ამერიკის შეერთებული შტატები	542	540	556	549	548	-1
უნგრეთი	543	551	539	554	539	-15▼
ლატვია	545	541		558	528	-30▼
ყაზახეთი				536	504	-32▼
საქართველო		471	488	488	494	6
კატარი			425	442	485	43▲
არაბთა გაერთიანებული საამიროები			439	450	483	33▲
ბაჰრეინი				446	458	12▲
საუდის არაბეთი			430	430	449	19▲
აბუდაბი, საამიროები			424	414	440	26▲
მაროკო			310	358	372	14▲
ირლანდია			552	567	577	10▲

მხატვრული და საინფორმაციო ტექსტების გააზრება

PIRLS-ის კვლევაში მოსწავლეებს უწევთ იმუშაონ როგორც მხატვრულ, ასევე საინფორმაციო ხასიათის ტექსტებზე. PIRLS-ის კონტექსტში მკითხველი მხატვრული ტექსტებში აღწერილი პერსონაჟების, ატმოსფეროს, გრძნობებისა და იდეების სამყაროში ჩაძირვას გულისხმობს (Mullis & Martin, 2015; კუტალაძე, 2013). წაკითხული ამბების ინტერპრეტაციისათვის, პერსონაჟებისა და მათი ქცევების შესახებ დადებითი და უარყოფითი მოსაზრებების ჩამოყალიბებისათვის მას ხშირად უწევს საკუთარი გამოცდილებისა და ცოდნის მოხმობა. ლიტერატურული გამოცდილების მიღებაზე ორიენტირებული ყველა ტექსტი PIRLS-ში მოთხრობის ფორმით არის წარმოდგენილი, ვინაიდან ზოგიერთი სხვა ფორმის მხატვრული ტექსტი, მაგალითად, ლექსი, ართულებს თარგმანს, ზოგი კი, ვთქვათ, პიესა ბევრ ქვეყანაში უბრალოდ არ ისწავლება დაწყებით კლასებში. რაც შეეხება საინფორმაციო ტექსტებს, ინფორმაციის ათვისება და გამოყენება გულისხმობს ინფორმაციის მიღების, ათვისებისა და პრაქტიკაში გამოყენების მიზნით სხვადასხვაგვარ საინფორმაციო ტექსტთან ურთიერთმიმართებას, რომელიც მკითხველს ან გარკვეული ფაქტების შესახებ აწვდის ინფორმაციას, ან პოზიციის გასამყარებლად არგუმენტებს წარუდგენს. ამ საინფორმაციო ტექსტების თემატიკა მრავალფეროვანია. ეს შეიძლება იყოს სამეცნიერო, ისტორიული, გეოგრაფიული, სოციალური ან პოლიტიკური შინაარსის ტექსტი. თემები, თავის მხრივ, შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც ტექსტური, ისე გრაფიკული (ცხრილების, სურათებისა თუ დიაგრამების) სახით (ლ. ხეჩუაშვილი, 2016).

ტრადიციულად ქართველ მოსწავლეებს უფრო უადვილდებათ მხატვრული ტექსტების კითხვა და გააზრება. ზოგადად ქვეყნების უმრავლესობაში მხატვრული და საინფორმაციო ტექსტების გააზრებაში დიდი სხვაობა არ გვხვდება, მაგრამ საქართველო, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ხორვატიასთან და სამხრეთ აფრიკასთან ერთად სწორედ ისეთი ქვეყნების ჯგუფს განეკუთვნება, რომელთაც მხატვრული ტექსტების გააზრება უფრო უადვილდებათ. ამ ქვეყნებში საშუალო მიღწევა 14-18 ქულით უფრო მაღალია მხატვრული ტექსტების გააზრებაში, ვიდრე საინფორმაციო ტექსტების გააზრებაში. საპირისპირო შედეგია ჰონგ-კონგში, მაკაოსა და ჩინურ ტაიპეიში, სადაც მოსწავლეებს საინფორმაციო ტექსტების გააზრება უფრო უადვილდებათ.




მხატვრული და საინფორმაციო ტექსტების გააზრების თანაბარი შედეგები შესაძლოა კითხვის დაბალანსებულ კურიკულუმსა და სასწავლო პროგრამებზე მიუთითებდეს, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში მოსწავლეთა თანაბარი შესაძლებლობები სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ საერთო ჯამში ქვეყანას მაღალი მიღწევები აქვს. მაგალითად, აზერბაიჯანში მოსწავლეებს თითქმის თანაბარი მიღწევები აქვთ მხატვრული და საინფორმაციო ტექსტების გააზრებაში (სხვაობა 2 ქულა), მაგრამ საერთო მიღწევაც დაბალი აქვთ 440, ხოლო ჩრდილოეთ ირლანდიას, სადაც მოსწავლეებს საქართველოს მსგავსად, მხატვრული ტექსტების გააზრება უფრო უადვილდებათ, საერთო მიღწევა საკმაოდ მაღალი აქვს (566 ქულა).

ბუნებრივია, მოსწავლეთა უნარები როგორც მხატვრული, ასევე საინფორმაციო ტექსტების გააზრებაში ერთნაირად მაღალი უნდა იყოს და ყველა ქვეყანა იმისაკენ უნდა ისწრაფოდეს, რომ მოსწავლეს თანაბრად შეეძლოს ტექსტების აღქმა და გააზრება. საქართველოში აღნიშნული სხვაობა კვლევის წინა ციკლებში მცირდებოდა და 2016 წლის კვლევაში მინიმალური იყო, თუმცა 2021 წლის კვლევაში კვლავ გაიზარდა.

აღნიშნული შედეგი ყოველთვის საინფორმაციო ტიპის ტექსტებზე მუშაობის ნაკლებ გამოცდილებას უკავშირდება. როგორც გრაფიკიდან ჩანს, მხატვრული ტექსტების გააზრებაში გვაქვს ადამავალი ტენდენცია, ხოლო საინფორმაციო ტექსტების გააზრებაში გარკვეული სტაგნაციაა. სავარაუდოდ, პანდემიის პერიოდში კიდევ უფრო თვალშისაცემი გახდა საინფორმაციო ტექსტებზე ნაკლები მუშაობის ეფექტი, რადგან მოსწავლეებმა მშობლების ზედამხედველობის ან მასწავლებლების დავალებების მიხედვით აქცენტი უფრო მეტად მხატვრულ ტექსტებზე მუშაობაზე გადაიტანეს.

გრაფიკი 1.1 მხატვრული და საინფორმაციო ტექსტების გააზრების მაჩვენებლები წლების მიხედვით



წაკითხულის გააზრების პროცესები

PIRLS-ის წაკითხულის გააზრებაში ოთხი სხვადასხვა პროცესი ფასდება, რომლებიც გულისხმობს: (ა) თვალსაჩინოდ მოცემულ ინფორმაციაზე ფოკუსირებასა და ამ ინფორმაციის მოძიებას; (ბ) წაკითხული ტექსტიდან უშუალო დასკვნების გამოტანას; (გ) წაკითხული მოსაზრებებისა და ინფორმაციის ინტერპრეტაციასა და უკვე არსებულ, დაგროვილ ცოდნასთან ინტეგრირებას; (დ) წაკითხული ტექსტის შინაარსისა და ტექსტური ელემენტების შეფასებასა და კრიტიკულად გააზრებას.

ტექსტში ინფორმაციის ამოცნობა გულისხმობს წინადადებებზე ან გამონათქვამებზე ფოკუსირებას, სადაც მოცემულია ერთი ან რამდენიმე სახის ინფორმაცია, რომლებიც ჩვეულებრივ წინადადებაში კონკრეტული აზრის ან გამონათქვამის სახით შეიძლება ვიპოვოთ. როგორც წესი, ასეთ დროს მოსწავლემ უნდა იპოვოს და ამოიცნოს კონკრეტულ ცნებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, მოძებნოს სიტყვის ან გამონათქვამის განმარტება, განსაზღვროს მოქმედების დრო და ადგილი, განსაზღვროს საკვანძო წინადადებები ან აზრები, თუ ისინი ექსპლიციტურადაა მოცემული.

ტექსტიდან უშუალო დასკვნების გამოტანა ტექსტში მოცემული ინფორმაციისა და მოსაზრებების ერთმანეთთან დაკავშირებით დასკვნების გამოტანას გულისხმობს. თუმცა ტექსტში ექსპლიციტურად მოცემული ინფორმაციის ამოცნობისაგან და გააზრებისაგან განსხვავებით, მოსწავლეს უწევს ყურადღება ტექსტის უფრო ვრცელ მონაკვეთზე ან მთლიან ტექსტზე გაამახვილოს ყურადღება და დასკვნები ამგვარად გამოიტანოს. ეს პროცესი გულისხმობს ისეთი დასკვნების ჩამოყალიბებას, რომლებიც ტექსტში ექსპლიციტურად არ არის მოცემული, თუმცა ტექსტიდან უშუალოდ გამომდინარეობს. მაგალითად, როგორ გამოიწვია ერთმა მოვლენამ მეორე, ტექსტში მოცემული



არგუმენტებიდან რა მთავარი სათქმელი გამომდინარეობს, პერსონაჟებს შორის როგორი დამოკიდებულება ან კავშირია და ა. შ.

წაკითხული მოსაზრებებისა და ინფორმაციის ინტერპრეტაციასა და უკვე არსებულ, დაგროვილ ცოდნასთან ინტეგრირება შედარებით მაღალ სააზროვნო უნარებს მოითხოვს და გულისხმობს ტექსტის მთლიანობაში გაგებას იმგვარად, რომ მკითხველმა მოახერხოს როგორც ტექსტში მოცემული ცალკეული ნაწილის ამოცნობა და ინტერპრეტაცია, ასევე ამ ტექსტში თუნდაც ფარულად ნაგულისხმევი პასაჟის ამოცნობა და ინტერპრეტაცია საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე. ეს პროცესი მოსწავლისგან მოითხოვს განსჯის უნარსა და კრიტიკულ აზროვნებას. მოსწავლემ უნდა შეძლოს ტექსტის მთავარი გმირის განწყობისა და დამოკიდებულებების ამოცნობა, ტექსტის მთავარი სათქმელის იდენტიფიცირება, ვარაუდისა და ფაქტის ერთმანეთისაგან გარჩევა, გარკვეულ საკითხზე საკუთარი აზრის არგუმენტირებულად და ლოგიკურად ჩამოყალიბება.

წაკითხული ტექსტის შინაარსისა და ტექსტური ელემენტების შეფასება და კრიტიკულად გააზრება მთლიანად მკითხველის გამოცდილებას ეფუძნება, რომელიც ძირითადად დამოკიდებულია მის აქტუაზე. ტექსტის შინაარსის კრიტიკულად განხილვისა და გააზრების დროს მკითხველი ერთმანეთს ადარებს სამყაროს მისეულ აქტუასა და ტექსტში მოცემულ ამბავს. წაკითხულიდან გამომდინარე უარყოფს, იღებს ან ნეიტრალური რჩება იმ აზრებისა და ინფორმაციის მიმართ, რაც მიიღო. რეალურ და გამოგონილ სამყაროს შორის ხედავს განსხვავებებს ისეთი მხატვრული ჟანრების ტექსტების გააზრების შედეგად, როგორებიცაა ზღაპარი, იგავი, აგრეთვე სხვადასხვა ტიპის შემეცნებითი თუ საინფორმაციო ტექსტები.


წაკითხულის გააზრების პროცესები PIRLS-ის კვლევაში მოწმდება როგორც საინფორმაციო, ასევე მხატვრული ტექსტების გამოყენებით თანაბრად 50%-50%. ტექსტური დავალებები წაკითხულის გააზრების პროცესების მიხედვით კი შემდეგნაირად ნაწილდება:

კითხვის მიზნები	
მხატვრული ტექსტების გააზრება	50%
საინფორმაციო ტექსტების გააზრება	50%
წაკითხულის გააზრების პროცესები	
ტექსტში ინფორმაციის ამოცნობა	20%
ტექსტიდან უშუალო დასკვნების გამოტანა	30%
წაკითხული მოსაზრებებისა და ინფორმაციის ინტერპრეტაციასა და უკვე არსებულ, დაგროვილ ცოდნასთან ინტეგრირება	30%
წაკითხული ტექსტის შინაარსისა და ტექსტური ელემენტების შეფასება და კრიტიკულად გააზრება	20%

თავდაპირველად 2006 წლის კვლევაში ქართველ მოსწავლეებს უფრო მაღალი მიღწევები ჰქონდათ ტექსტში ინფორმაციის ამოცნობისა და უშუალო დასკვნების გაკეთებასთან დაკავშირებულ დავალებებში, თუმცა 2011 წლიდან 2021 წლის კვლევის ჩათვლით მოსწავლეებს ტექსტის ინტერპრეტაციისა და ინტეგრირებასთან დაკავშირებული დავალებების შესრულება უფრო უადვილდებათ, მაგრამ შედარებით უჭირთ უშუალო დასკვნების გამოტანასთან დაკავშირებული დავალებები.



გრაფიკი 1.2 წაკითხულის გააზრების პროცესების
მაჩვენებლები წლების მიხედვით




თუ მონაცემებს საერთაშორისო კონტექსტში შევხედავთ, ვნახავთ, რომ საქართველო ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ავსტრალიასთან, ირლანდიასთან და ჩრდილოეთ ირლანდიასთან ერთად იმ ქვეყანათა ჩამონათვალში შედის, სადაც კითხვის მიზნების მიხედვით მოსწავლეთა მიღწევებს შორის სხვაობები დიდია და მოსწავლეები უკეთესად ასრულებენ ინტერპრეტაციასთან, ინტეგრირებასთან და შეფასებასთან დაკავშირებულ დავალებებს. ზოგადად ქვეყნების უმრავლესობაში სწორედ ასეთი სურათია, თუმცა მოსწავლეთა მიღწევებს შორის განსხვავებები წაკითხულის გააზრების პროცესის მიხედვით ამდენად მაღალი არ არის (იხ. დანართი 3).

დაბალი მიღწევის ქვეყნებში, მაგალითად, აზერბაიჯანში, კოსოვოში, სამხრეთ აფრიკასა და უზბეკეთში საწინააღმდეგო სურათია. ამ ქვეყნებშიც წაკითხულის გააზრების პროცესების მიხედვით მოსწავლეთა მიღწევები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება, მხოლოდ ამ ქვეყნებში მოსწავლეები ინფორმაციის ამოცნობასთან და უშუალო დასკვნების გაკეთებასთან დაკავშირებულ დავალებებს უკეთ აკეთებენ. ასეთივე სურათია საფრანგეთშიც, სადაც PIRLS-ის კვლევაში მოსწავლეთა მიღწევები მკვეთრად მცირდება.

მიღწევის საერთაშორისო დონეები

PIRLS-ის კვლევის მიხედვით მოსწავლეები ოთხ კატეგორიაში ნაწილდებიან: მიღწევის **უმაღლეს საფეხურზე** მყოფ მოსწავლეებს, როგორც წესი, შეუძლიათ წარმატებით დაძლიონ მაღალი, საშუალო და დაბალი საფეხურის შესაბამისი დავალებები, **მაღალ საფეხურზე** მყოფ მოსწავლეებს შეუძლიათ დაძლიონ საშუალო და დაბალი საფეხურის შესაბამისი დავალებები და ა. შ. ამიტომ მოსწავლეთა მიღწევის დონეებზე განაწილების წარმოსადგენად PIRLS კუმულაციურ პროცენტებს იყენებს.

საერთაშორისო საშუალო მონაცემის მიხედვით მოსწავლეთა 6%-ს არ გააჩნია წაკითხულის გააზრების მინიმალური საბაზისო უნარებიც კი, მიღწევების დაბალი საფეხურის შესაბამის დავალებებს ძლევს მოსწავლეთა 94%, საშუალო საფეხურზე გადადის მოსწავლეთა 75%, მაღალზე - 36%, ხოლო უმაღლესი საფეხურის შესაბამისი დავალებების შესრულება მოსწავლეთა მხოლოდ 7%-ს შეუძლია. უმაღლეს საფეხურზე მყოფ მოსწავლეებს, როგორც წესი, აქვთ ინტერპრეტირებისა და არგუმენტირების მაღალი უნარები, შეუძლიათ ტექსტის სხვადასხვა ნაწილში მოცემული ინფორმაციის ინტეგრირება და ისინი საკმაოდ კარგად ართმევენ თავს როგორც ლიტერატურულ, ასევე საინფორმაციო ტექსტებთან მუშაობას. უნდა ითქვას, რომ წიგნიერების უმაღლეს საფეხურზე უფრო მეტი მოსწავლის არსებობა სულაც არ ნიშნავს, რომ ქვეყანაში წიგნიერების მხრივ კარგი მდგომარეობაა.



საქართველოში საერთაშორისო საშუალო მაჩვენებლის მიხედვით უმაღლესი საფეხურის შესაბამისი ტესტური დავალებების შესრულება მოსწავლეთა მცირე ნაწილს, მხოლოდ 4%-ს შეუძლია. ამ თვალსაზრისით საუკეთესო შედეგები აქვს სინგაპურს (35%), ირლანდიას (27%), ჩრდილოეთ ირლანდიას (23%), ჰონგ-კონგსა (21%) და რუსეთის ფედერაციას (21%). საქართველო წიგნიერების უმაღლეს საფეხურზე მოსწავლეთა რაოდენობის თვალსაზრისით წინ უსწრებს აზერბაიჯანსა და უზბეკეთს, სადაც მიღწევების უმაღლეს საფეხურზე მოსწავლეთა 1%-ზე ნაკლები რაოდენობაა, თუმცა ჩამოუვარდება ლატვიასა და ლიტვას (იხ. დანართი 4).

საქართველოში მდგომარეობა მიღწევის სხვადასხვა საფეხურზე მყოფი მოსწავლეების რაოდენობის მხრივ 2016 წლის კვლევის შედეგებთან მიმართებაში რადიკალურად შეცვლილი არ არის, მაგრამ საერთაშორისო საშუალოსთან მიმართებაში კვლავ გაუმჯობესებას საჭიროებს.

ქვეყანა	უმაღლესი საფეხური (625)	მაღალი საფეხური (550)	საშუალო საფეხური (475)	დაბალი საფეხური (400)	დაბალ ზღვარს მიღმა
საქართველო	4% (0,5)	25% (1.1)	61% (1.5)	87% (1,0)	13%
საერთაშორისო საშუალო	7%	36%	75%	94%	6%



თავი 2 - სახლი და ოჯახი

სახლისა და ოჯახის კონტექსტი

წიგნიერების საერთაშორისო კვლევა შეისწავლის მოსწავლის სასწავლო გარემოსა და ოჯახის აქცენტს წიგნიერებაზე. PIRLS-ის კვლევის შედეგები უკვე მეხუთე ციკლის მანძილზე ადასტურებს, რომ ოჯახსა და სახლში არსებულ გარემოს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის მკითხველად ჩამოყალიბებაში. PIRLS 2021 კვლევა ყურადღებას ორ ძირითად ასპექტზე ამახვილებს, ესენია სასწავლო გარემო სახლში და ოჯახის აქცენტი მოსწავლის წიგნიერებაზე.

მართალია, მხოლოდ ოჯახში არსებული გარემო ვერ იქნება მოსწავლის წიგნიერების განვითარების გარანტი, მაგრამ იმ ოჯახებში, სადაც ოჯახის წევრების მხრიდან კითხვასთან ან წაკითხულთან დაკავშირებით აზრის გამოთქმა ხდება, უფრო მეტი შანსია მოსწავლეს კითხვის მიმართ ინტერესი აღეძრას და გაუღვივდეს. თუ ოჯახში ბავშვი მშობლის წახალისებით ხშირად არის ჩართული კითხვასთან დაკავშირებულ აქტივობებში, დიდი ალბათობით მასში კითხვის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება ჩამოყალიბდება, რადგან ასეთ დროს ვითარდება ის საწყისი უნარები, რომლებიც ბავშვს, როგორც მოსწავლეს ეხმარება კითხვასთან დაკავშირებული სირთულეების უკეთ დაძლევაში.

PIRLS-ის კვლევის მიხედვით, მშობლის წიგნიერებასთან დაკავშირებულ აქტივობებში ჩართულობასა და ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის შესაბამის ინდიკატორებს (მშობლების განათლება და საქმიანობა) ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვების მკითხველად ჩამოყალიბების პროცესში. მოსწავლეები, რომელთაც ბავშვობაში სახლში ნაკლები კონტაქტი აქვთ წიგნებთან, რომელთაც იშვიათად უკითხავენ, ამასთან, მწირია ოჯახის საგანმანათლებლო რესურსი, უფრო ნაკლებ ინტერესს იჩენენ კითხვისადმი და აქვთ სირთულეები წაკითხულის გააზრების პროცესში.

სასწავლო გარემო ოჯახში

ოჯახის საგანმანათლებლო რესურსი

მსოფლიოში მიმდინარე ახალმა ტენდენციებმა გავლენა იქონია PIRLS-ის კვლევის ფარგლებში ოჯახის საგანმანათლებლო რესურსებისა და სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის შეფასებაზე. კერძოდ, ტექნოლოგიურმა პროგრესმა მსოფლიოში გამოიწვია ის, რომ წიგნების ელექტრონულად მკითხველთა რაოდენობა გაიზარდა. ამასთან ზოგიერთი კვლევის თანახმად შემცირდა ნაბეჭდი ტრადიციული სახით გამოცემული წიგნების რაოდენობა სახლებში. ეს და მსგავსი ცვლილებები აისახა PIRLS-ის კვლევაზეც. მაგალითად, სახლში წიგნების რაოდენობის მხრივ თუ მიიჩნეოდა, რომ 26-დან 100-მდე წიგნის სახლში არსებობა საშუალო სოციალურ-ეკონომიკურ შესაძლებლობებზე მიუთითებდა, PIRLS 2021 წლის კვლევაში ეს მონაცემი უკვე მაღალი სოციალურ-ეკონომიკური შესაძლებლობების კატეგორიას განეკუთვნება, რადგან თანამედროვე საზოგადოებაში შემცირებულია მოთხოვნა ნაბეჭდი სახის წიგნების შეძენაზე. იგივე ეხება საბავშვო წიგნების რაოდენობას სახლში. თუ ადრე თვლიდნენ, რომ 26-დან 50-მდე საბავშვო წიგნი საშუალო მაჩვენებელია, ტექნოლოგიური განვითარების შედეგად ეს მონაცემი უკვე მაღალ მაჩვენებლად ითვლება იმ უბრალო მიზეზით, რომ წიგნების დიდი რაოდენობა სახლში საჭირო აღარ არის და ისინი სხვა მრავალმა ალტერნატიულმა საშუალებამ ჩაანაცვლა. რთული სათქმელია აღნიშნული მიდგომა რამდენად ერთნაირად ეხება ყველა ქვეყანას. მაგალითად, ჩვენს ქვეყანაში აღნიშნული ცვლილებები რამდენად იგივე სახით აისახება მოსწავლის საგანმანათლებლო რესურსზე, როგორც ეს ტექნოლოგიურად განვითარებულ ქვეყნებში ხდება. ფაქტია, რომ ოჯახის სოცო-ეკონომიკური ფაქტორი, ისევე როგორც ოჯახის საგანმანათლებლო რესურსი, 2021 წლის კვლევაში სხვაგვარად არის გააზრებული.

სოცო-ეკონომიკური სტატუსის ქულები დაანგარიშებულ იქნა შემდეგი წესით: თუ მოსწავლეს სახლში აქვს 25-ზე მეტი წიგნი და ასევე 25-ზე მეტი საბავშვო წიგნი, მის ერთ-ერთ მშობელს მაინც აქვს უმაღლესი განათლება ან მიაღწია განათლების უფრო მაღალ საფეხურს, ასევე თუ ერთ-ერთი მშობელი მაინც არის პროფესიონალი, მაღალი დონის მენეჯერი ან სპეციალისტი, მაშინ ასეთი მოსწავლის ოჯახი ითვლება მაღალი სოცო-ეკონომიკური




შესაძლებლობების მქონედ (იხ. დანართი 5.1.1). სოციო-ეკონომიკური სტატუსის საერთაშორისო სკალა შემუშავდა იმგვარად, რომ თუ მოსწავლეს აქვს 11,1 და მეტი ქულა, მაშინ ის წარმოადგენს მაღალი სოციო-ეკონომიკური შესაძლებლობების მქონე ოჯახს, საშუალო შესაძლებლობების მქონე ოჯახს შეესაბამება ქულა 8.5-დან 11.1-მდე, ხოლო 8.5-ზე ნაკლები ქულა არის დაბალი შესაძლებლობების მქონე ოჯახის მაჩვენებელი.


სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მოსწავლეთა მიღწევებზე წიგნიერებაში და აღნიშნული სკალით შედეგების თითქმის 10%-ს განსაზღვრავს. ეს ფაქტორი ნარჩუნდება სკოლის ადგილმდებარეობისა და ტიპის (კერძო-საჯარო) გაკონტროლების შემდეგაც. თუმცა უნდა ითქვას, რომ სოფელში სოციო-ეკონომიკური სტატუსით მოსწავლეთა მიღწევების მხოლოდ 5% აიხსნება. ქალაქში, როგორც კერძო, ასევე საჯარო სკოლებში სოციო-ეკონომიკური სტატუსით მოსწავლეთა მიღწევების 10%-ი აიხსნება.

საერთაშორისო კონტექსტში გაანალიზებული მონაცემების მიხედვით, საქართველოში დაბალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის მქონე ოჯახებიდან მოსწავლეთა რაოდენობა მხოლოდ 12%-ია. ზემოთ წარმოდგენილი დათვლის პრინციპითაც კი, საქართველოში დაბალი სტატუსის მქონე ოჯახების წარმომადგენელი მოსწავლეების მიღწევები წიგნიერებაში გაცილებით დაბალია, ვიდრე მაღალი და საშუალო შესაძლებლობების მქონე ოჯახების მოსწავლეთა მიღწევები. აღნიშნული ტენდენცია იკვეთება კვლევაში მონაწილე ყველა ქვეყნისათვის.

გრაფიკი 2.1 ოჯახის სოციო-ეკონომიკური სტატუსი სკოლის ტიპის მიხედვით მიღწევის ქულასთან მიმართებაში




გრაფიკი 2.2 საშუალო მიღწევები წიგნიერებაში ოჯახის სოციო-ეკონომიკური სტატუსის მიხედვით



გარდა აღნიშნული ცვლადებისა, კვლევის წინა პერიოდში (2016 წლის ციკლში) ასევე, ოჯახის საგანმანათლებლო ფაქტორში მოიაზრებდნენ ინტერნეტთან წვდომას და მოსწავლისათვის საკუთარი სამუშაო ოთახის არსებობას. საერთაშორისო კონტექსტში ინტერნეტისადმი ხელმისაწვდომობა ეკონომიკურ ფაქტორად აღარ განიხილება, რადგან განვითარებულ ქვეყნებში ეს სერვისი საყოველთაოა და ხელმისაწვდომობის საკითხი არ დგას. ქართულ კონტექსტში ინტერნეტთან წვდომის, საკუთარი პლანშეტისა თუ სმარტფონის ფლობის/გამოყენების საკითხი კვლავ აქტუალურია და სავარაუდოდ სკოლის ადგილმდებარეობის მიხედვით განსხვავდება.

ამ მოსაზრებით, მშობლებს დავუსვით შეკითხვა, თუ რამდენად აქვთ სახლში ხელმისაწვდომობა ინტერნეტსა, კომპიუტერზე ან პლანშეტსა და სმარტფონზე. აღნიშნული ცვლადები საერთაშორისო სოციო-ეკონომიკური ფაქტორის ნაწილად არ განიხილება, თუმცა ქართულ რეალობაში კლასტერულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ყველა ოჯახს თანაბრად არ მიუწვდება ხელი ამ რესურსზე და **მოსწავლეთა მიღწევებიც განსხვავდება იმისდა მიხედვით, თუ რამდენად უზრუნველყოფილია მშობელი აღნიშნული რესურსით.** მოსწავლეთა 56.6%-ს ოჯახში ელექტრონულ რესურსებზე ხელი სრულად მიუწვდება.


გრაფიკი 2.3 ელექტრონული რესურსები სახლში



მშობლების დამოკიდებულება კითხვისადმი

საქართველო, სერბეთის, მონტენეგროს და აზერბაიჯანის შემდეგ გამოკითხულ ქვეყანათა შორის მეოთხე ადგილზეა, მშობლების მხრიდან კითხვისადმი დადებითი დამოკიდებულებით. კერძოდ, საქართველოში მშობელთა 44%-ს კითხვა ძალიან უყვარს. ზოგადად ყველა ქვეყანაში იმ მშობელთა მოსწავლეებს, რომელთაც ძალიან უყვართ კითხვა უკეთესი მიღწევები აქვთ, ვიდრე მოსწავლეებს, რომელთა მშობლებსაც კითხვა ნაკლებად ან საერთოდ არ უყვართ, თუმცა კითხვისადმი მშობლის დამოკიდებულება მაინც სუბიექტური შეფასებაა და ადამიანი კითხვასთან დაკავშირებულ შეკითხვებს ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით პასუხობს. რასაც ის ფაქტიც ადასტურებს, რომ საერთაშორისო საშუალო მონაცემის მიხედვით მშობელთა მხოლოდ 31%-ს უყვარს კითხვა ძალიან და ისეთ ქვეყნებშიც კი, რომელთა მოსწავლეებსაც წიგნიერებაში ძალიან მაღალი მიღწევები აქვთ (მაგ., სინგაპური, რუსეთი, ინგლისი, ფინეთი, პოლონეთი), მშობლების გაცილებით ნაკლები რაოდენობა მიუთითებს, რომ კითხვა ძალიან უყვარს. საქართველოში დეკლარირებულად კითხვა არ უყვარს მშობელთა მხოლოდ 6%-ს. საერთაშორისო საშუალო შეფასებით ეს მაჩვენებელი 17%-ია.


გრაფიკი 2.4 მოსწავლეთა საშუალო მიღწევები წიგნიერებაში მშობლების კითხვისადმი დამოკიდებულების მიხედვით



კითხვისადმი მშობლის დამოკიდებულების ანალიზი ეყრდნობა სახლში კითხვის სიხშირისა და კითხვისადმი მშობლების დამოკიდებულების განმსაზღვრელ რვა დებულებას მშობელთა პასუხების მიხედვით. ტექნოლოგიურმა პროგრესმა და აქტუალურმა ცხოვრების ტემპმა მთელს მსოფლიოში, ისევე როგორც საქართველოში, შეცვალა მკითხველი. შეიცვალა, როგორც კითხვის ფორმატი, ასევე კითხვის სიხშირე და მიზნები. PIRLS-ის კვლევის მიხედვით, საქართველოში 2016 წლის კვლევაში ყოველდღე ან თითქმის ყოველდღე მშობლების 35.4% სახლში ყოფნისას წიგნს კითხულობდა საკუთარი სიამოვნებისთვის. ეს მონაცემი 2021 წლის კვლევაში 28.6%-მდე შემცირებული. შესაბამისად გაზრდილია იმ მშობელთა რაოდენობა, რომლებიც ძალიან იშვიათად (თვეში ერთხელ ან ორჯერ) ან საერთოდ ვერ ახერხებს წიგნის კითხვას (18.6%, 2021 → 23%, 2016).



გრაფიკი 2.5 მოსწავლეთა საშუალო მიღწევები წიგნიერებაში იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ხშირად კითხულობს მშობელი სახლში სიამოვნებისათვის



ზოგადად მშობლების დამოკიდებულების განმსაზღვრელ რვა დებულებაზე პასუხები უარყოფითი არ არის და მშობელთა დიდი ნაწილი, უმეტესწილად, ეთანხმება ამ დებულებებს. თუმცა მხოლოდ ქართულ მონაცემებზე ჩატარებულმა კლასტერულმა და ფაქტორულმა ანალიზმა გვაჩვენა განსხვავება მშობლების ორ კატეგორიას შორის, რომელთაც პირობითად მკითხველები და ნაკლებად მკითხველები დავარქვით.

ფაქტორულმა ანალიზმა აჩვენა, რომ მკითხველი მშობლები კითხვისადმი დამოკიდებულების მიხედვით საქართველოში შეგვიძლია ორ ნაწილად დავყოთ: ის მშობლები რომლებიც სახლში კითხულობენ მხოლოდ მაშინ, როცა იძულებულნი არიან, რომ რაღაც წაიკითხოთ ან მხოლოდ მაშინ, როდესაც რაიმე ინფორმაციის მიღება სჭირდებათ და ის მშობლები, რომლებიც კითხულობენ იმიტომ, რომ ეს მათ სიამოვნებას ანიჭებთ. კლასტერული ანალიზის მიხედვით მოსწავლეთა 16.8%-ის მშობელი არ მიეკუთვნება არც მკითხველი მშობლების კატეგორიას და არც მშობლების იმ კატეგორიას, რომელიც არ კითხულობს. იმ მშობელთაგან რომლებიც კლასტერებში დაჯგუფდნენ, 58.8% მკითხველია, ხოლო 41.2% ნაკლებად მკითხველი. ეს ორი კლასტერი ძირითადად იმით განსხვავდება, რომ პირველ კლასტერში მკითხველ მშობლებს ნამდვილად უყვართ და სიამოვნებთ კითხვა, რაშიც თავისუფალ დროსაც ხარჯავენ, ხოლო ნაკლებად მკითხველი მშობელი თავისუფალ დროს კითხვის არჩევანში ასეთი დარწმუნებული არ არის.

ცხრილი 2.1 მშობლების კითხვისადმი დამოკიდებულების კლასტერები


მშობლის კითხვისადმი დამოკიდებულების განმსაზღვრელი დებულებები	კლასტერი 1 მკითხველები	კლასტერი 2 ნაკლებად მკითხველები
კითხვა ჩემი ერთ-ერთი საყვარელი ჰობია	სრულიად ეთანხმება 89.2%	ნაწილობრივ ეთანხმება 72.2%
მიყვარს თავისუფალ დროს კითხვა	სრულიად ეთანხმება 90.8%	ნაწილობრივ ეთანხმება 72.7%
კითხვა სიამოვნებას მანიჭებს	სრულიად ეთანხმება 99.9%	სრულიად ეთანხმება 56.5%



კითხვა ჩემს ოჯახში მნიშვნელოვანი საქმიანობაა	სრულიად ეთანხმება 61.6%	ნაწილობრივ ეთანხმება 54.8%
მხოლოდ მაშინ ვკითხულობ, როცა რაიმე ინფორმაცია მჭირდება	სრულიად არ ეთანხმება 46.6%	ნაწილობრივ ეთანხმება 40.8%
მხოლოდ მაშინ ვკითხულობ, როცა იძულებული ვარ	სრულიად არ ეთანხმება 75.5%	სრულიად არ ეთანხმება 36.6%
ვისურვებდი, რომ კითხვისთვის მეტი დრო მექონდეს	სრულიად ეთანხმება 94.8%	სრულიად ეთანხმება 64.2%
მიყვარს აღამიანებთან საუბარი იმაზე, რაც წავიკითხე	სრულიად ეთანხმება 71.6%	ნაწილობრივ ეთანხმება 42.5%

შენიშვნა: ცხრილში მუქი ფერი მიუთითებს დებულების მნიშვნელოვნებას კლასტერებს შორის განსხვავების ჩამოყალიბებაში

გრაფიკი 2.6 მოსწავლეთა საშუალო მიღწევები წიგნიერებაში მკითხველი და ნაკლებად მკითხველი მშობლების მიხედვით




სასაუბრო ენა ოჯახში


2021 წლის ტესტირებაში მონაწილეობდნენ მხოლოდ ქართული სექტორის მოსწავლეები, ამდენად სასაუბრო ენა, როგორც წიგნიერებაში მაღალი მიღწევის შემაფერხებელი გარემოება მიმდინარე კვლევაში მნიშვნელოვან ფაქტორად არ განიხილება. გამოკითხვის მიხედვით მოსწავლეთა 89.9%-ის ოჯახში ყოველთვის ქართულ ენაზე საუბრობენ. 6.2%-ის ოჯახში თითქმის ყოველთვის ქართულ ენაზე საუბრობენ, ხოლო 3.1%-ის ოჯახში მხოლოდ ხანდახან საუბრობენ ქართულად. მცირეა იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომელთა ოჯახებშიც ქართულად საერთოდ არ ლაპარაკობენ (0.8%). მოსწავლეთა ის კატეგორია, რომელთაც სახლში ქართულად საუბრის საშუალება ყოველთვის არ აქვთ, წიგნიერებაში მიღწევების თვალსაზრისით თითქმის არ ჩამოუვარდებიან იმ მოსწავლეებს, რომლებიც ოჯახში ყოველთვის ქართულად საუბრობენ (სხვაობა 6 ქულა), ხოლო მოსწავლეები, რომელთა ოჯახშიც მხოლოდ ზოგჯერ საუბრობენ ქართულად, სტატისტიკურად მიღწევებით მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებიან ოჯახში ქართულად მოსაუბრე ბავშვებს (სხვაობა 48 ქულა).



გრაფიკი 2.7 მოსწავლეთა საშუალო მიღწევები სახლში სალაპარაკო ენის მიხედვით



გრაფიკი 2.8 მოსწავლეთა საშუალო მიღწევები იმის მიხედვით, თუ რამდენად ხშირად ლაპარაკობენ ოჯახში ქართულად



წიგნიერებაში მიღწევების თვალსაზრისით, თავად მოსწავლე რამდენად ხშირად საუბრობს ქართულად სახლში, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, თუ მოსწავლის ოჯახში ქართულად საუბარი ხშირად ისმის.

ქართულ სექტორზე არსებულ მოსწავლეთა შორის დიდი არ არის იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომელთაც ორივე მშობელი სახლში ძირითადად არა ქართულ ენაზე ელაპარაკება, ამას უფრო ხშირად რუსულენოვანი მშობლები აკეთებენ (3.6%), სომხურად და აზერბაიჯანულად მოლაპარაკე მშობელთაგან მოსწავლეთა 1%-ზე ნაკლებია ის რაოდენობა, რომელთაც სახლში მშობლები მხოლოდ თავის ენაზე ელაპარაკებიან. მოსწავლეთა დაახლოებით 1%-ს ორივე მშობელი მეგრულად ელაპარაკება და ასევე მოსწავლეთა 0.7%-ს ორივე მშობელი სხვა ენაზე ელაპარაკება (არა რუსულად, სომხურად, აზერბაიჯანულად და მეგრულად). თუ მოსწავლეს ორივე მშობელი ელაპარაკება სომხურად, აზერბაიჯანულად ან მეგრულად, ასეთ მოსწავლეებს შედარებით უარესი მაჩვენებლები აქვთ წიგნიერებაში, ვიდრე მოსწავლეებს, რომლებსაც მხოლოდ ერთი მშობელი ჰყავს არა ქართულ ენაზე მოსაუბრე. თუმცა მონაცემთა სიმცირის გამო მიღწევებს შორის არსებული სხვაობები სტატისტიკურად სარწმუნო არ არის.




მოსწავლეთა 5.1% სკოლაში შესვლამდე ქართულად საერთოდ არ ლაპარაკობდა, ასეთ მოსწავლეებს საშუალოდ 10 ქულით დაბალი მიღწევა აქვთ იმ მოსწავლეებთან შედარებით, რომლებიც სკოლაში შესვლამდე ქართულად ლაპარაკობდნენ. მოსწავლეთა 2.3% დაიბადა საქართველოს საზღვრებს გარეთ, ასეთ მოსწავლეებს საშუალოდ 8.2 ქულით დაბალი მიღწევები აქვთ. შეიძლება ითქვას, რომ ქართულ სექტორზე არაქართველი მოსწავლეების რაოდენობა ან იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომელთა ოჯახებშიც ქართული ენა ძირითადი სასაუბრო ენა არ არის, მნიშვნელოვნად დიდი არ არის იმისათვის, რომ მოსწავლეთა საერთო მიღწევებზე ზეგავლენა მოახდინოს.

ოჯახის აქცენტი წიგნიერებაზე

წიგნიერებასთან დაკავშირებული ადრეული აქტივობები

საქართველო ყაზახეთის, რუსეთის ფედერაციისა და ჩრდილოეთ ირლანდიის შემდეგ მეოთხე ადგილზეა იმ ქვეყანათა შორის, სადაც მოსწავლეთა დიდ რაოდენობას წიგნიერებასთან დაკავშირებული ადრეული აქტივობები უფრო ხშირად ჰქონდათ სახლში. მოსწავლეთა მხოლოდ 1%-ია, რომელთა მშობლებიც წიგნიერებასთან დაკავშირებულ ადრეულ აქტივობებს არასოდეს ან თითქმის არასოდეს მიმართავდნენ. მოსწავლეთა 59%-ის მშობელი ხშირად მიმართავდა შვილის მიმართ წიგნიერებასთან დაკავშირებულ ადრეულ აქტივობებს, ხოლო 40% - ხანდახან. მიღწევების თვალსაზრისით, საშუალოდ 12 ქულით მეტი აქვთ იმ მოსწავლეებს, რომელთა მშობლებიც ხშირად მიმართავდნენ ასეთ აქტივობებს.

გრაფიკი 2.9 მოსწავლეთა საშუალო მიღწევები მოსწავლის წიგნიერებასთან დაკავშირებული ადრეული აქტივობების მიხედვით



სკოლამდელი განათლება


კვლევის შედეგების მიხედვით სკოლამდელ განათლებაში მონაწილეობა დიდ გავლენას ახდენს მოსწავლის მიღწევებზე წიგნიერებაში. საშუალოდ (თუ არ ჩავთვლით 1 წელზე ნაკლები ხნით სკოლამდელ დაწესებულებაში ყოფნას) სკოლამდელ განათლებაში გატარებული ყოველი მომდევნო თითო წელი მოსწავლეთა წიგნიერებაში მიღწევაში 3 ქულით მაღალ შედეგს იძლევა (იხ. გრაფიკი 2.10).

საქართველოში მოსწავლეთა აბსოლუტური უმრავლესობა (90.7%), რომელთაც კვლევაში მონაწილეობა მიიღეს, დადიოდა ისეთ საბავშვო ბაღში, რომელიც განკუთვნილია 3 წლის ზემოთ ასაკის აღსაზრდელეებისათვის. იმ მოსწავლეთა საშუალო მიღწევა, რომელიც საბავშვო ბაღში არ დადიოდა, დაახლოებით 24 ქულით ჩამოუვარდება სკოლამდელი ფორმალური განათლების მქონე მოსწავლეების საშუალო მიღწევას. სკოლამდელი განათლება, მართალია, ფოკუსირებული არ არის მოსწავლის წიგნიერების უნარების განვითარებაზე, მაგრამ ის აქტივობები,



რომლებსაც მოსწავლე საბავშვო ბაღის პერიოდში ასრულებს, გარკვეულწილად მაინც გულისხმობს წიგნიერებასთან დაკავშირებული დავალებების შესრულებას. ამასთან სკოლამდელ პერიოდში მშობლებიც უფრო მეტად არიან ჩართულნი საკუთარი შვილების წიგნიერებასთან დაკავშირებულ აქტივობებში, რასაც სამომავლოდ, როგორც წესი, თავისი შედეგი აქვს.

გრაფიკი 2.10 მოსწავლეთა საშუალო მიღწევები მოსწავლის სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩართულობის მიხედვით



შენიშვნა: ერთ წელზე ნაკლები ხნით საბავშვო ბაღში მოსწავლეთა 1.9% დადიოდა, რომელთა მიღწევაც სტატისტიკურად სარწმუნო არ არის მონაცემების სიმცირის გამო.

სკოლაში სწავლის დაწყებისას წიგნიერებასთან დაკავშირებული დავალებების შესრულება


საქართველოში კვლევაში მონაწილე მოსწავლეთა 26%, სკოლაში სწავლის დაწყებამდე ძალიან კარგად ართმევდა თავს წიგნიერებასთან დაკავშირებულ დავალებებს. საერთაშორისო საშუალო მონაცემის მიხედვით ეს მაჩვენებელი 31%-ია, ამასთან მთელ რიგ ქვეყნებში მოსწავლეთა 31%-ზე ბევრად მეტია იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც კარგად ართმევდნენ თავს წიგნიერებასთან დაკავშირებულ დავალებებს სკოლაში შესვლამდე. მაგალითად, ყაზახეთსა და უზბეკეთში მოსწავლეთა დაახლოებით ნახევარი (51% და 49% შესაბამისად) კარგად ასრულებდა დავალებებს სკოლაში შესვლამდე.

საქართველოში ბევრია ისეთი მოსწავლე (43%), რომელიც საერთაშორისო საშუალო მაჩვენებელთან (34%) შედარებით ცუდად ან საერთოდ ვერ ასრულებდა წიგნიერებასთან დაკავშირებულ ადრეულ დავალებებს. წიგნიერებასთან დაკავშირებული ადრეული დავალებები მოიცავს ისეთი მარტივი დავალებების შესრულებას, როგორებიცაა ანბანის ასოების ცნობა, სიტყვების, წინადადებებისა და მცირე ზომის მოთხრობების კითხვა, ასევე ასოების, საკუთარი სახელისა და სხვა სიტყვების წერა. როგორც ვნახეთ საქართველო ერთ-ერთ მოწინავე ადგილზე იყო იმის მიხედვით, თუ რა სიხშირით მუშაობდნენ მშობლები ბავშვებთან მათი განვითარების ადრეულ ეტაპზე. თუმცა სხვა ქვეყნებში, მაინც უფრო მეტია ისეთი მოსწავლეების რაოდენობა, რომლებიც სკოლაში შესვლამდე წიგნიერებასთან დაკავშირებულ დავალებებს კარგად ასრულებდნენ.



გრაფიკი 2.11 მოსწავლეთა საშუალო მიღწევები მისი წიგნიერებასთან დაკავშირებული სკოლამდელი უნარების მიხედვით

სკოლაში სწავლის დაწყებისას რამდენად კარგად ართმევდა თავს მოსწავლე წიგნიერებასთან დაკავშირებულ დავალებებს




ადრეულ ასაკში დავალებების შესრულების პირდაპირი ეფექტი მოსწავლეთა მიღწევებზე ძლიერი აღარ არის PIRLS-ის ტესტირების პერიოდისთვის. კერძოდ PIRLS-ის მიღწევების ქულათა ვარიაციის მხოლოდ 1% აიხსნება იმით, თუ რამდენად კარგად ასრულებდა ბავშვი სკოლის დაწყებისას წიგნიერებასთან დაკავშირებულ ადრეულ დავალებებს.

ფაქტორულმა ანალიზმა აჩვენა, რომ აქტივობების თვალსაზრისით ქართველი მშობელი შეიძლება პირობითად დავეყოს ორ კატეგორიად. 1) ტრადიციული მიდგომის მქონე „მშობელი-მასწავლებელი“, რომელიც ბავშვს ამეცადინებს, უკითხავს წიგნებს, ათამაშებს ანბანის ასოებით, ართობს სიტყვების თამაშებით, უწერს და აწერინებს ასოებსა და სიტყვებს და ხმამაღლა უკითხავს ნიშნებსა და წარწერებს; 2) მშობელი, რომელიც ელაპარაკება შვილს, უყვება ამბებს, ესაუბრება იმის შესახებ, დღის განმავლობაში რა გააკეთეს, ესაუბრება იმაზე, რაც წაიკითხეს, ამ კატეგორიას პირობითად „მშობელი-კომუნიკატორი“ დავარქვით.



გრაფიკი 2.12 მშობლის ადრეული აქტივობები მოსწავლის მიღწევის საფეხურისა და ადრეულ წიგნიერებასთან დაკავშირებული ამოცანების გადაჭრის უნარის მიხედვით (ფაქტორის საშუალო ქულა)



მშობელი „მასწავლებელი“-ს ქცევა საწყის ეტაპზე გაცილებით მნიშვნელოვანია და აისახება ბავშვის წიგნიერებასთან დაკავშირებული სკოლამდელი დავალებების შესრულების უნარებზე. მშობელი „კომუნიკატორი“-ს ფუნქციებს თითქოს ამ ეტაპზე ისეთივე მაღალი მნიშვნელობა არა აქვს, თუმცა, ფაქტია, რომ PIRLS-ში მაღალ ან უმაღლეს საფეხურზე მყოფი მოსწავლეების მშობლებს უფრო მეტად ახასიათებდათ „კომუნიკატორის“ აქტივობები, ვიდრე მშობელი „მასწავლებლის“ (იხ. გრაფიკი). ანალიზმა აჩვენა, რომ მშობლის ადრეულ აქტივობებს ზეგავლენა აქვს მოსწავლის სასკოლო მზაობაზე. სკოლაში შესვლის შემდეგ მშობლის ეფექტი ნელ-ნელა მცირდება და ტესტირების პერიოდისათვის მაღალი მიღწევების მქონე მოსწავლეებში მშობელი „მასწავლებლის“ ეფექტი მნიშვნელოვანი აღარ არის.


მშობლის მოლოდინი შვილის განათლებისადმი

მშობლის მაღალი მოლოდინი შვილის მიღწევების მიმართ დიდწილად აისახება მოსწავლის მიღწევებზე. მშობლების მცდელობისა და ჩართულობის ხარისხი დაეხმაროს შვილს სასკოლო აქტივობებში განპირობებულია შვილის განათლებისადმი მოლოდინით. საქართველოში მშობლების 40.7% თვლის, რომ მისი შვილი განათლების საკმაოდ მაღალ საფეხურს მიაღწევს და მინიმუმ მაგისტრის ხარისხი ექნება. მნიშვნელოვნად მაღალია ასეთი მოსწავლეების მიღწევები იმ მოსწავლეებთან შედარებითაც კი, რომელთა მშობლებიც იმედოვნებენ, რომ თავიანთი შვილი უმაღლესი განათლების საბაკალავრო საფეხურს მიაღწევს (სხვაობა 22 ქულა).

ბუნებრივია, მშობლის მოლოდინი მოსწავლის მაღალი აკადემიური მიღწევების მიმართ ბოლომდე ობიექტური შეფასება არ გახლავთ და ხშირ შემთხვევაში უკავშირდება მშობლის სურვილებსა და აღქმებს, მაგრამ ფაქტია, რომ მთელი მსოფლიოს მასშტაბით მშობლის მოლოდინი შვილის განათლებისადმი გარკვეულწილად განაპირობებს მოსწავლეთა უკეთეს მიღწევებს.



გრაფიკი 2.13 თქვენი ვარაუდით მაქსიმუმ რომელ საფეხურს დაამთავრებს თქვენი შვილი?



PIRLS-ის 2011 წლის კვლევის მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ ახლო აღმოსავლეთის, აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნებში მოსწავლეთა მოლოდინი შვილის აკადემიური მიღწევების მიმართ უფრო მაღალია, ვიდრე ევროპის ქვეყნებში. ორდონიანი წრფივი იერარქიული ანალიზის გამოყენებით დადგინდა, რომ ევროპის ქვეყნებში მშობლებმა ყველაზე დაბალი მოლოდინი გამოხატეს, თუმცა მათ გაცილებით მაღალი მოლოდინი ჰქონდათ საკუთარი ქალიშვილების მიღწევების მიმართ, ვიდრე ვაჟების მიმართ. ასევე ევროპულ ქვეყნებში ემიგრანტ მშობლებს მნიშვნელოვნად მაღალი მოლოდინი ჰქონდათ, ვიდრე არაემიგრანტ მშობლებს. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ მშობლები, რომლებიც მიეკუთვნებიან სხვადასხვა კულტურას, იზიარებენ სხვადასხვა დირებულებასა და ნორმებს, განათლებასთან და შვილების მიღწევებთან დამოკიდებულების მიხედვით, განსხვავდებიან სხვადასხვა სოციალურ, კულტურულ თუ ეკონომიკურ გარემოში.


საქართველოში ქალაქში მცხოვრებ მშობლებს უფრო მაღალი მოლოდინი აქვთ შვილების მომავალი განათლების მიმართ, ვიდრე სოფლებში მცხოვრებ მშობლებს და ერთგვარად ესეც სოციო-ეკონომიკური სტატუსით შეიძლება აიხსნას. თუკი გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში მიგრაციის მაჩვენებლები მაღალია როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ, მაშინ, ბუნებრივია, მშობლების მოლოდინიც თავიანთი შვილების განათლების მიმართ იცვლება. 2021 წელს, კვლევის პერიოდისათვის ჰანდემიის პირობებში შემცირებული იყო როგორც ემიგრანტების, ისე იმიგრანტების რაოდენობა და მათი გავლენა მშობლების დამოკიდებულებებზე ნაკლებად იყო ასახული. თუმცა თუკი გავითვალისწინებთ, რომ ბოლო პერიოდში მკვეთრად არის გაზრდილი ემიგრანტთა რაოდენობა, ზოგიერთ შემთხვევაში შვილები მშობლისაგან დისტანცირებულნი არიან და ასეთი მშობლების გავლენა შვილების საგანმანათლებლო აქტივობებზე დაბალია.



ოჯახის ფაქტორები ქალაქსა და სოფელში

ბუნებრივია, ოჯახის ფაქტორები ისევე, როგორც მშობლის მოლოდინი შვილის საგანმანათლებლო მიღწევების მიმართ, სხვა კუთხითაც განსხვავდება ქალაქისა და სოფლის მიხედვით. რეგრესიულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ქალაქში მოსწავლის მიღწევებზე დადებითი ზეგავლენის მოტანა შეუძლია ოჯახის სასწავლო რესურსებს სახლში, წიგნიერებასთან დაკავშირებულ ადრეულ აქტივობებს და იმას, თუ რამდენად უყვართ მშობლებს კითხვა. ეს ფაქტორები სოფელში არ მუშაობს (იხ. გრაფიკი). სოფელში მოსწავლის მაღალი აკადემიური წარმატების განმსაზღვრელია ოჯახის სოციო-ეკონომიკური სტატუსი, მშობლის სკოლისადმი დამოკიდებულება და მოსწავლის აქტივობები როგორც წიგნიერებაში, ასევე რიცხვებთან დაკავშირებული ადრეული აქტივობები. ზემოთ აღნიშნული ოჯახის ფაქტორების მიხედვით ქალაქი და სოფელი განსხვავდება ერთმანეთისაგან, ბუნებრივია, არის ფაქტორებიც, რომლებიც სოფელშიც და ქალაქშიც ერთნაირად მუშაობს. მაგალითად, მოსწავლის თავდაჯერებულობა სოფელშიც და ქალაქშიც დადებით ზეგავლენას ახდენს წიგნიერებაში მიღწევებზე. ასევე თუ მოსწავლე განიცდის ბულინგს, როგორც სოფელში ასევე ქალაქში, წიგნიერებაში უკეთეს მიღწევებს გვიჩვენებს. როგორც ჩანს, მეოთხე კლასში წიგნიერი მოსწავლეები უფრო მტკივნეულად განიცდიან და აღიქვამენ ბულინგს.

გრაფიკი 2.14 ოჯახის ფაქტორები ქალაქსა და სოფელში



თავი 3 - სკოლა

სკოლის კონტექსტი

PIRLS 2021 მონაცემებს აგროვებს და აანალიზებს არა მხოლოდ მოსწავლის დონეზე, არამედ PIRLS სწავლობს სკოლის დონეზე არსებულ სწავლებისათვის მნიშვნელოვან კონტექსტს. ეს კი გულისხმობს ისეთი ფაქტორების შესწავლას, როგორებიცაა სასკოლო რესურსები, სწავლა-სწავლებისათვის განკუთვნილი რესურსი, სასკოლო კლიმატი, დისციპლინა და უსაფრთხოება სკოლაში, სკოლის აქცენტი აკადემიურ მიღწევებზე და სხვა. წინამდებარე თავში განხილულია სწორედ სკოლის როლი და კონტექსტი წიგნიერების მიღწევებთან მიმართებაში.


სასკოლო რესურსი

სკოლის ადგილმდებარეობა, ტიპი, ზომა და შემადგენლობა

ბევრ ქვეყანაში და განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში სკოლები ერთმანეთისაგან განსხვავდება შესაძლებლობებით. ხშირ შემთხვევაში სკოლის რესურსი დამოკიდებულია მის ადგილმდებარეობასა და ტიპზე, რაც თავის მხრივ ხშირად უკავშირდება ოჯახის ეკონომიკურ შესაძლებლობებს. PIRLS-ის კვლევებით დასტურდება, რომ საქართველოში სასკოლო რესურსები და სკოლის შესაძლებლობები ერთმანეთისაგან განსხვავდება სკოლის ტიპის (კერძო და საჯარო სკოლები) და სკოლის ადგილმდებარეობის (ქალაქი, სოფელი) მიხედვით.

კვლევამ აჩვენა, რომ 2021 წელს, მიუხედავად პანდემიით გამოწვეული სირთულეებისა, კვლავ გაგრძელდა ქალაქსა და სოფელს შორის მიღწევებში არსებული სხვაობის შემცირების ტენდენცია. თუმცა ჯერჯერობით ქალაქის სკოლების მოსწავლეთა უპირატესობა წიგნიერებაში სოფლის სკოლის მოსწავლეთთან შედარებით კვლავ სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. კიდევ უფრო საგრძნობია კერძო სკოლების უპირატესობა საჯარო სკოლებთან შედარებით და ამის მიზეზი ალბათ დისტანციური სწავლებისას მოსწავლეთა უფრო მაღალი სოციო-ეკონომიკური სტატუსია, რამაც პანდემიის პირობებში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში დროული და ეფექტური ჩართვის თვალსაზრისით.

გრაფიკი 3.1 მოსწავლეთა მიღწევები წიგნიერებაში სკოლის ტიპისა და ადგილმდებარეობის მიხედვით



საქართველოში 2021 წლის კვლევის შედეგების მიხედვით სკოლისა და კლასის ზომას მოსწავლეთა მიღწევებზე არც ქალაქისა და არც სოფლის სკოლებში მოსწავლეთა მიღწევებზე წიგნიერებაში ზეგავლენა არ აქვს. ამასთან, არც კერძო და საჯარო სკოლებში გვაქვს სხვაობა კლასში მოსწავლეთა რაოდენობისა და სკოლის სიდიდის მიხედვით მოსწავლეთა მიღწევების თვალსაზრისით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორც დიდ, ასევე პატარა სკოლებში გვხვდებიან მაღალი და დაბალი მიღწევების მქონე მოსწავლეები და ეს ხდება ყველგან, მიუხედავად სკოლის ადგილმდებარეობისა და ტიპისა. არსებული შედეგი შესაძლოა პანდემიის პერიოდით იყოს განპირობებული,



როდესაც გაკვეთილები დისტანციურად ან ნახევრად დისტანციურად ტარდებოდა - კლასის ზომამ და სკოლის სიდიდემ, როგორც ფაქტორმა საგაკვეთილო პროცესში აზრი დაკარგა.

მნიშვნელოვანია სხვაობა იმის მიხედვით, თუ როგორია სკოლის შემადგენლობა ოჯახის სოციო-ეკონომიკური სტატუსის მიხედვით. მართალია, აღნიშნული სკოლის დირექტორის პირად აღქმას უკავშირდება და გარკვეულწილად სუბიექტურია, თუმცა იმ სკოლებში, სადაც დირექტორთა აზრით მოსწავლეთა დიდი რაოდენობაა ეკონომიკურად შეძლებული ოჯახებიდან, მიღწევებიც უკეთესია. აღნიშნული კანონზომიერება კვლევაში ჩართულ მრავალ ქვეყანაზე ვრცელდება, მაგრამ აღნიშნული საზომი არ შეიძლება მივიჩნიოთ ქვეყნის რეალური ეკონომიკური პოტენციალის საზომად. მაგალითად, დირექტორების მოსაზრებით ყაზახეთში, ლიეტუვასა და რუსეთში სკოლის ორ მესამედზე მეტი უფრო შეძლებული მოსწავლეებით არის დაკომპლექტებული, ხოლო ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა, მაგალითად, გერმანია, ინგლისი და თუნდაც აზერბაიჯანი, დირექტორების აზრით მოსწავლეთა შედარებით ნაკლები მაჩვენებელია უფრო შეძლებული ოჯახებიდან, ვიდრე საქართველოში (იხ. დანართი 6.1).

ცხრილი 3.1 სკოლის კომპლექტაცია მოსწავლის სოციო-ეკონომიკური შესაძლებლობის მიხედვით - დირექტორის აღქმა


ქვეყანა	უფრო შეძლებული მოსწავლეებით დაკომპლექტებული სკოლა				არც შეძლებული, მაგრამ არც ხელმოკლე მოსწავლეებით დაკომპლექტებული სკოლა				უფრო ხელმოკლე მოსწავლეებით დაკომპლექტებული სკოლა			
	%	საშუალო მიდწევა	%	საშუალო მიდწევა	%	საშუალო მიდწევა	%	საშუალო მიდწევა				
საქართველო	32	(3.5)	502	(3.8)	36	(3.7)	490	(4.9)	32	(3.8)	489	(3.7)
საერთაშორისო საშუალო	43	(0.5)	521	(0.9)	32	(0.5)	502	(0.9)	25	(0.4)	479	(1.2)

მართალია, საერთაშორისო საშუალოსთან შედარებით საქართველოს მონაცემი მოკრძალებულად გამოიყურება და ბევრ ქვეყანაში ჩვენთან შედარებით უკეთესი მდგომარეობაა, 2011 და 2016 წლის კვლევებთან შედარებით სკოლის დირექტორების უფრო დიდი ნაწილი თვლის, რომ მათ სკოლაში მოსწავლეთა უფრო დიდი ნაწილია შეძლებული ოჯახებიდან (2016 წლის კვლევაში ეს მაჩვენებელი 23% იყო, 2021 წლის კვლევაში 32%-ია). ბუნებრივია, ამ თვალსაზრისით განსხვავებულია მდგომარეობა ქალაქისა და სოფლის სკოლებში და ასევე კერძო და საჯარო სკოლებში. გასათვალისწინებელია, რომ დირექტორის აღქმა მოსწავლის ეკონომიკური შესაძლებლობების შესახებ სუბიექტურია, თუმცა თბილისში საჯარო სკოლის დირექტორების 41% ამბობს, რომ მათი სკოლები უფრო ხელმოკლე მოსწავლეებით არის დაკომპლექტებული. კერძო სკოლები როგორც დედაქალაქში, ასევე სხვაგანაც გასაგები მიზეზების გამო უფრო შეძლებული მოსწავლეებით არის დაკომპლექტებული.




გრაფიკი 3.2. სკოლების შემადგენლობა მოსწავლის ოჯახის ეკონომიკური შესაძლებლობების მიხედვით

სკოლების შემადგენლობა მოსწავლის ოჯახის ეკონომიკური შესაძლებლობების მიხედვით




კვლევის მიხედვით საერთაშორისო დონეზე მნიშვნელოვანი კავშირია სკოლის ეკონომიკურ მახასიათებლებს თავის მხრივ განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობები, რაც ასევე მნიშვნელოვანი პრედიქტორი ცვლადია, როდესაც ქვეყნების მიღწევებზე ვმსჯელობთ. მომდევნო გრაფიკზე ნაჩვენებია ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი ეროვნული პროდუქტის და წიგნიერების მიღწევები ქვეყნებში.

გრაფიკი 3.3. ქვეყნების მიღწევები წიგნიერებაში ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი ეროვნული პროდუქტის მიხედვით (GNI)



როგორც ქვეყნის, ასევე სკოლისა და ოჯახის ეკონომიკური შესაძლებლობები მოსწავლეთა მიღწევებზე დადებითად აისახება. ანალიზი აჩვენებს, რომ როგორც ქვეყნების, ასევე ეროვნული სკოლის დონეზე უკეთესი ეკონომიკური შესაძლებლობების მქონე სკოლების მიღწევები უფრო მაღალია.

გრაფიკი 3.4. მოსწავლეთა მიღწევები წიგნიერებაში სკოლის ტიპისა და ადგილმდებარეობის მიხედვით



სკოლის დირექტორის განათლება და გამოცდილება

საქართველოში საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტი განსაზღვრავს სკოლის დირექტორის ცოდნასა და უნარებს, ასევე პროფესიულ ღირებულებებსა და ვალდებულებებს, რომლებიც ოთხ ძირითად მიმართულებას მოიცავს, ესენია 1) საგანმანათლებლო ლიდერობა; 2) სასწავლო პროცესის ადმინისტრირება და ანგარიშვალდებულება; 3) თვითგანვითარება და თანამშრომელთა პროფესიული განვითარება; 4) თემთან, ინსტიტუციებთან და დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა. საქართველოში სკოლის დირექტორი 6 წლის ვადით ირჩევა დია კონკურსის წესით და ერთ პირს ერთ სკოლაში დირექტორობა მხოლოდ ორი ვადით შეუძლია.


საქართველოში სკოლის დირექტორების ფორმალური განათლების საკითხი პრობლემური არ არის, ჩვენს ქვეყანაში მოსწავლეთა 99% სწავლობს სკოლაში, რომლის დირექტორიც ფლობს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დიპლომს. სკოლის დირექტორების განათლების ეს მაჩვენებელი სხვა ქვეყნებთან შედარებით საქართველოში საკმაოდ მაღალია. საერთაშორისო მაჩვენებლის მიხედვით გამოკითხული მოსწავლეების დაახლოებით ნახევარზე მეტს ჰყავს სკოლის დირექტორი, რომელსაც მაგისტრის დიპლომზე ნაკლები აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი აქვს. ფორმალური განათლების პრობლემა საქართველოში არც 2016 წელს იყო, ამ პერიოდში მოსწავლეთა 96%-ს ასწავლიდა მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე დირექტორი.

რაც შეეხება სკოლის დირექტორების გამოცდილებას, საქართველოში სტანდარტულად სკოლის დირექტორი 12 წელზე მეტი ხნის (12.35 წ.) განმავლობაში მაინც არის ამ თანამდებობაზე. ეს ნიშნავს, რომ ერთი პირი თავისი ცხოვრების მანძილზე სულ მცირე 2 სკოლაში მაინც არის დირექტორი. საქართველოში გვხვდებიან ადამიანები, რომელთაც სკოლის დირექტორობის 24 და მეტი წლის გამოცდილება აქვთ, ასეთი სკოლის დირექტორების რაოდენობა საკმაოდ მაღალია და 11.9%-ს შეადგენს.



პირდაპირი კორელაციური კავშირი სკოლის დირექტორების სტაჟსა და მოსწავლეთა მიღწევებს შორის არ გვაქვს, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ გამოცდილი დირექტორებისა და ე.წ. ახალი დირექტორების სკოლის მოსწავლეთა საშუალო მიღწევები წიგნიერებაში მცირედ, მაგრამ სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდება. მოსწავლეთა უმრავლესობა მეორე (37.9%) ან მესამე (23.6%) ვადით არჩეული დირექტორის მიერ მართულ სკოლაში სწავლობს, ხოლო იმ მოსწავლეთა მიღწევები, რომელთაც შედარებით ახალი სკოლის დირექტორები ჰყავთ (3 წლამდე მუშაობის სტაჟი) შედარებით დაბალია - 10.4%.

გრაფიკი 3.5. მოსწავლეთა მიღწევები სკოლის დირექტორების სტაჟის მიხედვით



დისციპლინა და უსაფრთხოება სკოლაში


დისციპლინა სკოლაში

საგაკვეთილო პროცესში დისციპლინის არარსებობა მკვეთრად ხელის შემშლელი ფაქტორი შეიძლება აღმოჩნდეს მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში ჩართვისა და, შესაბამისად, მოსწავლის აკადემიური მიღწევების თვალსაზრისით. PIRLS-ის კვლევის შედეგების მიხედვით ეს ფაქტი დასტურდება და მეტად დისციპლინირებული სკოლა კვლევაში მონაწილე ქვეყნების უმრავლესობაში (იხ. დანართი 6.5) მოსწავლეთა მეტ მიღწევებს ნიშნავს. თუმცა ჩვენს ქვეყანაში დისციპლინის საკითხი მოსწავლეთა მიღწევებზე ნაკლებად აისახება. ამის მიზეზი შესაძლოა ორი რამ იყოს, ან მეტად დისციპლინირებულ სკოლაში მასწავლებელი მაინც ვერ ახერხებს მოსწავლეთათვის მეტი ხარისხით ცოდნის მიწოდებას სხვადასხვა მიზეზის გამო; ან დისციპლინის საკითხი იმდენად უმნიშვნელოა, რომ ნებისმიერ სკოლაში მასწავლებლებს მაინც თანაბრად შეუძლიათ უზრუნველყონ მოსწავლეების საგაკვეთილო პროცესში იმგვარად ჩართვა, რომ დისციპლინის საკითხი მიღწევებზე არ აისახოს.

საქართველოში სკოლის დირექტორების პასუხების მიხედვით დისციპლინა სკოლების მხოლოდ 7.4%-ში წარმოადგენს პრობლემას. 2016 წელს ეს მაჩვენებელი 12% იყო, თუმცა თუ გავითვალისწინებთ, რომ კვლევის პერიოდამდე სკოლები ნახევრად დისტანციურ და დისტანციურ რეჟიმში აგრძელებდნენ სწავლას, დისციპლინის პრობლემის შემცირება ლოგიკურია, რადგან ამ დროს მოსწავლეებს ნაკლები შეხება ჰქონდათ როგორც ერთმანეთთან, ასევე მასწავლებლებთან, ვიდრე ეს ტრადიციული სწავლების დროს იყო.




გრაფიკი 3.6. მოსწავლეთა მიღწევები სკოლაში დისციპლინის მიხედვით



2021 წელს დისციპლინის დარღვევის ყველაზე გავრცელებული ფორმა იყო კარნახი და გადაწერა. ეს პრობლემა სკოლის დირექტორების 56.9%-მა დაასახელა როგორც სხვადასხვა სიმძიმის პრობლემა. პრობლემათა ჩამონათვალში შემდეგ მოდის გაკვეთილების გაცდენისა და სკოლაში დაგვიანების პრობლემა.

გრაფიკი 3.7. დისციპლინის პრობლემები სკოლაში




2016 წელთან შედარებით შემცირებულია სიხშირე ყველა იმ კრიტიკული პრობლემის დასახელებისა, რომლებსაც ღირეუტორები სკოლისათვის სერიოზულ პრობლემად მიიჩნევენ. ერთადერთი საკითხი, რომელიც კვლევის წინა ციკლთან შედარებით უფრო მაღალია, ეს არის კარნახისა და გადაწერის პრობლემა, რომელსაც სკოლის ღირეუტორები უფრო მაღალი სიხშირით ასახელებენ.

ცხრილი 3.1 დისციპლინის დარღვევის ფორმები	PIRLS 2016	PIRLS 2021	ცვლილება
მოსწავლეების მიერ მასწავლებლებისა და სკოლის პერსონალის დაშინება და სიტყვიერი შეურაცხყოფა	10.5%	6.8%	-3.6% ↓
ქურდობა	12.1%	6.8%	-5.3% ↓
ვანდალიზმი	12.0%	7.0%	-5.0% ↓
მოსწავლეების მიერ ერთმანეთის დაშინება და სიტყვიერი შეურაცხყოფა	9.4%	6.9%	-2.5% →
გაკვეთილის მსვლელობისთვის ხელის შეშლა	8.4%	6.7%	-1.7% →
ბილწსიტყვაობა	11.2%	6.7%	-4.5% ↓
მოსწავლეთა შორის ფიზიკური დაპირისპირება	10.1%	6.8%	-3.2% ↓
სკოლაში დაგვიანება	5.0%	2.3%	-2.8% →
გაკვეთილების გაცდენა	7.4%	4.3%	-3.2% ↓
კარნახი, გადაწერა	4.1%	5.2%	1.1% ↑

უსაფრთხო და მოწესრიგებული სკოლა

სკოლის ღირეუტორის აღქმა სკოლაში დისციპლინასთან და სკოლის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით შედარებით სუბიექტურია, ვიდრე ეს მასწავლებლების პასუხებზე დაგვიანება. მოსწავლეთა ორ მესამედზე მეტი (76.6%) სწავლობს სკოლაში, რომლის მასწავლებელიც სრულიად ეთანხმება მოსაზრებას, რომ მისი სკოლა აბსოლუტურად უსაფრთხო და მოწესრიგებულია. მცირეა იმ მოსწავლეთა რაოდენობა (6.4%), რომლებიც უსაფრთხო სკოლაში არ სწავლობენ და, შესაბამისად, ასეთი მოსწავლეების მიღწევები სტატისტიკურად მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება უსაფრთხო სკოლების მოსწავლეთა მიღწევებს. მასწავლებელთა პასუხების მიხედვით სკოლის უსაფრთხოების საკითხი ბევრად სერიოზულია და სცილდება სკოლაში დისციპლინის მსუბუქი სიმძიმის დარღვევების საკითხს. საქართველოში ისევე, როგორც ქვეყანათა უმრავლესობაში მასწავლებლის მიერ უსაფრთხოდ და მოწესრიგებულად მიჩნეულ სკოლებში ნამდვილად უკეთესი მიღწევების მქონე მოსწავლეები სწავლობენ. ამ შემთხვევაში საქართველოს მონაცემი თანხვედრაშია საერთაშორისო მონაცემთან და შეიძლება ვიფიქროთ, რომ მასწავლებელი სკოლაში მოწესრიგებული და უსაფრთხო გარემოს მაჯისცემას უკეთესად გრძნობს.

გრაფიკი 3.8. მოსწავლეთა მიღწევები სკოლის უსაფრთხოებისა და მოწესრიგებულობის მიხედვით




საქართველო 2016 წლის კვლევაში ყაზახეთის შემდეგ მეორე ადგილზე იყო მასწავლებლების მიერ სკოლის უსაფრთხოების აღქმის თვალსაზრისით. მაშინ მოსწავლეთა მხოლოდ 12%-ს ასწავლიდა მასწავლებელი, რომელიც თვლიდა, რომ სკოლა მისთვის და მოსწავლისათვის უსაფრთხო ადგილი არ იყო. როგორც ვხედავთ, ეს მაჩვენებელი 2021 წლის კვლევაში კიდევ უფრო შემცირებულია და საქართველო სკოლის მოწესრიგებულობის თვალსაზრისით მასწავლებელთა აღქმით მნიშვნელოვან პრობლემებს არ განიცდის.

ბულინგი სკოლაში

სკოლის დირექტორების, მასწავლებლებისა და მოსწავლეების აღქმა სკოლაში დისციპლინასთან დაკავშირებულ საკითხებზე ხშირ შემთხვევაში შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან, როდესაც საქმე ეხება ისეთ გარემოს, სადაც სამივე მხარეს საკუთარი ინტერესები და სიმართლე აქვს. მასწავლებელს უბრალოდ შეიძლება გამოორჩეს მოსწავლეთა შორის არსებული ურთიერთობების დეტალები და ის, თუ რამდენად განიცდის მოსწავლე ამა თუ იმ ქმედებასა თუ დამოკიდებულებას. ამიტომ სკოლაში არსებული ბულინგის შესახებ მოსწავლეებს ვეკითხებოდით. მოსწავლეთა 84.6% ამბობს, რომ ბულინგი მის სკოლაში თითქმის არ ხდება, მოსწავლეთა 11.4%-ის აზრით ბულინგის შემთხვევა თვეში ერთხელ მაინც ხდება, ხოლო მოსწავლეთა 4.1% ამბობს, რომ კვირაში ერთხელ მაინც არის ასეთი ფაქტის შემსწრე.


გრაფიკი 3.9. მოსწავლეთა მიღწევები ბულინგის მიხედვით



ის მოსწავლეები, რომლებიც ბულინგის შესახებ საუბრობენ, წიგნიერებაში გაცილებით დაბალ მიღწევებს გვაჩვენებენ, ვიდრე მოსწავლეები, რომელთა აზრითაც ბულინგის შემთხვევები თითქმის არ ხდება. 2016 წლის კვლევასთან შედარებით მოსწავლეთა რაოდენობა, რომელიც ბულინგზე საუბრობდა, შემცირებულია. მაშინ საერთო ჯამში ბულინგის ფაქტებზე დაახლოებით 26% მიუთითებდა, 2021 წელს კი - 15.1%. საქართველოში მოსწავლეთა მიერ ბულინგის ფაქტების რაოდენობა შემცირებულია.



გრაფიკი 3.10. მოსწავლეთა ბულინგის ფორმები



ცხრილი 3.2

დისციპლინის დარღვევის ხშირი ფორმები (კვირაში ერთხელ მაინც)

დისციპლინის დარღვევის ხშირი ფორმები (კვირაში ერთხელ მაინც)	PIRLS 2016	PIRLS 2021	ცვლილება
დამცინოდნენ ან ცუდ სიტყვებს მეძახდნენ	11.4%	4.7%	-6.7% ↓
არ მეთამამებოდნენ ან არ მრთავდნენ თავიანთ აქტივობებში	17.1%	11.6%	-5.5% ↓
ავრცელებდნენ ტყუილებს ჩემ შესახებ	8.5%	5.8%	-2.7% ↓
რაღაც მომპარეს	5.4%	4.0%	-1.5% →
დამარტყეს ან მატყინეს	8.2%	4.4%	-3.8% ↓
მაიძულეს, გამეკეთებინა ისეთი რაღაც, რაც არ მინდოდა	3.8%	3.0%	-0.8% →
ინტერნეტით გაავრცელეს უხერხული ან შეურაცხმყოფელი ინფორმაცია ჩემ შესახებ	4.3%	1.6%	-2.7% ↓
დამემუქრნენ	4.0%	2.0%	-2.0% ↓




სასკოლო კლიმატი

მშობლის დამოკიდებულება საკუთარი შვილის სკოლისადმი


მშობლის დამოკიდებულება საქართველოში საკუთარი შვილის სკოლისადმი უმრავლეს შემთხვევაში დადებითია. გამოკითხული მშობლების 84.7% კმაყოფილია საკუთარი შვილის სკოლით. თუმცა მშობლის კმაყოფილების მაჩვენებელი არ აისახება მოსწავლეთა მიღწევებზე.

გრაფიკი 3.11. მოსწავლეთა მიღწევები იმის მიხედვით, თუ რამდენად არის მშობელი სკოლის აკადემიურ მიღწევებზე აქცენტი კმაყოფილი



აღსანიშნავია, რომ მშობლების დამოკიდებულება დადებითია როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლების მიმართ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართველი მშობლები ნაკლებად კრიტიკულები არიან საკუთარ პასუხებში სხვადასხვა მოსაზრების გამო, რადგან ისინი დადებითად პასუხობენ არა მხოლოდ სკოლის უსაფრთხოებასთან, მშობლის ჩართულობასთან და სკოლასა და მშობელს შორის კომუნიკაციასთან დაკავშირებულ კითხვებს, არამედ ასევე დადებითად აფასებენ იმას, თუ რამდენად ახერხებს სკოლა მაღალი აკადემიური სტანდარტები დაამკვიდროს და იზრუნოს მოსწავლის მიღწევებზე სკოლაში.

გრაფიკი 3.12 მშობლის კმაყოფილება საკუთარი შვილის სკოლით




წინა წლებთან შედარებით მშობლების დამოკიდებულება სკოლისადმი დიდად შეცვლილი არ არის. 2016 წლის კვლევაში მშობლების სკოლისადმი დამოკიდებულება ასევე საკმაოდ მაღალი 87%, ხოლო 2011 წელს 88% იყო. ზოგადად საქართველო სკოლისადმი პოზიტიურად განწყობილი მშობლების რაოდენობით გამოირჩევა და ყოველთვის იმ ქვეყანათა ხუთეულშია, სადაც მშობლები სკოლების მიმართ დადებითად არიან განწყობილნი.



სკოლის აქცენტი აკადემიურ მიღწევებზე

სკოლის აქცენტი აკადემიურ მიღწევებზე წიგნიერებაში გულისხმობს როგორც მასწავლებლის მხრიდან სასწავლო გეგმის გააზრებისა და წარმატებით შესრულების მცდელობებს, ასევე მოსწავლეთა და მათი მშობლების მხრიდან სწავლა-სწავლების პროცესში შესაბამის აქტიურ ჩართულობას მაღალი აკადემიური მიზნების მიღწევის მიზნით. PIRLS-ის კვლევის ფარგლებში სკოლის აქცენტი აკადემიურ მიღწევებზე ფასდება როგორც სკოლის დირექტორის, ასევე სკოლის მასწავლებლების მხრიდან.

გრაფიკი 3.13 სკოლის აკადემიურ მიღწევებზე აქცენტის აღქმა დირექტორის და სკოლის მასწავლებლის მიერ




სკოლის დირექტორების შეფასებით მოსწავლეთა მხოლოდ 3.7% სწავლობს ისეთ სკოლაში, რომელსაც დაბალი აკადემიური მიზნები აქვს. სკოლების ნახევარზე მეტს დირექტორების აღქმით აქვს მაღალი აკადემიური მიზნები. ასეთ სკოლებში მოსწავლეთა 57.1% სწავლობს. იმ სკოლების მოსწავლეების მიღწევები, რომლებიც აღიარებენ, რომ მაღალი აკადემიური მიზნები არ აქვთ, სტატისტიკურად არ განსხვავდება მაღალი აკადემიური აქცენტის მქონე სკოლების მოსწავლეების მიღწევებისაგან.



სკოლის მასწავლებლების შეფასებით სკოლის აქცენტი აკადემიურ მიღწევებზე უფრო მაღალია, ვიდრე ამას დირექტორების პასუხები გვიჩვენებს. მასწავლებლების პასუხების მიხედვით, მოსწავლეთა 10% სწავლობს სკოლაში, რომელსაც ძალიან მაღალი აკადემიური მიზნები აქვს. დირექტორებისა და მასწავლებლების შეფასებებს შორის არსებული განსხვავება განპირობებულია მშობელთა შესახებ დასმული შეკითხვებით. ამასთან დირექტორები უფრო კრიტიკული და მომთხოვნები არიან და ნაკლებად ეთანხმებიან იმ დებულებებს, რომლებსაც მასწავლებელი უფრო სუბიექტურად აღიქვამს და დადებით პასუხს სცემს. მეორე მხრივ, მასწავლებელი უშუალოდ არის ჩართული და უფრო ნათლად უნდა ხედავდეს და პრაქტიკულად აფასებდეს სკოლაში არსებულ ვითარებას, თუნდაც მშობლებთან და მოსწავლეებთან მიმართებაში.

მასწავლებლის შეფასებების შემთხვევაში სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობა მოსწავლეთა წიგნიერებაში მიღწევებს შორის არ არის იმისდა მიუხედავად, აქვს თუ არა სკოლას ძალიან მაღალი და მაღალი აქცენტი აკადემიურ მიღწევებზე. დირექტორის შეფასებებში სკოლის მაღალი აქცენტი კი აკადემიურ მიღწევებზე და მოსწავლეთა შედეგებშიც ჩანს.


გრაფიკი 3.14 სკოლის აქცენტი აკადემიურ მიღწევებზე



საქართველო სკოლების მაღალ აკადემიურ მიღწევებზე აქცენტის მხრივ კვლევაში მონაწილე ქვეყნებს შორის მოწინავე პოზიციებზე ნამდვილად არ არის და მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება რეიტინგული სიის სათავეში მყოფ ქვეყნებს (იხ. დანართი 6.4), თუმცა ჩვენი ქვეყნის მსგავსი მონაცემები აქვთ ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა, მაგალითად, გერმანია, უნგრეთი და ლატვია. საერთაშორისო საშუალოს მიხედვით მაღალი აქცენტი აკადემიურ მიღწევებზე სკოლების 10%-ს აქვს. PIRLS-ში მონაწილე ქვეყნების მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სკოლის აქცენტი აკადემიურ მიღწევებზე ყოველთვის არ ნიშნავს მაღალ აკადემიურ მიღწევებს წიგნიერებაში. პირიქითაც კი შეიძლება ითქვას, რომ ის ქვეყნები, რომელთაც ყველაზე მაღალი ინდექსი აქვთ აკადემიურ მიღწევებზე სკოლის აქცენტის თვალსაზრისით, უარეს შედეგებს აჩვენებენ წიგნიერებაში, ვიდრე თუნდაც ის ქვეყნები, რომელთაც დაბალი ინდექსი აქვთ (იტალია, ნორვეგია, უნგრეთი, ნიდერლანდები, ჰონგ-კონგი და ა. შ.).



გრაფიკი 3.15. მოსწავლეთა მიღწევები და სკოლის აქცენტი აკადემიურ მიღწევებზე ქვეყნების მიხედვით




მოსწავლის სკოლისადმი მიკუთვნებულობის განცდა

მოსწავლის სკოლისადმი მიკუთვნებულობის განცდა უმნიშვნელოვანესია მისი განვითარების, ფსიქოსოციალური ჯანმრთელობის, საგანმანათლებლო მიღწევებისა და უბრალოდ კარგად ყოფნისა და სამომავლოდ მოზარდობიდან ზრდასრულად ჩამოყალიბების თვალსაზრისით. საქართველოში სკოლის მოსწავლეთა ორ მესამედს (74.8%) სკოლისადმი მაღალი მიკუთვნებულობის განცდა აქვს. მნიშვნელოვანია, რომ ეს შედეგი არ შეცვლილა 2016 წლის შემდეგ (75%) და პანდემიის პერიოდმა მოსწავლეთა სკოლისადმი მიკუთვნებულობის განცდაზე უარყოფითად არ იმოქმედა.




გრაფიკი 3.16. მოსწავლეთა მიღწევები მასწავლებლის სკოლისადმი მიკუთვნებულობის განცდის მიხედვით



საქართველოში, ისევე როგორც კვლევაში მონაწილე მრავალ ქვეყანაში, სკოლისადმი მიკუთვნებულობის განცდის მიხედვით საშუალოდ უფრო მაღალი მიღწევები აქვთ წიგნიერებაში იმ მოსწავლეებს, რომლებსაც სკოლისადმი მიკუთვნებულობის ძალიან მაღალი განცდა აქვთ.

PIRLS-ის კვლევაში მეოთხე კლასის მოსწავლეები იღებენ მონაწილეობას. ამდენად სკოლისადმი მიკუთვნებულობის მაღალი განცდა გასაკვირი არ არის. მოზარდების უფრო მაღალ ასაკში სკოლისადმი მიკუთვნებულობის განცდა მცირდება (იხ. TIMSS 2019, ეროვნული ანგარიში, გვ.217).

გრაფიკი 3.17. სკოლისადმი მიკუთვნებულობის განცდის მაჩვენებლები მეოთხე კლასში



თავი 4 - კლასი და მასწავლებელი

კლასის კონტექსტი

კლასი არის ადგილი, სადაც მოსწავლე უშუალოდ იღებს სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებულ მითითებებსა და ინსტრუქციებს. ამდენად, PIRLS-ის კვლევა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საკლასო ფაქტორების შესწავლას, რომლებიც დაკავშირებულია კითხვის შესწავლასთან. საკლასო ფაქტორები გულისხმობს გაკვეთილზე მოსწავლის ჩართულობას, სასწავლო სტრატეგიებს, რომლებიც უკავშირდება მოსწავლის გააზრების უნარებს, მოსწავლისათვის მიცემული ტექსტების, დავალებების შინაარსს, საკლასო ბიბლიოთეკების არსებობას, საკლასო შეფასების საკითხებს. ასევე, კვლევა სწავლობს საგაკვეთილო პროცესში ციფრული ტექნოლოგიებისა და რესურსების გამოყენების საკითხს, საკლასო კლიმატის, მასწავლებლის მომზადების, პროფესიული განვითარებისა და კმაყოფილების დონეს.


მასწავლებლის პროფილი

მოსწავლის მიდევნებზე ბევრი სხვადასხვა ფაქტორი ახდენს გავლენას. ეს ფაქტორები მოიცავს ოჯახურ ცხოვრებას, საზოგადოებას, კვების რაციონს, კლასგარეშე აქტივობებში ჩართვასა და სასკოლო გარემოს. თუმცა, მასწავლებელს აქვს უშუალო ზეგავლენა მოსწავლის აკადემიური მიდევნების ჩამოყალიბებაზე და იგი არის მოსწავლის განათლებაზე მოქმედი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი (Rockoff 2004; Rivkin, Hanushek and Kain 2005; Aaronson). სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი იმის გამოკვლევა, თუ მასწავლებლის რომელი მახასიათებლები შეიძლება იყოს დაკავშირებული მოსწავლეთა მიდევნებთან. ყველა სკოლას აქვს მასწავლებელთა ასაკის, სქესის, სამუშაო გამოცდილების, განათლების, მოსწავლე-მასწავლებელთა თანაფარდობის განსხვავებული ნაზავი. PIRLS-ის ფარგლებში ხდება მასწავლებლის მახასიათებლების შესწავლა, რაც შეიძლება დაეხმაროს განათლების სისტემას მასწავლებელთა რესურსების გამოყენებით მოსწავლის მიდევნების გაზრდის უნიკალური გზების მიგნებაში.

მასწავლებლის განათლება

PIRLS-ის კვლევის მიხედვით მასწავლებლების განათლებასა კრიტიკულად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ეფექტიანი სასწავლო პროცესის წარმართვაში. მასწავლებელს უნდა ჰქონდეს გავლილი შესაბამისი სასწავლო კურსი, რომლის ფარგლებშიც მას დაგროვილი აქვს ცოდნა იმ საგანში, რომელსაც ასწავლის, ერკვევა მოსწავლის სწავლა სწავლების თავისებურებებში და ფლობს პედაგოგიკის იმ მიდგომებს, რომელიც საჭიროა კონკრეტული საგნის ეფექტურად სწავლებისათვის. კვლევაში ჩართულ თითქმის ყველა ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც მასწავლებელს მოეთხოვება მინიმუმ 4 წლიანი ფორმალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი. საქართველოში მასწავლებელთა 73.5%-ს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი აქვს.

გრაფიკი 4.1 მოსწავლის მიდევნები, მასწავლებლის ფორმალური განათლების მიხედვით




მასწავლებლის გამოცდილება

მასწავლებლის განათლებასთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მის გამოცდილებას. განსაკუთრებით საყურადღებოა მასწავლებლის განათლება მასწავლებლობის პირველ წლებში, ხოლო შემდეგ მისი გამოცდილება და მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული ქმედებები ავითარებს ისეთ პედაგოგიურ უნარებს, რომლებიც დადებითად უნდა აისახოს მოსწავლის მიღწევებზე. PIRLS-ის კვლევის მიხედვით მასწავლებლობის 5 წლის სტაჟის შემდეგ მასწავლებლის ეფექტი შესამჩნევი ხდება მოსწავლის მიღწევებთან მიმართებაში.


საქართველოში 2021 წლის კვლევაში მასწავლებლის სტაჟსა და განათლებას მოსწავლის მიღწევებზე ეფექტი არ მოუხდენია, თუმცა მასწავლებლის ასაკის მიხედვით მოსწავლეთა საშუალო მიღწევებს შორის სხვაობები შეინიშნება.

რეგრესიულ მოდელში მასწავლებლის მიერ მიღებული ფორმალური განათლების მიმართულებებსაც თუ გავითვალისწინებთ და ასევე მათ მიერ გავლილ საკითხებს გავანალიზებთ, ვნახავთ, რომ მოსწავლეთა მიღწევების დიდი ნაწილი არც ამ მასწავლებლის ფორმალური განათლებით იხსნება საქართველოში (2.7%), თუმცა მასწავლებლის დაბალ ასაკთან ერთად ცხადი ხდება, რომ მასწავლებლის ფორმალურ განათლებას და ზოგიერთ იმ საკითხს, რომლებსაც მასწავლებელი ფორმალური განათლების პროცესში ეუფლება, მოსწავლის მიღწევებზე დადებითი ეფექტი აქვს. მაგალითად, პედაგოგიკა და კითხვის სწავლების მეთოდოლოგია არის საკითხი რომლის ცოდნაც დადებითად აისახება მოსწავლეთა მიღწევებზე.

გრაფიკი 4.2 მოსწავლის მიღწევები, მასწავლებლის ასაკის მიხედვით



გრაფიკი 4.3 მასწავლებლის განათლების და გამოცდილების ეფექტი მოსწავლის მიღწევებზე



მასწავლებლის პროფესიული და სამსახურებრივი კმაყოფილება

სკოლაში კვალიფიციური მასწავლებლების შესანარჩუნებლად მნიშვნელოვანია ხელსაყრელი სამუშაო პირობების შექმნა. თანამშრომლობა და მხარდაჭერა, ისევე როგორც სხვა სოციალური ფაქტორები, როგორებიცაა სკოლის პოზიტიური კულტურა და სკოლის დირექტორის, როგორც ლიდერის მანასიათებლები, მასწავლებელთა სამუშაოთი კმაყოფილების შენარჩუნებისა და გაძლიერების საფუძველია (Johnson, S.M., Kraft, M.A., & Papay, J.P. (2012); Kelly, S., & Northrop, L. (2015); Skaalvik, E.M., & Skaalvik, S. (2011)). ამის საპირისპიროდ, სამუშაო სტრესით გამოწვეული ემოციური გადაღლა უარყოფითად მოქმედებს მასწავლებლის სამუშაო კმაყოფილებაზე. PIRLS-ის კვლევაში 2006 წლიდან მიმდინარეობს მასწავლებლის სამუშაოთი კმაყოფილების შესახებ მონაცემების შეგროვება, ხოლო 2016 წლის კვლევის ფარგლებში PIRLS-მა შექმნა მასწავლებლის სამუშაო კმაყოფილების სკალა (PIRLS 2016 - ეროვნული ანგარიში).


მასწავლებლის კმაყოფილება PIRLS-ის მიხედვით განისაზღვრება იმით, თუ რამდენად ხშირად გრძნობს მასწავლებელი კმაყოფილებას საკუთარი პროფესიით, რამდენად მნიშვნელოვნად და არსებითად მიაჩნია საკუთარი სამსახური და პროფესია, რამდენად ენთუზიაზმით არის განწყობილი საკუთარი სამუშაოს მიმართ, არის თუ არა მისთვის სამუშაო შთაგონების წყარო, ამაყობს თუ არა საკუთარი სამსახურით და ბოლოს, რამდენად დაფასებულად გრძნობს თავს, როგორც მასწავლებელი.

მასწავლებლის კითხვარის ამ დებულებების მიხედვით (პასუხები: *ძალიან ხშირად, ხშირად, ხანდახან, არასდროს ან თითქმის არასდროს*) შეიქმნა ცვლადი, რომელიც წარმოადგენს მასწავლებლის სამსახურით კმაყოფილების ინდექსს. ზღვრული ქულების საშუალებით მოსწავლეები დაყოფილია სამ კატეგორიად: მოსწავლეები, რომლებსაც ასწავლიან ძალიან კმაყოფილი მასწავლებლები; მოსწავლეები, რომლებსაც ასწავლიან ნაკლებად კმაყოფილი მასწავლებლები და მოსწავლეები, რომლებსაც ასწავლიან ნაწილობრივ კმაყოფილი მასწავლებლები.



მასწავლებლები, ისევე როგორც მშობლები, ხშირ შემთხვევაში გამოხატავენ დადებით განწყობებს სკოლისა და საკუთარი საქმიანობის მიმართ. თუმცა ამ შემთხვევაში ნაკლებად კმაყოფილი მასწავლებლის მოსწავლეებს უარესი შედეგები აქვთ წიგნიერებაში, ვიდრე ძალიან კმაყოფილი მასწავლებლების მოსწავლეებს.


PIRLS-ის კვლევებში ზოგადად ძალიან ცოტაა ისეთი მასწავლებელი, რომელიც მასწავლებლის შრომითი კმაყოფილების ინდექსის მიხედვით უკმაყოფილოა. საერთაშორისო საშუალო მონაცემის მიხედვით, ეს რაოდენობა 5%-დან 6%-მდე მერყეობს ხოლმე. ამასთან საშუალოდ იმ მოსწავლეთა მიღწევები, რომლებსაც ძალიან კმაყოფილი და გარკვეულწილად კმაყოფილი მასწავლებლები ასწავლიან, მიღწევების თვალსაზრისით ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან. ასეთივე სურათი იყო საქართველოში 2016 წელს. იმ პერიოდში საქართველოში მასწავლებელთა 72% იყო ძალიან კმაყოფილი საკუთარი საქმიანობით, თუმცა ამ მასწავლებლის მოსწავლეთა მიღწევები სტატისტიკურად ისეთივე იყო, როგორც გარკვეულწილად კმაყოფილი მასწავლებლების მოსწავლეთა შედეგები. 2021 წელს საქართველოში საგრძნობლად გაიზარდა ძალიან კმაყოფილი მასწავლებლების რაოდენობა და მათი მიღწევები მცირედ, მაგრამ სტატისტიკურად მნიშვნელოვნად უფრო მაღალია, ვიდრე გარკვეულწილად კმაყოფილი მასწავლებლების მოსწავლეთა მიღწევები. რაც შეეხება უკმაყოფილო მასწავლებლებს, ასეთი მასწავლებლების წილი ძალიან ცოტაა და მათი შედეგი სტატისტიკურად სარწმუნო არ არის.




როგორც ვხედავთ, საქართველოში მოსწავლეების 90%-ზე მეტს ასწავლიან მასწავლებლები, რომლებიც ძალიან კმაყოფილი არიან საკუთარი სამსახურით. თითქმის არ არიან ისეთი მოსწავლეები, რომელთა მასწავლებლები ნაკლებად კმაყოფილი არიან სამსახურით. უნდა ითქვას, რომ კავშირი მასწავლებლის კმაყოფილების ინდექსსა და მოსწავლის მიღწევას შორის თითქმის არ არსებობს ($r = 0.05$).



გრაფიკი 4.5. მასწავლებლის შრომითი კმაყოფილების მაჩვენებლები



გრაფიკი 4.6 მასწავლებლის კმაყოფილება სამსახურით სხვადასხვა ქვეყანაში



ცხრილი 4.1 სკოლაში აქცენტი აკადემიურ მიღწევებზე (მასწავლებლის თვალსაზრისით) და მისი კავშირი მოსწავლის ქულასთან

დაბალი ან საშუალო კმაყოფილების მქონე ქვეყნები	<i>b</i>	<i>b.t</i>	<i>r</i> ²	მაღალი კმაყოფილების მქონე ქვეყნები	<i>b</i>	<i>b.t</i>	<i>r</i> ²
გერმანია	13.11	10.04	6.9%	უზბეკეთი	2.6	1.74	0.4%
სინგაპური	8.51	5.87	3.9%	საქართველო	2.52	1.83	0.3%
თურქეთი	7.97	6.6	4.6%	ლატვია	2.15	1.21	0.2%
ფინეთი	7.55	5.1	2.5%	პოლონეთი	1.58	1.27	0.1%
ინგლისი	6.16	4.35	2.5%	აზერბაიჯანი	-0.6	-0.25	0.0%
ჩრდილოეთ ირლანდია	6.11	5.12	3.0%	ლიეტუვა	-1.61	-1.21	0.2%
ჩეხეთის რესპუბლიკა	3.65	3.22	0.7%	ყაზახეთი	-1.94	-1.8	0.4%

მასწავლებელთა შრომითი კმაყოფილება იმ ქვეყნებში უფრო მაღალია, რომელთაც შედარებით დაბალი მიღწევები აქვთ და ამასთან, მასწავლებლის შრომითი კმაყოფილება მოსწავლის შედეგებზე უფრო მეტად აისახება, სადაც მასწავლებელთა კმაყოფილება უფრო დაბალია. როგორც ჩანს, შრომითი კმაყოფილების გამოხატვა უფრო კულტურული ფენომენია და ის მოსწავლეთა მიღწევებთან ბევრ ქვეყანაში კავშირში არ არის. ასეთივე ვითარებაა საქართველოშიც.

მასწავლებელთა შრომითი კმაყოფილება იმ ქვეყნებში უფრო მაღალია, რომელთაც შედარებით დაბალი მიღწევები აქვთ და ამასთან, მასწავლებლის შრომითი კმაყოფილება მოსწავლის შედეგებზე უფრო მეტად აისახება, სადაც მასწავლებელთა კმაყოფილება უფრო დაბალია.


ამასთან, ზოგიერთ ქვეყანაში, სკოლის აქცენტი მოსწავლის აკადემიურ წარმატებაზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონე ფაქტორია მოსწავლის მიღწევის თვალსაზრისით. მაგალითად, გერმანიაში წრფივი რეგრესიის კოეფიციენტი 13-ის ტოლია ($r^2 \approx .07$).

შეიძლება ითქვას, რომ 2021 წელს, კოვიდის პანდემიის პირობებში მასწავლებლების შრომითი კმაყოფილების საგრძნობი ზრდა უკავშირდებოდა მასწავლებლების პროფესიის მნიშვნელოვნების აღქმას. ამასთან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მასწავლებელთა დატვირთვა შემცირდა, შემცირდა საგაკვეთილო პერიოდი და მასწავლებელს მეტი თავისუფალი დრო მიეცა. იყო ასევე ახალი გამოწვევები, რომლებიც ციფრული ტექნოლოგიების ათვისებასა და გამოყენებას გულისხმობდა, რასაც მასწავლებლებმა მეტ-ნაკლებად კარგად გაართვეს თავი. შესაძლოა ეს საკითხი დამატებით კვლევას საჭიროებს, თუმცა ფაქტია, რომ ის მასწავლებელი, რომელიც კმაყოფილია თავისი შრომითი საქმიანობით 2021 წელს საგრძნობლად მეტია და მათი მოსწავლეები წიგნიერებაში მცირედ, მაგრამ უკეთეს მიღწევებს აჩვენებენ იმ მასწავლებლებთან შედარებით, რომლებიც საკუთარი საქმიანობით ნაკლებად კმაყოფილნი არიან.

მასწავლებლის სამსახურებრივი კმაყოფილებით განისაზღვრება მისი დამოკიდებულება, კონკრეტულ სამუშაო ადგილზე არსებული სამუშაო პირობებისა და კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან ურთიერთობისადმი. ამასთან ერთად, PIRLS-ის ფარგლებში გროვდება ინფორმაცია მასწავლებლის პროფესიით კმაყოფილების შესახებ, რომლის მიზანია იმის დადგენა, თუ როგორია მასწავლებლის დამოკიდებულება, ზოგადად მასწავლებლის პროფესიისადმი: რამდენად მნიშვნელოვნად მიაჩნია მას მასწავლებლის პროფესია, ამაცობს, თუ არა საკუთარი პროფესიით და დაფასებულად გრძნობს თუ არა თავს, როგორც მასწავლებელი, საზოგადოების მხრიდან. ეს ყოველივე მნიშვნელოვანია იმის დასადგენად, თუ რა ადგილი უჭირავს მასწავლებლის პროფესიას საზოგადოებაში და რა ნაბიჯების გადადგმა საჭიროა განათლების პოლიტიკაში მასწავლებლის პროფესიის პრესტიჟის ამაღლების მიზნით. საქართველოში, ამ მონაცემების სტატისტიკური მარკენებლები ასეთია:




გრაფიკი 4.7 მე კმაყოფილი ვარ მასწავლებლის პროფესიით



მოსწავლეთა დაახლოებით 85%-ის მასწავლებლები ხშირად ან ძალიან ხშირად განიცდიან კმაყოფილებას საკუთარი პროფესიით. უნდა აღინიშნოს, რომ იმ მოსწავლეების საშუალო ქულა, რომელთა მასწავლებლებიც ძალიან ხშირად განიცდიან საკუთარი პროფესიით კმაყოფილებას აღემატება იმ მოსწავლეების საშუალო ქულას, რომელთა მასწავლებლები ხშირად განიცდიან იმავეს.

450

გრაფიკი 4.8 ჩემი სამუშაო ძალიან მნიშვნელოვანი და არსებითია



მოსწავლეების 96%-ის მასწავლებლები ძალიან ხშირად გრძნობენ იმას, რომ მათი სამუშაო ძალიან მნიშვნელოვანი და არსებითია.

510

500

490

480

470


460

450

440




გრაფიკი 4.9 მე ვამაყობ ჩემი საქმით



მოსწავლეების 91%-ის მასწავლებლები ძალიან ხშირად განიცდიან სიამაყის გრძნობას საკუთარი პროფესიის გამო. ამასთან, ამ მოსწავლეების საშუალო ქულა არსებითად აღემატება მოსწავლეთა იმ ჯგუფის საშუალო ქულას, რომელთა მასწავლებლები მხოლოდ ხშირად განიცდიან პროფესიის გამო სიამაყის გრძნობას.

გრაფიკი 4.10 თავს დაფასებულად ვგრძნობ, როგორც მასწავლებელი




მოსწავლეთა მხოლოდ 60%-ის მასწავლებლები განიცდიან ძალიან ხშირად პროფესიის გამო დაფასებულობას. 10%-ის მასწავლებლები მხოლოდ ხანდახან განიცდიან დაფასებულობას. მოსწავლეების ამ ჯგუფების საშუალო ქულებს შორის სხვაობა არსებითი არ არის.

როგორც ვხედავთ, საქართველო იმ ქვეყნებს შორისაა, სადაც მასწავლებლები თავს დაფასებულად გრძნობენ. 90%-ზე მეტია იმ მოსწავლეების წილი, რომელთა მასწავლებლები ხშირად განიცდიან დაფასებულობის გრძნობას საკუთარი პროფესიის გამო.



გრაფიკი 4.11 რამდენად ხშირად გრძნობ თავს დაფასებულად, როგორც მასწავლებელი



მასწავლებელთა პროფესიული განვითარება

პროფესიული განვითარების მიზანია დაეხმაროს მასწავლებლებს გაიდრმავეთ თავიანთი ცოდნა და გაზარდონ სწავლების ეფექტურობა. პროფესიული განვითარების აქტივობები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მასწავლებელთათვის უახლესი მოვლენების გასაცნობად, როგორც იცა სასწავლო გეგმის ცვლილებები ან სწავლების ახალი ტექნოლოგიები. მაგალითად, პროფესიულ განვითარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მასწავლებელთა მოსამზადებლად იმ მიმართულებით, თუ როგორ უნდა ჩართონ ონლაინ კითხვა სასწავლო პრაქტიკაში (Coiro, J. 2012). იმისათვის, რომ პროფესიული განვითარება იყოს ეფექტური, საჭიროა მასწავლებლების ჩართვა ამ აქტივობებზე წარმოდგენილი კონკრეტული ამოცანების მეშვეობით. ამავე დროს, პროფესიული განვითარების აქტივობა უნდა იყოს მდგრადი, უწყვეტი და უზრუნველყოს მასწავლებლები მათი სასწავლო პრაქტიკის შესახებ რეფლექსიის შესაძლებლობით (Capps, D.K., Crawford, B.A., & Conostas, M.A. (2012); Darling-Hammond, L., & McLaughlin, M.W. (2011)). ასევე აუცილებელია მხარდაჭერის სისტემის არსებობა, რომელმაც უნდა წაახალისოს მასწავლებლები, მონაწილეობა მიიღონ პროფესიულ განვითარებაში. 2001 წლიდან PIRLS მუდმივად აწარმოებს მასწავლებლების გამოკითხვას მათი პროფესიული განვითარების შესახებ. PIRLS 2021-ის მასწავლებლის კითხვარში წარმოდგენილია კითხვები და დებულებები პროფესიული განვითარების შინაარსობრივი სფეროების შესახებ და გროვდება ინფორმაცია როგორც მასწავლებლის მონაწილეობაზე, ასევე პროფესიული განვითარების კონკრეტული მიმართულებების საჭიროებებზე (მაგ. წაკითხვის გააზრების უნარებისა და სტრატეგიების სწავლება, ციფრული წიგნიერება). PIRLS 2021 ასევე აგროვებს მონაცემებს პროფესიული განვითარების ტიპის შესახებ (მაგ., სემინარები, მენტორებზე წვდომა), რომლებიც მასწავლებლებს ყველაზე სასარგებლოდ მიაჩნიათ, ასევე პროფესიული განვითარების აქტივობებში მასწავლებელთა მონაწილეობის ხელისშემშლელი პირობების შესახებ.

PIRLS-ის საერთაშორისო მონაცემების მიხედვით ბევრი ქვეყანა მიმართავს და ეტაპობრივად ზრდის ძალისხმევას იმისათვის, რომ მასწავლებელს ჰქონდეს პროფესიული განვითარების უფრო მეტი შესაძლებლობა. პროფესიული განვითარება მასწავლებლისათვის, ერთი მხრივ, არის ცოდნის გადრმავების საშუალება, ხოლო, მეორე მხრივ, საკუთარი ეფექტურობის შენარჩუნების საშუალება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცვალებად გარემოში, მაგალითად, როდესაც იცვლება კურიკულუმი, ხდება ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და ა. შ. თანამედროვე




სამყაროში, როდესაც ციფრულმა ტექნოლოგიებმა თითქმის ყველა სფეროში შეაღწია, ხდება კითხვის ონლაინ საშუალებების გამოყენება საგაკვეთილო პროცესის დროს, ასევე მუშავდება ახალი, ელექტრონული ტიპის დავალებები და ამოცანები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში მასწავლებლების გადამზადებას საჭიროებს და პროფესიული განვითარების აუცილებლობა ამ თვალსაზრისით ბევრ ქვეყანაში აუცილებლობას წარმოადგენს. ამ და სხვა მრავალი მიზეზის გამო განათლების სისტემები ხელს უწყობს პედაგოგებს მონაწილეობა მიიღონ პროფესიულ გადამზადებასთან დაკავშირებულ აქტივობებში.

საქართველოში მასწავლებლების პროფესიულ აქტივობებში ჩართულობა საკმაოდ მაღალია. მოსწავლეთა 70%-ზე მეტს ასწავლის მასწავლებელი, რომელსაც ბოლო ორი წლის მანძილზე გავლილი აქვს წაკითხულის გააზრების უნარებისა და სტრატეგიების სწავლების ტრენინგი (72.8%) და ტრენინგი, რომლის თემატიკაა სწავლების დიფერენცირება მოსწავლეთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებით (72.3%).

მოსწავლეების დაახლოებით 73%-ს ასწავლიან მასწავლებლები, რომლებსაც წარსულში მონაწილეობა აქვთ მიღებული წაკითხულის გააზრების უნარებისა და სტრატეგიების სწავლების მეთოდის პროფესიული განვითარების აქტივობებში. ამ მოსწავლეების საშუალო ქულა მნიშვნელოვნად აღემატება იმ მოსწავლეების საშუალო ქულას, რომელთა მასწავლებლებს არ მიუღიათ მონაწილეობა ამ სახის პროფესიული განვითარების აქტივობებში.

გრაფიკი 4.12 პროფესიული განვითარების აქტივობები: წარსულში მონაწილეობა და მომავლის პრიორიტეტი




მოსწავლეების დაახლოებით 90%-ს ასწავლიან მასწავლებლები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ პირისპირ ტრენინგები მათთვის სასარგებლო იყო. თუმცა, ამ მოსწავლეების საშუალო ქულა არსებითად არ განსხვავდება დანარჩენი მოსწავლეების საშუალო ქულისაგან.

მოსწავლეების უმრავლესობას ასწავლიან მასწავლებლები, რომლებსაც პირისპირ ტრენინგები, პროფესიული ზედამხედველის დახმარება, მასწავლებელთა პროფესიული ასოციაციები, პროფესიული განვითარების




ონლაინ კურსები მიაჩნიათ სასარგებლოდ, თუმცა მასწავლებლების ეს მოსაზრება არ აისახება მათი მოსწავლეების მიდევნებზე, რადგან ამ მოსწავლეების საშუალო ქულა არსებითად არ განსხვავდება იმ მოსწავლეების საშუალო ქულისაგან, რომელთა მასწავლებლები არ თვლიან, რომ პროფესიული განვითარების ეს ღონისძიებები სასარგებლო იყო მათთვის.

გრაფიკი 4.13 რამდენად სასარგებლოა პროფესიული განვითარების ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან თითოეული?



რა დონეზე აფერხებს ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული ფაქტორი პროფესიული განვითარების პროგრამებში მონაწილეობას?

გრაფიკი 4.14 პროფესიული განვითარების პროგრამებში მონაწილეობის ხელისშემშლელი ფაქტორები



საკმაოდ მაღალია იმ მოსწავლეების წილი, რომელთა მასწავლებლებს მიაჩნიათ, რომ შინაარსობრივი შეუსაბამობა, დროში შეუთავსებლობა და ფინანსური ხარჯები გარკვეულწილად წარმოადგენს პროფესიული განვითარების აქტივობებში მონაწილეობის ხელისშემშლელ ფაქტორებს, თუმცა სკოლის ადმინისტრაციისაგან მხარდაჭერის ნაკლებობა საერთოდ არ მიაჩნიათ ხელისშემშლელ ფაქტორად მოსწავლეების დაახლოებით 69%-ის მასწავლებლებს.

აკადემიური წარმატების მნიშვნელობა სკოლაში

აკადემიური წარმატებებისადმი მაღალი მოლოდინების მქონე სკოლის ატმოსფერომ შეიძლება ხელი შეუწყოს სკოლაში სასწავლო პროცესის წარმატებას. კვლევამ აჩვენა, რომ არსებობს დადებითი კავშირი აკადემიურ წარმატებაზე სკოლის აქცენტსა და მოსწავლის აკადემიურ მიღწევებს შორის (Martin, M.O., Foy, P., Mullis, I.V.S., & O'Dwyer, L.M. (2013); Nilsen, T., & Gustafsson, J.-E. (2014)). კოლექტიური პასუხისმგებლობა აკადემიური წარმატების ხელშეწყობის საკითხში და ნდობა სკოლის პერსონალს, მშობლებსა და მოსწავლეებს შორის არის დადებითი აკადემიური გარემოს საფუძველი სკოლაში. PIRLS 2011-დან დაწყებული, სკოლის დირექტორებსა და მასწავლებლებს შორის გროვდება ინფორმაცია სკოლის ამ მნიშვნელოვანი მახასიათებლის შესახებ, რომელიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: მასწავლებლის მიერ სკოლის სასწავლო გეგმის მიზნების გააზრება, სკოლის სასწავლო გეგმის რეალიზაცია, მასწავლებლების, მშობლების და დირექტორების მოლოდინი მოსწავლეთა აკადემიური წარმატების მიმართ, მოსწავლეთა დამოკიდებულებას აკადემიურად წარმატებული თანაკლასელების მიმართ.


მოსწავლეების მხოლოდ 1%-ს ასწავლიან ისეთი მასწავლებლები, რომლებიც თვლიან, რომ მათ სკოლაში მასწავლებლის მიერ სკოლის სასწავლო გეგმის გააზრების ხარისხი არის დაბალი. უნდა აღინიშნოს, რომ მათი მოსწავლეების საშუალო ქულა ჩამოუვარდება იმ მოსწავლეების საშუალო ქულას, რომელთა მასწავლებლებს მიაჩნიათ, რომ მათ სკოლაში სასწავლო გეგმის გააზრების ხარისხი საშუალო მაინც არის.

სასწავლო გეგმის გააზრებასთან ერთად მნიშვნელოვანია მისი რეალიზაცია სასწავლო პრაქტიკაში.


ამ შემთხვევაშიც ძალზე მცირეა იმ მოსწავლეების წილი (1%), რომელთა მასწავლებლები თვლიან, რომ მათ სკოლაში სასწავლო გეგმის წარმატებით განხორციელების ხარისხი დაბალია და ამ მოსწავლეების საშუალო ქულა ჩამოუვარდება იმ მოსწავლეების საშუალო ქულას, რომელთა მასწავლებლებს მიაჩნიათ, რომ სკოლაში სასწავლო გეგმა საშუალო დონეზე მაინც რეალიზდება.



გრაფიკი 4.15 სკოლაში მასწავლებლის მიერ სკოლის სასწავლო გეგმის მიზნების გააზრების ხარისხი




გრაფიკი 4.16 სკოლაში მასწავლებლის მიერ სკოლის სასწავლო გეგმის განხორციელების წარმატების ხარისხი




მოსწავლეთა 82%-ზე მეტს ასწავლიან მასწავლებლები, რომლებიც თვლიან, რომ სკოლის მასწავლებლებს მაღალი მოლოდინი აქვთ თავიანთი მოსწავლეების მიღწევების მიმართ. ამასთან ამ მოსწავლეების საშუალო ქულა არსებითად აღემატება იმ მოსწავლეების საშუალო ქულას, რომელთა მასწავლებლებს მიაჩნიათ, რომ თავიანთი სკოლის მასწავლებლებს ნაკლები მოლოდინი აქვთ საკუთარი მოსწავლეების მიღწევებისადმი.

გრაფიკი 4.17 სკოლის მასწავლებლების მოლოდინი მოსწავლეების მიღწევების მიმართ



გრაფიკი 4.18 სკოლის ხელმძღვანელობასა და მასწავლებლებს შორის თანამშრომლობა სასწავლო პროცესის დასაგეგმად



მოსწავლეების 92%-ს ასწავლიან მასწავლებლები, რომლებიც თვლიან, რომ თავიანთი სკოლის მასწავლებლებს აქვთ მოსწავლეების მოტივირების მაღალი ან დალიან მაღალი უნარი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მახასიათებლის შესაბამისი მოსწავლეთა ჯგუფების საშუალო ქულებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ არის.



მოსწავლეების დაახლოებით 93%-ის მასწავლებლების აზრით მათი სკოლის ხელმძღვანელობასა და პედაგოგებს შორის თანამშრომლობის ხარისხი სასწავლო პროცესის დაგეგმვის საკითხში მაღალია. თუმცა ამ მოსწავლეების საშუალო ქულა მნიშვნელოვნად არ აღემატება იმ მოსწავლეების საშუალო ქულას, რომელთა მასწავლებლებიც ასე არ ფიქრობენ.

მოსწავლის ჩართულობა კითხვის გაკვეთილებზე

საზოგადოდ, სწავლა მიმდინარეობს მოსწავლის კოგნიტური ჩართულობით სასწავლო მასალის შესაბამისი ცოდნის პირობებში. მოსწავლის ჩართულობა სასწავლო პროცესში გულისხმობს მოცემულ მომენტში მის კოგნიტურ ინტერაქციას სასწავლო შინაარსთან. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის ის ელემენტები, რომლებსაც გავლენა აქვთ მოსწავლის კოგნიტურ ჩართულობასა და მასალის ცოდნაზე.

პირველ რიგში, ეს არის შინაარსის შესაბამისობა მოსწავლის მზაობასთან. ეს იმას ნიშნავს, რომ სასწავლო შინაარსი უნდა იყოს სასწავლო გეგმის ნაწილი და მოსწავლის უნდა შეეძლოს მისი დაკავშირება იმ ცოდნასთან, რომელიც მას უკვე აქვს. ამ კომპონენტს შეიძლება ვუწოდოთ **მასალის შინაარსის დონის ადეკვატურობა**.

მეორე მნიშვნელოვანი კომპონენტია სასწავლო აქტივობაში მოსწავლის მიერ ინფორმაციის დამუშავების გათვალისწინება. აქტივობის ფორმატი უნდა მოითხოვდეს მოსწავლის მიერ მასალის დამუშავებას იმისათვის, რომ მან შეიძინოს ახალი ცოდნა. ამ მეორე კომპონენტს შეიძლება ვუწოდოთ **მასალის დამუშავების შესაძლებლობა**.

გარდა ამისა, ცხადია, რომ მოსწავლის ჩართულობა აქტიური პროცესია, რომელიც მოითხოვს მისგან დამატებით მენტალურ ძალისხმევას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მასალის დასწავლას და მოგვიანებით მის გახსენებას. სხვადასხვა სახის ფიზიოლოგიურმა ბარიერმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს მის ყურადღებასა და სხვა მენტალურ პროცესზე. ამ კომპონენტს შეიძლება ვუწოდოთ **ფიზიოლოგიური მზაობა**.

ბოლოს, კვლავ იმის გამო, რომ სწავლა აქტიური პროცესია, კოგნიტურ ჩართულობაზე გავლენას ახდენს მოსწავლის ნება. ზოგჯერ შესაძლებელია ახლის დასწავლა მოხდეს სრულიად შემთხვევით, როდესაც პიროვნება მონაწილეობას დებულობს აქტივობაში საკუთარი სურვილის გარეშე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა საკლასო სასწავლო აქტივობა მოითხოვს მოსწავლის სურვილს (რომელიც შესაძლოა არ იყოს სახალისო) მასში მონაწილეობისადმი. ამ, მეოთხე კომპონენტს შეიძლება ვუწოდოთ **მოტივაცია** (McLaughlin, et al., 2005, April).

მოსწავლის ჩართულობას შესაძლოა ხელი შეუწყოს მასწავლებლის მიერ წარმართულმა სასწავლო აქტივობებმა, თანაკლასელებთან დისკუსიამ, ან ტექსტზე დამოუკიდებელმა მუშაობამ. მასწავლებლის გამოწვევაა გამოიყენოს სწავლების ეფექტური მეთოდები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლის ჩართულობას სასწავლო შინაარსში. მოსწავლის ჩართულობისადმი მხარდამჭერი საკლასო გარემო მოიცავს კოგნიტურ აქტივაციას, სასწავლო მასალის მიწოდების მკაფიო და კარგად სტრუქტურირებულ ფორმას, უკუკავშირს მასწავლებლის მხრიდან და მოსწავლის საჭიროებებისა და ინტერესებისადმი ადაპტირებულ სწავლებას (Klieme. Et al., 2009).


მასალის მიწოდების სიცხადე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და იგი მოიცავს მოსწავლისათვის შინაარსის მიწოდებას ადვილად აღსაქმელი ფორმით და მოსწავლის მიერ მასალის გააზრებისადმი ხელშეწყობას. გარდა ამისა, მოსწავლის ჩართულობას ხელს უწყობს თავისთავად საინტერესო შინაარსის საკითხავი მასალა.

მოსწავლის ჩართულობის სკალა PIRLS-მა შეიმუშავა 2011 წელს და იგი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა მასწავლებლის მიერ მასალის მიწოდებას მოსწავლისათვის, მასწავლებლის მოლოდინების სიცხადეს, მოსწავლისათვის საინტერესო საკითხავი მასალის გადაცემას, მოსწავლის დამოუკიდებლობის მხარდაჭერასა და კითხვის უნარების განმავითარებელი მრავალფეროვანი მიდგომების გამოყენებას.



მოსწავლის ჩართულობის სკალა დადგინდა მოსწავლის კითხვარის 9 დებულების მიხედვით, რაშის მოდელის გამოყენებით (Rasch partial credit model, Masters, 1982; Masters & Wright, 1997). ზღვრული ქულების გამოყენებით სკალა დაიყო სამ კატეგორიად. „ძალიან ჩართული“ შეესაბამება 9 დებულებიდან 5-ის შემთხვევაში მოსწავლის პასუხს „ძირითადად ვეთანხმები“ და „ნაწილობრივ ვეთანხმები“ - დანარჩენი 4-ის შემთხვევაში. „ნაკლებად ჩართული“ შეესაბამება 9 დებულებიდან 5-ის შემთხვევაში, მოსწავლის პასუხს „ნაწილობრივ არ ვეთანხმები“ და „ნაწილობრივ ვეთანხმები“ - დანარჩენი 4-ის შემთხვევაში. ყველა დანარჩენი შემთხვევა შეესაბამება მეტ-ნაკლებად ჩართულობას კითხვის გაკვეთილებზე.

გრაფიკი 4.18 მოსწავლის ჩართულობა კითხვის გაკვეთილზე



უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა ჩართულობის სხვადასხვა ხარისხის მიხედვით საშუალო მიღწევებს შორის განსხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. მოსწავლის ჩართულობის ხარისხის ცვლადით აიხსნება ქულის ვარიაციის 3%. მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა გაკვეთილზე მოსწავლის ჩართულობასთან დაკავშირებულ დებულებებს დადებით პასუხს სცემს. მოსწავლეთა დაახლოებით 35,9% ამბობს, რომ ყოველთვის არ იცის, რის გაკეთებას ელის მისგან მასწავლებელი, ხოლო დაახლოებით 22% ამბობს, რომ ნაკლებად აინტერესებს ის, რაზეც მასწავლებელი გაკვეთილზე ლაპარაკობს და მასწავლებელი სტიმულს ნაკლებად აძლევს, რომ წაკითხულის შესახებ მისი აზრი გამოხატოს. ყველა სხვა შემთხვევაში მოსწავლეთა ჩართულობის მაჩვენებლები 80%-ს აღემატება.


გრაფიკი 4.19 მოსწავლეთა ჩართულობა გაკვეთილზე



კვლევის ფარგლებში ასევე განისაზღვრა კითხვის გაკვეთილზე მოსწავლეთა ყოფაქცევა. ამისათვის მოსწავლის კითხვარში გამოყენებულია ხუთი დებულება, რომლებიც დაკავშირებულია იმასთან, თუ რამდენად უსმენენ მოსწავლეთა მასწავლებლებს, ხმაურია თუ არა კითხვის გაკვეთილზე და ა. შ. ამ დებულებების მიხედვით განისაზღვრა მოსწავლის უწესრიგო ქცევის სკალა და შესაბამისი ცვლადი რიგის სკალაზე - „მოსწავლეთა უწესრიგო ქცევა“ („იშვიათად, ან არასდროს“, „ზოგიერთ გაკვეთილზე“, „გაკვეთილების უმეტესობაზე“).



გრაფიკი 4.20 მოსწავლის უწესრიგო ქცევა




მოსწავლის უწესრიგო ქცევას უარყოფითი გავლენა აქვს მოსწავლის მიდევნაზე: რაც უფრო ხშირია მოსწავლის უწესრიგო ქცევა, მით უფრო დაბალია მოსწავლის მიდევნა კითხვაში. ამასთან, უწესრიგო ქცევის სიხშირის მიხედვით მოსწავლეთა საშუალო ქულებს შორის განსხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლის უწესრიგო ქცევის ცვლადით აიხსნება ქულის ვარიაციის დაახლოებით 5% ($b = 7.69$, $b.t = 11.07$, $r^2 = .05$).

კითხვისას მოსწავლეთა მოტივაციის ხელშეწყობას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს კითხვის სწავლებისას, რადგან ის მოსწავლეები, რომლებსაც აქვთ მეტი მოტივაცია, განსაკუთრებით ადრეულ ასაკში, როგორც წესი, ხდებიან უკეთესი მკითხველები (Lewis, M. & Samuels, S.J. (2003)). თვითგამორკვევის თეორიის მიხედვით (Deci, E.L. & Ryan, R.M. (1985)), მოტივაციის ხელშეწყობა შესაძლებელია მხარდამჭერი გარემოს შექმნის გზით, რაც აძლიერებს მიკუთვნებულობის, კომპეტენტურობისა და ავტონომიის განცდას. ზედმეტად კონტროლირებადი საკლასო გარემო ახშობს მოსწავლის მოტივაციას, რადგან ამცირებს დამოუკიდებლობის განცდას.

დამოუკიდებლობის განცდის გაძლიერების ერთ-ერთი გზაა მოსწავლისათვის საკითხავი მასალის საკუთარი სურვილით არჩევის შესაძლებლობის მიცემა. PIRLS-მა გამოკითხა მოსწავლეები და მასწავლებლები იმის თაობაზე, თუ რამდენად ხშირად აქვთ მოსწავლეებს საკითხავი მასალის დამოუკიდებლად არჩევის, დამოუკიდებლად კითხვისა და წაკითხულის შესახებ მსჯელობის საშუალება. მოსწავლის კითხვარის სამი დებულებიდან მნიშვნელოვანი კავშირი, მოსწავლის მიდევნასთან ყველაზე მეტად აქვს მესამე დებულებას: ჩემი მასწავლებელი გვთხოვს, ვისაუბროთ წაკითხულზე (ყოველდღე ან თითქმის ყოველდღე, კვირაში ერთხელ ან ორჯერ, თვეში ერთხელ ან ორჯერ, არასდროს ან თითქმის არასდროს). კერძოდ, არსებობს არსებითი განსხვავება იმ მოსწავლეების საშუალო ქულებს შორის, რომლებსაც მასწავლებელი კვირაში ერთხელ მაინც სთხოვს ისაუბრონ წაკითხულზე და რომლებსაც მასწავლებელი მხოლოდ თვეში ორჯერ ან უფრო იშვიათად სთხოვს ისაუბრონ წაკითხულ მასალაზე.

გრაფიკი 4.21 ჩემი მასწავლებელი გვთხოვს, ვისაუბროთ წაკითხულზე




წაკითხულის გააზრების უნარისა და კითხვის სტრატეგიების განვითარებისადმი ხელშეწყობა მასწავლებლის მიერ

ცნობილია, რომ კითხვის უნარების თავისუფლად ფლობა დაკავშირებულია წაკითხულის გააზრებასთან - მოსწავლეები, რომლებსაც აქვთ მაღალი მიღწევები წაკითხულის გააზრებაში, ასევე ავლენენ გამართულად კითხვის მაღალ დონეს (Klauda, S.L. & Guthrie, J.T., 2008). PIRLS აგროვებს მონაცემებს იმ პედაგოგიური ხერხების შესახებ, რომლებითაც ეხმარება მასწავლებელი მოსწავლეებს კითხვის უნარების სრულყოფილად დაუფლებაში.

მოსწავლეები, რომლებიც იყენებენ წაკითხულის გააზრების სხვადასხვა უნარებსა და სტრატეგიებს, შეუძლიათ უფრო სრულფასოვნად გაიგონ ტექსტის შინაარსი (Duke, N. K., & David Pearson, P. 2009). PIRLS-ის ბოლო ციკლებში, მასწავლებლის კითხვარში გაჩნდა კითხვები, რომლებიც საშუალებას იძლევა შეგროვდეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ წაკითხულის გააზრების რომელ უნარებსა და სტრატეგიებზე ამუშავებენ მასწავლებლები მოსწავლეებს. მათ შორის ისეთებზე, როგორებიცაა ავტორის პერსპექტივის ან განზრახვის დადგენა, კითხვის პროცესის დროს საკუთარ თავზე დაკვირვება.

საკითხავი მასალა, რომელსაც მასწავლებელი აძლევს მოსწავლეს, ეხმარება მოსწავლეს კითხვის გამოცდილების გამდიდრებაში. ინტერნეტში აღვივალ ხელმისაწვდომი ინფორმაციის მზარდ მოცულობასთან ერთად მოსწავლეებს უძლიერდებათ მისწრაფება განვიტარონ სხვადასხვა ფორმის საინფორმაციო ტექსტის გაგების უნარები. მაგალითად, მხატვრული ტექსტი ეხმარება მოსწავლეს მოთხრობის პერსონაჟებთან იდენტიფიკაციის გზით კრიტიკულად გაიაზრონ შინაარსი, მოახდინონ სიუჟეტის პროგნოზირება და ერთმანეთთან დაკავშირება (Alsop, J. (2015)).

გრაფიკი 4.22 რამდენად ხშირად აკითხებთ მოსწავლეებს არამხატვრულ თემატურ წიგნებს ან სახელმძღვანელოებს




PIRLS-ის ფარგლებში მასწავლებლები გამოიკითხნენ იმის შესახებ, თუ რამდენად ხშირად აძლევენ თავიანთ მოსწავლეებს სხვადასხვა სახის საინფორმაციო და მხატვრულ საკითხავ მასალას.

როგორც მონაცემები გვიჩვენებს, საქართველოში მოსწავლეების უმეტესობას ასწავლიან მასწავლებლები, რომლებიც თვეში ორჯერ ან უფრო იშვიათად აკითხებენ მოსწავლეებს არამხატვრულ თემატურ მასალას.


შედარებისთვის გავაანალიზეთ სხვადასხვა ფორმის საკითხავი მასალის გამოყენების სიხშირე ზოგიერთ სხვა ქვეყანაში, მათ შორის, მაღალი მიღწევის ქვეყნებში.



გრაფიკი 4.23 რამდენად ხშირად აკითხებთ მოსწავლეებს არამხატვრულ თემატურ წიგნებს ან სახელმძღვანელოებს



გრაფიკი 4.24 რამდენად ხშირად აკითხებთ მოსწავლეებს არამხატვრული ტექსტებს (მაგ., ლიაგრამების, რუკების, ილუსტრაციების, ფოტოების, ცხრილების შემცველ)



როგორც ვხედავთ, იმ ქვეყნებში, რომლებშიც მასწავლებლები არამხატვრულ თემატურ მასალას ყოველდღე ან თითქმის ყოველდღე აკითხებენ, წიგნიერებაში კარგი აკადემიური მიღწევების მქონე მოსწავლეების წილი უფრო მაღალია ვიდრე საქართველოში. ზოგიერთ მათგანში ამ პედაგოგიურ მიდგომას სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დადებითი კავშირი აქვს მოსწავლის მიღწევასთან PIRLS-ის შეფასებაში. ასეთი ქვეყნების მაგალითებია: აზერბაიჯანი, ჩეხეთის რესპუბლიკა, ლატვია და ჩრდილოეთ ირლანდია.


შეიძლება ითქვას, რომ წაკითხულის შინაარსის გაგება და წაკითხულის გააზრება არის კითხვის უნარის განვითარების საბოლოო მიზანი. გამოცდილი მკითხველი ამას განიხილავს როგორც ბუნებრივ მოცემულობას და მან შეიძლება სათანადოდ ვერ შეაფასოს ის ძალისხმევა, რაც საჭიროა ამ უნარების განვითარებისათვის. ტექსტის პასიურად წაკითხვის ნაცვლად, საჭიროა მკითხველმა გააანალიზოს და გაითავისოს მისი შინაარსი. ამ სახის უნარების განვითარებისათვის საჭიროა მოსწავლემ მიიღოს მკაფიო და ნათელი ინსტრუქციები წაკითხული გააზრების სტრატეგიების შესახებ (Tierney, R. J. (1982)).



PIRLS-ის ფარგლებში მასწავლებლები გამოიკითხნენ იმის შესახებ, თუ რამდენად ხშირად იყენებენ სასწავლო პრაქტიკაში სხვადასხვა სტრატეგიას, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებისთვის კითხვის და წაკითხულის გააზრების უნარების განვითარებას.


კითხვის სწავლებისას და/ან კითხვის აქტივობების განხორციელებისას რამდენად ხშირად აკეთებთ ამას?

გრაფიკი 3.25 რამდენად ხშირად უკითხავთ მოსწავლეებს ხმამაღლა



როგორც ანალიზმა გვიჩვენა, მოსწავლეების 84%-ზე მეტს ჰყავს ისეთი მასწავლებლები, რომლებიც ყოველდღე ან თითქმის ყოველდღე უკითხავენ ხმამაღლა. უნდა აღინიშნოს, რომ იმ მოსწავლეების საშუალო ქულებს შორის სხვაობა, რომელთა მასწავლებლები სხვადასხვა სიხშირით მიმართავენ ამ პედაგოგიურ ხერხს, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის.


გრაფიკი 4.26 ვთხოვ მოსწავლეებს, თავისთვის, ჩუმი იკითხონ



იმ მოსწავლეთა საშუალო ქულა, რომელთა მასწავლებლები უფრო ხშირად სთხოვენ თავისთვის, ჩუმი კითხვას, უფრო მაღალია ვიდრე იმ მოსწავლეების საშუალო ქულა, რომლებსაც ასეთ დავალებას მასწავლებელი უფრო იშვიათად აძლევს.




გრაფიკი 4.27 მოსწავლეებს ვასწავლი ბგერებისა და სიტყვების დეკოდირების სტრატეგიებს



იმ მოსწავლეთა საშუალო ქულა, რომელთა მასწავლებლები ყოველდღე ან თითქმის ყოველდღე ასწავლიან ბგერებისა და სიტყვების დეკოდირების სტრატეგიებს, უფრო მაღალია, ვიდრე იმ მოსწავლეებისა, რომელთა მასწავლებლები ამას მხოლოდ თვეში ერთხელ ან ორჯერ აკეთებენ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა სხვადასხვა ჯგუფის საშუალო ქულებს შორის განსხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის.


გრაფიკი 4.28 ვასწავლი ან ვახდენ სწრაფი კითხვის სტრატეგიების მოდელირებას




შედეგებისთვის განვიხილეთ წაკითხვის გაზრდების უნარების ხელშემწყობი სტრატეგიების გამოყენების სიხშირე ზოგიერთ სხვა ქვეყანაში.



გრაფიკი 4.29 სისტემურად ვასწავლი მოსწავლეებს ახალ ლექსიკას




გრაფიკი 4.30 ვასწავლი ან ვახდენ სწრაფი კითხვის სტრატეგიების მოდელირებას (პროცენტი)



სპეციალურად დავინტერესდით სწრაფი კითხვის სტრატეგიების მოდელირების გამოყენების სიხშირესა და საინფორმაციო ტექსტის გააზრების მიმართულებით მოსწავლის მიდევნებს შორის. აღმოჩნდა, რომ ქვეყნების დიდ ნაწილში ამ სტრატეგიის გამოყენებას შედეგი მოაქვს და იმ მოსწავლეებს უკეთესი მიდევნები აქვთ, ვისაც სწრაფი კითხვის სტრატეგიის გამოყენებით ხშირად ამეცადინებენ. თუმცა, საპირისპირო სურათი გვაქვს საქართველოში. მასწავლებელთა იმ ნაწილის მოსწავლეები, რომლებიც ამბობენ რომ სწრაფი კითხვის სტრატეგიებს არასოდეს ან იშვიათად იყენებენ, უკეთეს შედეგებს გვიჩვენებენ, ვიდრე ის მოსწავლეები, რომელთა მასწავლებლებიც ამ სტრატეგიას ხშირად იყენებენ. სავარაუდოთ ან სტრატეგიის არაჯეროვან გამოყენებასთან გვაქვს საქმე, ან მასწავლებლები განსხვავებულ მეთოდოლოგიაზე საუბრობენ. ჩვენი ქვეყნის მსგავსი ვითარებაა აზერბაიჯანში და ლატვიაში, სადაც ასევე სწრაფი კითხვის სტრატეგიების ხშირად გამოყენებას მოსწავლეთა მიდევნებზე ეფექტი არა აქვს.



გრაფიკი 4.31 ვასწავლი ან ვასდენ სწრაფი კითხვის სტრატეგიების მოდელირებას-
საშუალო ქულა საინფორმაციო ტექსტის გააზრებაში




მასწავლებლის მიერ ციფრული რესურსების გამოყენება კლასში

მასწავლებლების ციფრული ტექნოლოგიებისადმი დამოკიდებულება, რომელიც გამოიხატება თვითეფექტიანობის აღქმაში, დაკავშირებულია ამ ტექნოლოგიების გამოყენებასთან სასწავლო პროცესში (Ertmer, P.A., & Ottenbreit-Leftwich, A.T. (2010)). ის მასწავლებლები, რომლებიც ხშირად იყენებენ ციფრულ ტექნოლოგიებს სწავლების მიზნით, უფრო თავდაჯერებულნი არიან ამ საკითხში, ვიდრე ის მასწავლებლები, რომლებიც უფრო იშვიათად იყენებენ მას. კლასში ტექნოლოგიების გამოყენება შესაძლებელია სწავლების ინდივიდუალიზაციის მიზნით. დაწყებით საფეხურზე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება შესაძლებელია როგორც რემედიაციის მიზნით, ასევე მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებისათვის საინტერესო რესურსებით გამდიდრებული გარემოს შესაქმნელად (Fraillon J., Ainley J., Schulz W., Friedman T., & Gebhardt, E. (2014)). PIRLS 2021-ში ერთ-ერთ სიახლეს წარმოადგენს მონაცემების შეგროვება იმის შესახებ, თუ რამდენად ხშირად იყენებენ მასწავლებლები ციფრულ მოწყობილობებს სასწავლო პროცესში.


უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო პროცესში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების სიხშირე არ არის დაკავშირებული ქვეყნის მაღალ მიდწევასთან PIRLS-ში. ზოგიერთ მოწინავე ქვეყანაში, მასწავლებლები გაცილებით ნაკლები სიხშირით იყენებენ ციფრულ ტექნოლოგიებს, ვიდრე დაბალი მიდწევის ქვეყნებში. ასევე შევნიშნავთ, რომ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების სიხშირე თითქმის არ არის დაკავშირებული ცალკეული ქვეყნის შიგნით. თუმცა, საინტერესოა უმაღლესი მიდწევის მქონე ქვეყნის, სინგაპურის შემთხვევა, სადაც მოსწავლეთა მხოლოდ 6%-ს ასწავლიან მასწავლებლები, რომლებიც ციფრულ ტექნოლოგიებს თითქმის ყოველდღე იყენებენ და მოსწავლეთა ამ ჯგუფის საშუალო ქულა (მაგ., საინფორმაციო ტექსტის გააზრებაში) მნიშვნელოვნად აღემატება მოსწავლეთა იმ ჯგუფების საშუალო ქულას, რომელთა მასწავლებლებიც უფრო იშვიათად იყენებენ ციფრულ ტექნოლოგიებს.



გრაფიკი 4.32 ვასწავლი ციფრულ წიგნიერებას (მაგ., კითხვას, წერას და კომუნიკაციას ციფრული ინსტრუმენტებისა და საშუალებების გამოყენებით) - პროცენტი



გრაფიკი 4.33 ვასწავლი ციფრულ წიგნიერებას (მაგ., კითხვას, წერას და კომუნიკაციას ციფრული ინსტრუმენტებისა და საშუალებების გამოყენებით) - საშუალო ქულა საინფორმაციო ტექსტის გააზრებაში




კლასის ორგანიზების ფორმები. ინდივიდუალური და დიფერენცირებული სწავლების მიდგომები


კითხვის სწავლების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, მასწავლებლები იყენებენ კლასის ორგანიზების სხვადასხვა ხერხს. ზოგადად, მცირე ჯგუფებში სწავლებას შეუძლია გააუმჯობესოს კითხვის უნარი. მაგალითად, მასწავლებლები ქმნიან მცირე ჯგუფებს კონკრეტული უნარის ან სტრატეგიის განვითარების მიზნით და არა ზოგადად კითხვის უნარის განვითარებისთვის. ამ ტიპის ჯგუფური სწავლება იძლევა დიფერენცირების საშუალებას ინდივიდუალური მოსწავლის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. უნარის მიხედვით ჰომოგენური დაჯგუფება არის ჯგუფური სწავლების კიდევ ერთი ტიპი, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის უნარების შესაბამის სწავლის ტემპს. თუმცა, კვლევამ აჩვენა, რომ მოსწავლეთა დაჯგუფება დაწყებით საფეხურზე, კითხვის ერთი და იმავე უნარების მიხედვით შეიძლება სასარგებლო იყოს მაღალი მიღწევების მქონე მოსწავლეებისათვის, მაგრამ უარყოფითი შედეგები მოჰყვეს დაბალი მაჩვენებლების მქონე მოსწავლეებისთვის (Lou, Y., Abrami, P.C., & Spence, J.C. (2000); Puzio, K. & Colby, G. (2010)). PIRLS-ის მასწავლებლის კითხვარის საშუალებით მოგროვდა დეტალური ინფორმაცია კლასის ორგანიზების იმ ფორმების შესახებ, რომლებსაც ისინი იყენებენ სასწავლო აქტივობების დროს.

როგორც ვხედავთ, ყველაზე მაღალია იმ მოსწავლეთა წილი, რომელთა მასწავლებლები ხშირად მიმართავენ კლასის ორგანიზების ფორმას, რომლის დროსაც მთელ კლასს ერთად ასწავლიან კითხვას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოსწავლეების საშუალო ქულა ყველაზე მაღალია და განსხვავდება ამ მოსწავლეების საშუალო ქულასა და ორი მეზობელი კატეგორიის შესაბამისი ჯგუფის მოსწავლეების საშუალო ქულებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანია.

გრაფიკი 4.34 მთელ კლასს ერთად ვასწავლი კითხვას



გრაფიკი 4.35 ვქმნი შერეულ ჯგუფებს მოსწავლეთა განსხვავებული უნარების მიხედვით




მოსწავლეების ნახევარზე მეტს ასწავლიან ისეთი მასწავლებლები, რომლებიც სასწავლო პროცესში ჯგუფური მუშაობის გამოყენებისას ხშირად მიმართავენ შერეული ჯგუფების ფორმირებას. თუმცა კლასის ორგანიზების ამ ფორმის გამოყენების სიხშირეს არ აქვს დადებითი კავშირი მოსწავლის მიღწევასთან.


მოსწავლეთა მხოლოდ 22.36%-ს ასწავლიან ისეთი მასწავლებლები, რომლებიც ყოველ ან თითქმის ყოველ გაკვეთილზე სთავაზობენ მათ ისეთ მასალას, რომელიც შეესაბამება ინდივიდუალურ კითხვის დონეს, ხოლო 45.28%-ს მასწავლებლები მხოლოდ ზოგიერთ გაკვეთილზე სთავაზობენ მათი კითხვის დონის შესაბამის დავალებებს.



გრაფიკი 4.36 ვთავაზობ მასალას, რომელიც შეესაბამება ცალკეული მოსწავლის კითხვის დონეს




გრაფიკი 4.37 ახალ მასალას ვაკავშირებ მოსწავლეების წინა რეცოდნასთან



მოსწავლეთა 94%-ზე მეტის მასწავლებლები ახალ მასალას აკავშირებენ მათ წინა ცოდნასთან თითქმის ყოველ გაკვეთილზე.


გრაფიკი 4.38 წავახალისებ მოსწავლეებს, რომ ჩაუღრმავდნენ ტექსტს



მოსწავლეთა თითქმის 88%-ს მასწავლებლები ხელს უწყობენ იმაში, რომ ტექსტს ჩაუღრმავდნენ თითქმის ყოველ გაკვეთილზე.




გრაფიკი 4.39 წავახალისებ მოსწავლეებს, რომ ეჭვქვეშ დააყენონ ტექსტში გამოთქმული მოსაზრებები




მოსწავლეთა დაახლოებით 50%-ს ასწავლიან მასწავლებლები, რომლებიც თითქმის ყოველ გაკვეთილზე ცდილობენ მათ განუვითარონ კრიტიკული აზროვნება.

გრაფიკი 4.40 წავახალისებ მოსწავლეებს, რომ წაიკითხონ ტექსტი სხვადასხვა პერსპექტივიდან



მოსწავლეების 40%-ზე მეტის მასწავლებლები ცდილობენ, თითქმის ყოველ გაკვეთილზე წავახალისონ ისინი, რომ ტექსტი წაიკითხონ სხვადასხვა პერსპექტივიდან. ამ მოსწავლეების საშუალო ქულა მნიშვნელოვნად აღემატება იმ მოსწავლეების საშუალო ქულას, რომელთა მასწავლებლები მხოლოდ ზოგიერთ გაკვეთილზე ცდილობენ ამის გაკეთებას.

გრაფიკი 4.41 თითოეულ მოსწავლეს ინდივიდუალურად ვაწვდი უკუკავშირს




მოსწავლეების ნახევარზე მეტს მასწავლებლები მხოლოდ ზოგიერთ გაკვეთილზე აძლევს საკმარის დროს იმისათვის, რომ წაიკითხონ მათ მიერ შერჩეული წიგნები. იმ მოსწავლეების საშუალო ქულა, რომლებსაც მასწავლებელი ყოველ ან თითქმის ყოველ გაკვეთილზე აძლევს დროს მათ მიერ შერჩეული წიგნების წასაკითხად, მნიშვნელოვნად აღემატება იმ მოსწავლეების საშუალო ქულას, რომლებსაც მასწავლებელი, გაკვეთილების მხოლოდ ნახევარზე აძლევს ამის გაკეთების საშუალებას.

მასწავლებლის მიერ მოსწავლისთვის მიცემული უკუკავშირი არის სწავლებისა და სწავლის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური პედაგოგიური ხერხი, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს ცოდნის მიღების პროცესზე.



უკუკავშირი განათლებაში არის სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილი. უკუკავშირი ეხმარება მოსწავლეს გაიაზროს სასწავლო მასალა და აძლევს მას ნათელ მითითებებს იმის შესახებ, თუ როგორ გაუმჯობესონ სწავლის პროცესი. უკუკავშირი შეიძლება დაეხმაროს მოსწავლეს აიმაღლოს თვითრწმენა და ენთუზიაზმი. PIRLS-ის ფარგლებში, მასწავლებლები გამოიკითხნენ იმის შესახებ, თუ რამდენად ხშირად აძლევენ საკუთარ მოსწავლეებს ინდივიდუალურ უკუკავშირს.

გრაფიკი 4.42 ვადლევ მოსწავლეებს დროს, რომ წაკითხონ მათ მიერ შერჩეული წიგნები




როგორც ვხედავთ, საქართველოში, მოსწავლეების 80%-ზე მეტს მათი მასწავლებელი ინდივიდუალურად აწვდის უკუკავშირს თითქმის ყოველ გაკვეთილზე. ამასთან, ამ მოსწავლეების საშუალო ქულა მნიშვნელოვნად აღემატება იმ მოსწავლეების საშუალო ქულას, რომლებსაც მასწავლებელი უფრო იშვიათად აწვდის ინდივიდუალურ უკუკავშირს.


მოსწავლის წაკითხულის გააზრების უნარებისა და სტარტეგიების განვითარება

წაკითხულის გააზრების უნარებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უნარია ტექსტში ინფორმაციის მოძებნა. ამ უნარის განვითარების მიზნით, მოსწავლეების დაახლოებით 87%-ს ტექსტში ინფორმაციის მოძებნას მასწავლებელი ავალბებს თითქმის ყოველდღე. ამ მოსწავლეების საშუალო ქულა მნიშვნელოვნად აღემატება იმ მოსწავლეების საშუალო ქულას, რომლებსაც მასწავლებელი უფრო იშვიათად სთხოვს ამის გაკეთებას.

გრაფიკი 4.43 ვთხოვ მოსწავლეებს, რომ მოძებნონ ინფორმაცია ტექსტში




გრაფიკი 4.44 მოსწავლეებს ვთხოვ, განაზოგადონ და გამოიტანონ დასკვნები წაკითხულიდან



უფრო იშვიათად ავალებენ.

გრაფიკი 4.45 მოსწავლეებს ვთხოვ განსაზღვრონ, არის თუ არა ვებგვერდი გამოსადეგი კონკრეტული მიზნის მისაღწევად




მოსწავლეების დაახლოებით 92%-ს მასწავლებელი თითქმის ყოველდღე სთხოვს, განაზოგადონ და დასკვნები გამოიტანონ წაკითხული მასალიდან. მათი საშუალო ქულა არსებითად აღემატება იმ მოსწავლეების საშუალო ქულას, რომლებსაც მასალის განზოგადებას და დასკვნების გამოტანას კვირაში მხოლოდ ორჯერ ან უფრო იშვიათად სთხოვენ.

ციფრული მასალის ვალიდურობის შეფასების უნარი, ციფრული წიგნიერებისა და, ზოგადად, წიგნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. ამ უნარის განვითარების მიზნით, მოსწავლეების დაახლოებით 68%-ს მასწავლებელი კვირაში ერთხელ მაინც სთხოვს განსაზღვრონ, თუ რამდენად გამოსადეგია ვებგვერდი მათი მიზნის მისაღწევად. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოსწავლეების საშუალო ქულა მნიშვნელოვნად აღემატება იმ მოსწავლეთა საშუალო ქულას, რომლებსაც ამის გაკეთებას


ციფრული წიგნიერების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია რესურსის სანდოობის შეფასების უნარი. უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეების დაახლოებით 57%-ს მათი მასწავლებელი კვირაში ერთხელ მაინც ავალებს ვებგვერდის სანდოობის შეფასებას.



გრაფიკი 4.46 მოსწავლეებს ვთხოვ შეაფასონ ვებგვერდის სანდოობა




გრაფიკი 4.47 მოსწავლეებს ვთხოვ დაწერონ რაიმე ან გამოეხმაურონ წაკითხულს



სამინაო დავალებები

სამინაო დავალება არის ერთ-ერთი საშუალება, რომლითაც მასწავლებელს შეუძლია განავრცოს სასწავლო პროცესი და შეაფასოს მოსწავლეთა პროგრესი. სამინაო დავალებების მოცულობა განსხვავდება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნებს შორის. ზოგიერთ ქვეყანაში სამინაო დავალებას თითქმის საერთოდ არ აძლევენ მეოთხე კლასის მოსწავლეებს. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს განსხვავებები ქვეყნებს შორის, მასწავლებლებს, რომლებიც აძლევენ სამინაო დავალებას, შეუძლიათ სამინაო დავალების განხილვა კლასში და უკუკავშირის მიწოდება მოსწავლეებისთვის. 2001 წლიდან PIRLS-ი ეკითხება მასწავლებლებს იმის შესახებ, თუ რამდენად ხშირად აძლევენ მოსწავლეებს საკითხავ სამინაო დავალებებს და იმ სავარაუდო დროის შესახებ, რომელსაც მოსწავლეები ხარჯავენ მათ მიერ მიცემულ სამინაო დავალებაზე (Corno, 2000; Walberg and Paik, 2000; Epstein and Van Voorhis, 2001).


გრაფიკი 4.48 რამდენად ხშირად აძლევენ მოსწავლეებს სამინაო დავალებად საკითხავს?



როგორც ანალიზმა გვიჩვენა, მოსწავლეების დაახლოებით 87%-ს სამინაო დავალებას მათი მასწავლებლები აძლევენ კვირაში ერთხელ მაინც.




გრაფიკი 4.49 რა დრო უნდა მოანდომოს მოსწავლემ ყოველ ჯერზე ნებისმიერ საგანში წასაკითხი სამინაო დავალების შესრულებას?



მოსწავლეების მხოლოდ 4%-ის მასწავლებელი ფიქრობს, რომ მოსწავლემ წასაკითხი დავალების შესრულებას უნდა მოანდომოს 60 წუთზე მეტი. მოსწავლეთა ნახევარზე მეტის მასწავლებლის აზრით, მოსწავლემ სამინაო დავალების შესრულებას არ უნდა მოანდომოს 30 წუთზე მეტი. უნდა აღინიშნოს, რომ იმ მოსწავლეთა საშუალო ქულა, რომელთა მასწავლებლების აზრით მოსწავლემ სამინაო დავალებას 1 საათზე მეტი დრო უნდა დაეთმოს, ყველაზე მაღალია.

სამინაო დავალების სიხშირისა და მოცულობის გარდა (განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე) მნიშვნელოვანია სამინაო დავალების კლასში განხილვა და დავალებაზე უკუკავშირის მიწოდება.

გრაფიკი 4.50 დავალების განხილვა კლასში




მოსწავლეების 80%-ს ასწავლიან მასწავლებლები, რომლებიც სამინაო დავალებებს კლასში თითქმის ყოველთვის განიხილავენ.

კითხვის უნარის შეფასების ხერხები და სტრატეგიები


მასწავლებელს აქვს მრავალი სხვადასხვა საშუალება, რომლებითაც შეუძლია მოსწავლეთა პროგრესისა და მიღწევების მონიტორინგი. ამ საშუალებებს შორისაა პირდაპირი შეფასება იმისა, რაც მოსწავლეებმა ისწავლეს. PIRLS-მა გამოკითხა მასწავლებლები მოსწავლეების შეფასების საშუალებების შესახებ. არაფორმალური შეფასებები, როგორებიცაა მოსწავლეებზე დაკვირვება მუშაობის პროცესში, კითხვებზე პასუხები უშუალოდ საკლასო აქტივობების დროს და მოკლე წერილობითი შეფასებები, ეხმარება მასწავლებელს განსაზღვროს კონკრეტული მოსწავლის საჭიროებები, შეაფასოს მოსწავლის პროგრესის ტემპი და შეცვალოს სწავლების სტრატეგია. ფორმალური ტესტირება, როგორც მასწავლებლის მიერ შედგენილი და სტანდარტიზებული, ასევე გრძელვადიანი პროექტები, როგორც წესი, გამოიყენება მოსწავლის მიღწევების შესახებ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად.




გრაფიკი 4.51 რამდენად მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ მოსწავლეებისთვის კითხვების დასმა გაკვეთილზე



გრაფიკი 4.52 რამდენად მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ ვრცელი ტესტების გამოყენება




გრაფიკი 4.53 რამდენად მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ გრძელვადიანი პროექტები



მოსწავლეთა შეფასების ხერხებს შორის ყველაზე პოპულარულია მოსწავლეებისათვის კითხვების დასმა უშუალოდ გაკვეთილზე: მოსწავლეთა 89%-ის მასწავლებლებს ძალიან მნიშვნელოვნად მიაჩნიათ შეფასების ამ ხერხის გამოყენება. ნაკლებად პოპულარულია ვრცელი ტესტებისა და გრძელვადიანი პროექტების გამოყენება: შეფასების ამ ხერხს, გარკვეულწილად მნიშვნელოვნად მიიჩნევენ მოსწავლეთა დაახლოებით 70%-ის მასწავლებლები. უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა შესაბამისი ჯგუფების საშუალო მიღწევებს შორის არსებითი განსხვავებები არ არის.



გრაფიკი 4.54 ციფრული მოწყობილობის საშუალებით მოსწავლეების შეფასების სიხშირე



მოსწავლეების დაახლოებით 69%-ის მასწავლებლები ამბობენ, რომ თვეში ერთხელ მაინც იყენებენ ციფრულ საშუალებებს შეფასების მიზნით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ იმ მოსწავლეების საშუალო ქულა, რომელთა მასწავლებლები მხოლოდ წელიწადში ორჯერ იყენებენ ციფრულ მოწყობილობებს, ყველაზე მაღალია და იგი არსებითად აღემატება იმ მოსწავლეების საშუალო ქულას, რომლებსაც თვეში ერთ ჯერზე უფრო ხშირად აფასებენ ციფრული მოწყობილობებით.




თავი 5 - მოსწავლის მახასიათებლები

მოსწავლის მახასიათებლები

PIRLS ასევე სწავლობს მოსწავლის ინდივიდუალურ მახასიათებლებს, რომლებიც ოჯახისა და სკოლის ზემოქმედების ქვეშ უწყვეტად ფორმირდება და იცვლება. მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებებია მისი კითხვისადმი დამოკიდებულება, კითხვის სიყვარული და მოტივაცია, თვითეფექტურობა, თავდაჯერებულობა კითხვის დროს და ა. შ. ამ უნარების კულტივაცია ოჯახსა და სასკოლო გარემოში ხდება, სადაც მოსწავლე იღებს კითხვასთან დაკავშირებულ დადებით ემოციურ გამოცდილებას, რაც აუცილებლად გარდაიქმნება მის მიღწევებში. კარგ მკითხველს კითხვის პროცესი სიამოვნებას ანიჭებს და მას არ სჭირდება კითხვის დაძალება. შედეგად, კარგ მკითხველს არა მხოლოდ კითხვა უადვილდება, არამედ წაკითხულის გააზრებაც და, შესაბამისად, კარგ მკითხველს მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვება კითხვის შედეგად განვითარებული უნარები და გამოცდილება. PIRLS-ის შედეგებმა აჩვენა კავშირი კითხვისადმი პოზიტიურ დამოკიდებულებასა და წიგნიერებაში მიღწევებს შორის. გარდა მოსწავლის დამოკიდებულებებისა, PIRLS ასევე აგროვებს და აანალიზებს მონაცემებს მოსწავლის დემოგრაფიული მახასიათებლების შესახებ, რაც ასევე მნიშვნელოვანია წიგნიერებისადმი მოსწავლის დამოკიდებულებების ჩამოყალიბების სხვადასხვა ეტაპზე.

გრაფიკი 5.1 კითხვის პრაქტიკა სკოლაში



მოსწავლის კითხვისადმი დამოკიდებულება

ქართველი ბავშვები კითხვისადმი დადებითი დამოკიდებულების თვალსაზრისით გამოირჩევიან. 2016 წლის კვლევაში მოსწავლეთა 63%-ს ძალიან უყვარდა კითხვა, 2021 წლის კვლევაში ეს მაჩვენებელი 59%-ს შეადგენს და შეიძლება ითქვას, რომ მოსწავლეთა კითხვისადმი დამოკიდებულება, მიუხედავად პანდემიის პერიოდისა, მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. კითხვის სიყვარული იზომება იმით, თუ რამდენად მოსწონს ბავშვს, რასაც კითხულობს; რამდენად უზიარებს წაკითხულის შესახებ სხვებს თავის შთაბეჭდილებებს, რამდენად სურს, რომ კითხვისათვის მეტი დრო ჰქონდეს და ა. შ. ქართველი მოსწავლეები ამ ტიპის შეკითხვებს დადებითად პასუხობენ და ბევრი სხვა ქვეყნის



მოსწავლეებთან შედარებით კითხვისადმი სიყვარულს ავლენენ (იხ. დანართი 7.1), თუმცა კითხვის სიყვარული ქართველი მოსწავლეების მიდწევებზე ნაკლებად აისახება. წიგნიერებაში მაღალი მიდწევების თვალსაზრისით გაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის თავდაჯერებულობას კითხვის დროს.


თუ მოსწავლეს ერთდროულად კითხვის დროს თავდაჯერებულებაც არის და კითხვის სიყვარულებიც აქვს, ბუნებრივია, ასეთ მოსწავლეებს გაცილებით მაღალი მიდწევები აქვთ.

ქართველ მოსწავლეებს თავდაჯერებულობის თვალსაზრისით თითქმის საერთაშორისო საშუალო მაჩვენებლის ტოლი მაჩვენებლები აქვთ. ამასთან წიგნიერებაში მიდწევების თვალსაზრისით ძალიან თავდაჯერებულ და გარკვეულწილად თავდაჯერებულ მოსწავლეთა შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც ამას საერთაშორისო საშუალო მონაცემი გვიჩვენებს (დაახლოებით 43-44 ქულა).

ცხრილი 5.1 მოსწავლეთა მიდწევები მოსწავლის თავდაჯერებულობის მიხედვით

ქვეყანა	ძალიან თავდაჯერებული კითხვის დროს		გარკვეულწილად თავდაჯერებული კითხვის დროს		არ არის თავდაჯერებული კითხვის დროს	
	%	საშუალო ქულა	%	საშუალო ქულა	%	საშუალო ქულა
საქართველო	42 (0.9)	531 (2.7)	33 (0.8)	487 (3.0)	24 (0.9)	456 (4.5)
საერთაშორისო საშუალო	43 (0.1)	541 (0.4)	35 (0.1)	498 (0.5)	22 (0.1)	449 (0.6)

გრაფიკი 5.2 მოსწავლის კითხვის სიყვარული



ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც მკითხველს თავდაჯერებულს ხდის, არის ტექსტის გაგებისა და გააზრების უნარი. ბავშვები, რომლებსაც შეუძლიათ წაკითხულის გაგება და გააზრება, გაცილებით მეტ სიამოვნებას იღებენ კითხვით, ვიდრე ბავშვები, რომლებიც უბრალოდ კითხულობენ. წაკითხულის გააზრება მოსწავლეს აძლევს საშუალებას სხვა სამყაროში იმოგზაუროს, შედეგად ტექსტში მოცემული ამბის განვითარებისადმი ინტერესი აღედრას და უფრო გულმოდგინედ და მონდომებით იკითხოს. ბავშვს, რომელსაც ტექსტის გაგებისა და გააზრების უნარი ნაკლებად აქვს, სჭირდება გაცილებით მეტი ძალისხმევა და საკუთარი თავის იძულება ამ „უსიამოვნო დავალების“ შესასრულებლად. ამდენად, რთული ასახსნელია რომელ ეტაპზე ხდება მოსწავლეში თავდაჯერებულობის ჩამოყალიბება და როდის მოდის წაკითხულის გააზრების უნარების გაუმჯობესება თავდაჯერებულობის გამო. ფაქტია,




რომ მოსწავლეთა უდიდესი ნაწილი (88%) ამბობს, რომ მასწავლებელი სკოლაში საინტერესო საკითხავს აძლევს, ხოლო 83%-ს მოსწონს, რასაც სკოლაში კითხულობს. ამასთან მასწავლებლებისადმი მეოთხეკლასელი მოსწავლეების დამოკიდებულება დადებითია. მოსწავლეთა 85%-ს უადვილდება მასწავლებლის ახსნილის გაგება, 79.8%-ს მასწავლებელი სტიმულს აძლევს, რომ თქვას, თუ რას ფიქრობს იმაზე, რაც წაიკითხა. მოსწავლეთა 64% ამბობს, რომ კარგად იცის, თუ რას ელოდება მასწავლებელი მისგან.

თუ მოსწავლეთა მასწავლებლისადმი ამგვარ დამოკიდებულებას დავუჯერებთ, სკოლაში კითხვის პრაქტიკის შეფასების მაჩვენებლები ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მოსწავლის თავდაჯერებულობას კითხვის დროს მისი პირადი აღქმა უფრო განაპირობებს. საქართველოში მოსწავლეთა თითქმის მესამედი (31.2%) ამბობს, რომ ძალიან უნდა კითხვისთვის მეტი დრო ჰქონდეს. მოსწავლეთა დაახლოებით ერთ მეოთხედს (25.5%) კითხვა ძალიან დიდ სიამოვნებას ანიჭებს, თუმცა გაცილებით მცირეა ისეთი მოსწავლეების რაოდენობა, რომლებიც აღიარებს, რომ ძალიან ბევრ რამეს სწავლობს კითხვით (10,5%), ან ძალიან მოსწონს, როდესაც წაკითხულის შედეგად უცხო სამყაროს წარმოიდგენს (12.9%).


მოსწავლეთა დაახლოებით 70% თვლის, რომ, ჩვეულებრივ, კითხვის პრობლემა არა აქვს და კითხვა უადვილდება. თუმცა ამ თვითშეფასების მქონე მოსწავლეებშიც გვხვდებიან დაბალი მიდწევების მქონე მოსწავლეები (დაახლოებით 10%). კითხვა ძალიან უჭირს მოსწავლეთა 13%-ს და ისინი ამას გამოკითხვაში თავად აღიარებენ.

გრაფიკი 5.3 ფიქრები კითხვის შესახებ



გრაფიკი 5.4 საკუთარი თავის შეფასება კითხვის დროს

■ ვეთანხმები
■ სრულიად ვეთანხმები



მოსწავლისათვის უმნიშვნელოვანესია მოსწონდეს ის, რასაც კითხულობს. ქართველი ბავშვების 34.6% ამბობს, რომ ყოველდღიურად ან თითქმის ყოველდღიურად კითხულობს გართობის მიზნით. მხოლოდ საქართველოს მონაცემებზე ჩატარებულმა კლასტერულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ცვლადები, რომლითაც მოსწავლეები შეიძლება დავაჯგუფოთ მკითხველებად და არამკითხველებად, არის ის, თუ რამდენად იღებს მოსწავლე სიამოვნებას კითხვით, რამდენად ისურვებდა, რომ კითხვისათვის მეტი დრო ჰქონდეს და რამდენად გაუხარდებოდა წიგნის მიღება საჩუქრის სახით. აღნიშნული შედეგი გასაკვირი არ არის, თუმცა ის, თუ რამდენად სწავლობს მოსწავლე ახალ რამეს კითხვის შედეგად, ან თუნდაც რამდენად ხშირად კითხულობს გართობის მიზნით, ნაკლებად მნიშვნელოვანია. საერთო ჯამში ამ დაყოფით მოსწავლეთა 49.2% მკითხველია, ხოლო 28.4% ნაკლებად მკითხველი, ხოლო მოსწავლეთა 22% მათი პასუხების მიხედვით არც ერთ კატეგორიას არ შეიძლება მივაკუთვნოთ.

ცხრილი 5.2

მოსწავლის კითხვისადმი დამოკიდებულება

	კლასტერი 1 მკითხველები - 49.2%	კლასტერი 2 ნაკლებად მკითხველები - 28.4%
კითხვა სიამოვნებას მანიჭებს	სრულიად ეთანხმება 87.7%	ნაწილობრივ ეთანხმება 53.4%
მინდა, რომ კითხვისთვის მეტი დრო მქონდეს	სრულიად ეთანხმება 71.0%	ნაწილობრივ ეთანხმება 46.3%
გამიხარდება, თუ საჩუქრად წიგნს მივიღებ	სრულიად ეთანხმება 75.3%	სრულიად ეთანხმება 45.3%
კითხვა მოსაწყენია	სრულიად არ ეთანხმება 77.9%	არ ეთანხმება 31.0%
კითხვა მეადვილება	სრულიად ეთანხმება 89.4%	ნაწილობრივ ეთანხმება 46.8%
ჩვეულებრივ, კარგად ვკითხულობ	სრულიად ეთანხმება 88.2%	ნაწილობრივ ეთანხმება 46.5%
მომწონს ისეთი რამეების კითხვა, რაც მიბიძგებს, რომ ვიფიქრო	სრულიად ეთანხმება 87.5%	სრულიად ეთანხმება 45.9%
კითხვით ბევრ რამეს ვსწავლობ	სრულიად ეთანხმება 98.4%	სრულიად ეთანხმება 66.3%
მომწონს, როცა წიგნი მეხმარება წარმოვიდგინო უცხო სამყაროები	სრულიად ეთანხმება 95.1%	სრულიად ეთანხმება 60.0%
...		
ვკითხულობ გასართობად	თითქმის ყოველდღე 45.3%	კვირაში ერთხელ 42.3%
მიჭირს ისეთი მოთხრობების კითხვა, რომლებშიც რთული სიტყვებია	ნაწილობრივ ეთანხმება 31.7%	ნაწილობრივ ეთანხმება 47.3%



იმისათვის, რომ მოსწავლე კარგ მკითხველად ჩამოყალიბდეს როგორც ვნახეთ აუცილებელია ის სიამოვნებას იღებდეს კითხვით და, შესაბამისად, მოსწონდეს, რასაც კითხულობს. მართალია, მეოთხე კლასის მოსწავლეების დიდ ნაწილს მოსწონს, რასაც სკოლაში მასწავლებელი წასაკითხად ავალდებს და ამ მხრივ დიდ უკმაყოფილებას არ გამოხატავს, მაგრამ თანამედროვე ეპოქაში, როდესაც სიამოვნების მიღების მრავალი ალტერნატიული წყარო არსებობს ელექტრონული მოწყობილობების სახით, რთულია წიგნმა კონკურენცია გაუწიოს ელექტრონულ მოწყობილობებს გართობის თვალსაზრისით. თუმცა ელექტრონული მოწყობილობებისა და ტექნოლოგიების გამოყენება კითხვის სწავლების პროცესშიც ეფექტურად შეიძლება და ამას კვლევის მონაცემებიც ადასტურებს. კომპიუტერის გამოყენება სასწავლო პროცესში სხვადასხვა ქვეყნის მიღწევების 8%-ს ხსნის.

იმ მოსწავლეებს, რომლებიც ციფრულ მოწყობილობებს ჩვეულებრივი სასწავლო დღის განმავლობაში სასკოლო დავალებების შესასრულებლად საერთოდ არ იყენებენ, საშუალოდ, საქართველოში 37-46 ქულით უფრო დაბალი შედეგი აქვთ, ვიდრე იმ მოსწავლეებს, რომლებიც ნახევარ საათს ან უფრო მეტს უთმობენ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას სასკოლო დავალებების შესასრულებლად. ასეთივე სურათია საერთაშორისო საშუალო მონაცემის თვალსაზრისით, თუმცა მიღწევებს შორის სხვაობა ამდენად დიდი არ არის და 16-26 ქულას შეადგენს.


უნდა ითქვას, რომ ის მოსწავლეები, რომლებიც დღეში ნახევარ საათზე მეტს ანდომებენ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას, უკეთეს მიღწევებს ვერ გვაჩვენებენ. რთული სათქმელია, ეს განპირობებულია დავალებების მოცულობით, ინტერნეტის სიჩქარითა თუ მოსწავლის ინდივიდუალური მახასიათებლებით (მუშაობის ნელი ტემპი, გაფანტული გონება, კომპიუტერული უნარების ნაკლებობა და ა.შ.), მაგრამ ფაქტია, რომ ციფრული მოწყობილობების ზომიერი გამოყენება შედეგს იძლევა.

ცხრილი 5.3 საშუალო მიღწევები სახლში ციფრული მოწყობილობების გამოყენების მიხედვით

ქვეყანა	30 წუთზე მეტი		30 წუთი ან ნაკლები		არ ვიყენებ ციფრულ მოწყობილობებს	
	%	საშუალო ქულა	%	საშუალო ქულა	%	საშუალო ქულა
საქართველო	32 (1.0)	496 (3.5)	57 (1.2)	505 (2.6)	11 (0.8)	459 (7.5)
საერთაშორისო საშუალო	25 (0.1)	502 (0.5)	52 (0.1)	512 (0.5)	23 (0.1)	486 (0.7)

საქართველოში მოსწავლეთა ნახევარზე მეტი (57%) 30 წუთამდე დროს უთმობს სასკოლო დავალების შესრულებას. ჩვეულებრივ სასწავლო დღეს მხოლოდ მოსწავლეთა 11% ამბობს, რომ ელექტრონულ მოწყობილობებს საერთოდ არ იყენებს. ამ თვალსაზრისით ჩვენი ქვეყნის მოსწავლეები მრავალი სხვა ქვეყნის მონაცემზე გაცილებით წინ არიან.






მოსწავლის სქესი

PIRLS-ის კვლევის შედეგები ტრადიციულად აჩვენებს წიგნიერებაში გოგონების უპირატესობას ბიჭებთან შედარებით. კვლევაში მონაწილე თითქმის ყველა ქვეყანაში გოგონების მიღწევები სტატისტიკურად მნიშვნელოვნად აღემატება ბიჭების მიღწევებს. ყველაზე დიდი სხვაობა გოგონებისა და ბიჭების მიღწევებს შორის გვხვდება ბაჰრეინში, სამხრეთ აფრიკაში, იორდანიაში, ომანში, საუდის არაბეთში, მაროკოსა და გაერთიანებულ ემირატებში. აღნიშნული ქვეყნები წიგნიერებაში მაღალი მიღწევებით არ გამოირჩევიან, თუმცა გვხვდება ისეთი ქვეყნებიც, რომელთაც წიგნიერებაში მაღალი მიღწევები აქვთ (მაგ., სინგაპური, ნორვეგია). საქართველოში 2021 წლის კვლევაში გოგონების უპირატესობა კვლავ სტატისტიკურად მნიშვნელოვნად მაღალია ბიჭების მიღწევებზე და სხვაობა 23 ქულას შეადგენს. დაახლოებით ასეთივე სხვაობაა ლატვიასა და ლიეტუვაში. მიზეზები, რომელთა გამოც გოგონები უკეთეს მიღწევებს აჩვენებენ წიგნიერებაში, ზოგიერთი შეხედულებით განპირობებულია იმ ბუნებრივად განსხვავებული დამოკიდებულებით, რომელსაც გოგონები და ბიჭები კითხვისადმი და იმ მოთხოვნებისადმი იჩენენ, რომლებიც კითხვის დროს მათ მოეთხოვებათ. ამდენად, ზოგიერთი მკვლევარი სქესის ცვლადს მნიშვნელოვნად არ მიიჩნევს და ბიჭებსა და გოგონებს შორის არსებულ სხვაობას უყურებს როგორც კანონზომიერებას.



გრაფიკი 5.6 მოსწავლეთა მიღწევები სქესის მიხედვით



ზოგიერთ ქვეყანაში კი ცდილობენ გაერკვნენ სქესის მიხედვით მოსწავლეთა მიღწევების განმაპირობებელ ფაქტორებში და შეეცადონ არსებული სხვაობების შემცირებას. მაგალითად, ნორვეგიაში, სადაც მოსწავლეთა მიღწევებს შორის სხვაობა 16 ქულაა, 2016 წლის კვლევაში გამოყენებული ტექსტების ანალიზით დაადგინეს, რომ ბიჭები უფრო მეტად ინტერესდებიან ტექსტებით, რომელთა მთავარი მოქმედი პირი, პროტაგონისტი ბიჭია და, შესაბამისად, ნაკლებ ინტერესსა და ყურადღებას იჩენენ იმ ტექსტებისადმი, რომლებშიც საპირისპირო სქესის პროტაგონისტია (Gender differences in Norwegian PIRLS 2016 and ePIRLS 2016 results at test mode, text and item format level Katrin Schulz-Heidorf and Hildegunn Støle).

საქართველოში ტესტური დავალებების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ტენდენციურად, იმის მიუხედავად, თუ რა თემაზეა ტექსტი, ბიჭები ნაკლებად სცემენ სწორ პასუხებს კითხვებს და ეს ან მათი უგულისყურობით არის გამოწვეული, ან წაკითხულის გააზრების მართლაც დაბალი უნარით. ზოგიერთ დახურულ კითხვებზეც კი, რომელთა პასუხი არ მოითხოვს მოსწავლის მხრიდან აზრის ჩამოყალიბებას და დაწერას, სწორი პასუხების რაოდენობის მაჩვენებელი 10-14%-ითაც კი უფრო მეტია გოგონების სასარგებლოდ. ე. წ. დია ტიპის კითხვებში, სადაც მოსწავლე ვალდებულია საკუთარი აზრი ჩამოაყალიბოს წაკითხულის გააზრების მიხედვით, ბიჭებს გაცილებით უჭირთ ამგვარი დავალებების შესრულება და საკუთარი აზრის ფორმულირება და ამას გოგონებთან შედარებით ხშირ შემთხვევაში არასწორად აკეთებენ. თუმცა გარკვეულ დავალებებში საქართველოშიც, ისევე როგორც ნორვეგიის მაგალითი ამას გვიჩვენებს, ერთნაირი შესაძლებლობებისა და უნარების მქონე ბიჭები უკეთესად პასუხობენ კითხვებს, ვიდრე გოგონები. თუმცა რაოდენობრივად მაღალი შესაძლებლობების მქონე მოსწავლეები გოგონებში ბევრად მეტია.

მოსწავლის ასაკი

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით მოსწავლე სკოლაში შედიოდა, თუ მას სკოლაში შესვლისას მიმდინარე წლის პირველ ოქტომბრამდე შეუსრულებოდა 6 წელი. ამდენად, 2021 წლის კვლევაში ძირითადად ერთი ასაკის მოსწავლეები მონაწილეობდნენ და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით მოსწავლეთა მიღწევებს შორის სხვაობა არ გვაქვს. გამოკითხულ მოსწავლეთა საშუალო ასაკი 10 წელი და 6 თვეა, სქესთან ერთად რეგრესიულ მოდელში ასაკი დადებითად მოქმედებს წიგნიერებაში მიღწევებზე, თუმცა ამ ორი ცვლადით მოსწავლეთა მიღწევების ძალიან მცირე ნაწილი, მხოლოდ 2% აიხსნება.




თავი 6 - ქვეყნის კონტექსტი

ეროვნული კონტექსტი

ყველა ქვეყანას განათლების უნიკალური სისტემა აქვს, რაც განპირობებულია ქვეყნის სიდიდით, ეკონომიკური შესაძლებლობებით, მოსწავლეთა ეთნიკური და ენობრივი შემადგენლობითა და იმ პრიორიტეტებით, რომლებიც ქვეყანას განათლების მიმართულებით გააჩნია. ყოველივე ეს მოქმედებს სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვასა და შესრულებაზე. PIRLS-ში მონაწილე ქვეყნები კვლევას უზიარებენ საკუთარი განათლების სისტემის საადწერო ნაწილს, რომელიც მოცემულია საერთაშორისო კვლევის სპეციალურ თავში (PIRLS 2021 Encyclopedia, Education Policy and Curriculum in Reading). კვლევაში ჩართული ქვეყნები ფუნდამენტურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან როგორც წიგნიერებაში მიღწევებით, ასევე განათლების სისტემის ამა თუ იმ კომპონენტით. ეს კი აუცილებლად უნდა ვიცოდეთ, რათა ქვეყნის წარმატება ან წარუმატებლობა სათანადოდ შევაფასოთ. კვლევის მონაცემთა ბაზაში არის არაერთი კონტექსტურად მნიშვნელოვანი ცვლადი, რომელსაც მკვლევრებმა, განათლების სისტემის გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა და განათლების ექსპერტებმა ყურადღება უნდა მიაქციონ, რათა განათლების პოლიტიკა შეესაბამებოდეს მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციებს. ასევე მნიშვნელოვანია იმ ინფორმაციის ცოდნა, თუ როგორ იყენებს ესა თუ ის ქვეყანა კვლევის შედეგებს ეროვნულ დონეზე კურიკულუმის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების, მოსწავლეთა წარმატებების შეფასებისა თუ წიგნიერებასთან დაკავშირებული სხვადასხვა აქტივობების შესრულებისათვის.

გრაფიკი 6.1 მოსწავლეთა მიღწევები ქვეყანაში საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობის მიხედვით




გეოგრაფიული და ეკონომიკური შესაძლებლობების მიხედვით PIRLS-ში მონაწილე ქვეყნები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ასევე განსხვავებულია ქვეყნებში სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებელი, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ირიბი საზომია. **რეგრესიული ანალიზი გვიჩვენებს, რომ სწორედ ამ**




საზომით იხსნება ქვეყნების წიგნიერებაში საშუალო მიღწევათა 43% (იხ. გრაფიკი), რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობა პირდაპირ კავშირშია წიგნიერებაში მოსწავლეთა მაღალ მიღწევებთან.

ასევე განიხილავენ ისეთ ცვლადებს, როგორებიცაა ქვეყანაში მთლიანი შიდა პროდუქტის პროცენტული წილი ზოგადი განათლების დანახარჯებში, ზოგადი განათლების დანახარჯი ერთ სულ მოსწავლეზე, ერთ მასწავლებელზე მოსწავლეთა რაოდენობა ქვეყანაში და ა.შ. საქართველოში სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ანგარიშების მიხედვით ზოგადი განათლების მთავრობის დანახარჯი ერთ სულ მოსწავლეზე მზარდია და 2019 წლისთვის დაახლოებით 1264 ლარს შეადგენდა. მთლიანი შიდა პროდუქტის 3,9%-ს შეადგენდა ზოგადი განათლების დანახარჯები. თუ სხვა ქვეყნებს შევადარებთ, საქართველო ამ მაჩვენებლით მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება ისეთ ევროპულ ქვეყნებს, როგორიცაა მაგალითად დანია, საფრანგეთი და პოლონეთი, ასევე ჩვენზე მაღალია წილი ამერიკის შეერთებულ შტატებში. ხოლო რაც შეეხება პოსტსაბჭოთა ქვეყნებს მხოლოდ აზერბაიჯანს და ყაზახეთს უსწრებს ზოგადი განათლებაზე დანახარჯების %-ული წილის თვალსაზრისით. ქვემოთ გრაფიკებიდან კარგად ჩანს, რომ წლების მიხედვით ქვეყნები ამ მაჩვენებელს ცვლიან და მაგალითად დანიაში, რომელსაც განათლებაზე ყველაზე მაღალი %-ული წილი აქვს, ტენდენცია დადმავალია. ხოლო აზერბაიჯანსა და ყაზახეთში 2019 წლის მერე განათლებაზე მიმართული ხარჯები გაზარდეს.

გრაფიკი 6.2 ზოგადი განათლების მთავრობის დანახარჯი (მშპ-ს %) ევროპულ ქვეყნებში



გრაფიკი 6.3 ზოგადი განათლების მთავრობის დანახარჯი (მშპ-ს %) პოსტსაბჭოთა ქვეყნებში



წყარო: Worldbank: Government expenditure on education, total (% of GDP)




თუ ეკონომიკურ პარამეტრებს არ ჩავთვლით, განათლების სისტემის მაჩვენებლების მხრივ საქართველო რადიკალურად არ ჩამოუვარდება PIRLS-ში მონაწილე ქვეყნების განათლების სისტემის მაჩვენებლებს. მაგალითად საქართველო იმ ქვეყანათა უმრავლესობაშია, სადაც მოსწავლეები სწავლას 6 წლის ასაკში იწყებენ და სრული საშუალო განათლების მისაღებად სკოლაში 12 წელი სწავლობენ. ზოგიერთ ქვეყანაში (გერმანია, ხორვატია, ჩეხეთის რესპუბლიკა, ბელგია, იტალია, მალტა, ჩრდილოეთ მაკედონია, ნორვეგია, პოლონეთი, სლოვაკეთი და სლოვენია) საშუალო საფეხურზე სწავლება დაწყებითი საფეხურის ჩათვლით 13 წელი გრძელდება. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში (აზერბაიჯანი, ყაზახეთი, უზბეკეთი, რუსეთის ფედერაცია) საშუალო საფეხურის დასრულება 11 კლასის დასრულებას გულისხმობს. ამ თვალსაზრისით მოსწავლეთა მიღწევებს შორის განსხვავება არ შეინიშნება.


კვლევაში მონაწილე უმრავლეს ქვეყანაში მოსწავლე სწავლას 6 წლის ასაკში იწყებს, თუმცა არიან ქვეყნები (ბელგია, ინგლისი, ისრაელი, მალტა, ნიდერლანდები, მაკაო და ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთი შტატი), სადაც მოსწავლე სკოლაში 5 წლის ასაკში შედის. ასევე, ზოგიერთ ქვეყანაში მოსწავლე უფრო მოწიფულ, 7 წლის ასაკში იწყებს სწავლას (ბულგარეთი, ფინეთი, პოლონეთი, ლატვია, სამხრეთ აფრიკა, უზბეკეთი). იმ ქვეყნებში, სადაც მოსწავლეები სწავლას 5 წლის ასაკიდან იწყებენ, მოსწავლეთა სკოლაში შეყვანა დამოკიდებულია მშობლის გადაწყვეტილებაზე და ამდენად მოსწავლეთა ნაკადი ასაკის მიხედვით შერეულია (5-6 წლის). შესაბამისად, საშუალო მიღწევებზე მოსწავლის ასაკი ნაკლებად აისახება.

მოსწავლეთა წიგნიერებასთან დაკავშირებული წინასასკოლო აქტივობები კვლავ სტატისტიკურად მნიშვნელოვანია მათი სამომავლო მიღწევების თვალსაზრისით. 2016 წელთან შედარებით მცირედით (3%) არის გაზრდილი იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომელთა მშობლებიც წიგნიერებასთან დაკავშირებულ ადრეული აქტივობებს ხშირად მიმართავენ. შეიძლება ითქვას, რომ ვითარება ამ თვალსაზრისით სტატისტიკურად მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. იმ პერიოდისთვის, როდესაც კვლევაში მონაწილე მოსწავლეები წინასასკოლო აქტივობებით იყვნენ დაკავებული. COVID-19-ის პანდემია ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული. ამდენად, მოსწავლეთა წიგნიერებასთან დაკავშირებული წინასასკოლო აქტივობები სტატისტიკურად მნიშვნელოვნად არ განსხვავდება 2016 და 2021 წლის კვლევებში. თუმცა წინასასკოლო აქტივობებს ეფექტი აქვს როგორც 2016 წლის ასევე 2021 წლის კვლევაშიც.

გრაფიკი 6.4 წიგნიერებასთან დაკავშირებული ადრეული აქტივობები



გრაფიკი 6.5 მშობლის დამოკიდებულება კითხვისადმი



2016 წელთან შედარებით იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც ყოველ დღე განიცდიან შიმშილსა და დადლილობას შემცირებულია. აღსანიშნავია, რომ დადლილობისა და შიმშილის მაჩვენებლები PIRLS-ის 2021 წლის კვლევაში დაახლოებით იდენტურია, რაც TIMSS 2019 წლის კვლევაში გვეჩვენა. თუმცა ეს მონაცემები, ვფიქრობთ, წლების მიხედვით შედარებადი მაინც არ არის, რადგან მოსწავლეები ჰანდეშის გამო განსხვავებულ პირობებში იყვნენ. 2021 წელს როდესაც ჰანდეშის გამო მოსწავლეთა ნაწილი დისტანციურ რეჟიმზე იყო, ხოლო დიდი ნაწილი სკოლაში დაბრუნდა, მათი აღქმა დადლილობასთან და შიმშილის გრძობასთან დაკავშირებით განსხვავებულია.

2021 წლის კვლევის მიხედვით, მოსწავლეთა 13,4% თითქმის ყოველ დღე განიცდიდა შიმშილს, ხოლო 14,8% დადლილობას. ამასთან, გრაფიკიდანაც ნათლად ჩანს, რომ იმ მოსწავლეთა მიღწევები, რომელთაც შიმშილისა და დადლილობის გრძობა აწუხებთ, სკოლაში მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან იმ მოსწავლეთა მიღწევებს, ვინც დადლილობასა და შიმშილს არ განიცდიან.

მიღწევის საფეხურები


2021 წლის შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოში მოსწავლეთა რაოდენობა წიგნიერებაში მიღწევის სხვადასხვა საფეხურზე რადიკალურად არ შეცვლილა. მართალია, მოსწავლეთა მიღწევების წინა წლების შედეგებთან შედარება ზემოთ აღწერილი მიზეზების გამო რეკომენდირებული არ არის, მაგრამ მკაფიოდ შეიძლება ითქვას, რომ წინა წლებთან შედარებით სურათი ნამდვილად არ გაუარესებულა. 2016 წელს მოსწავლეთა 2%-ს შეეძლო ტექსტის გამართული ინტერპრეტაცია და არგუმენტირება, ტექსტის სხვადასხვა ნაწილში მოცემული ინფორმაციის ინტეგრირება, მხატვრული და საინფორმაციო ტექსტების სტრუქტურული თავისებურებების აღქმა და გააზრება, 2021 წელს კი მოსწავლეთა აღნიშნული რაოდენობა 4%-მდე არის გაზრდილი. ამასთან, საქართველოში კვლევაში მონაწილე მოსწავლეების 13%-ს არ გააჩნია წაკითხულის გააზრების მინიმალური, საბაზო უნარები, რაც 3%-ით უკეთესი შედეგია 2016 წელთან შედარებით.

გრაფიკი 6.7 მოსწავლეთა მიღწევის დონეები წლების მიხედვით


2016 წელთან შედარებით თითქმის 12%-ით გაიზარდა იმ მშობელთა რაოდენობა, რომლებიც ამბობენ, რომ კითხვა უყვართ. ეს მონაცემი ეფუძნება მშობლის პასუხებს კითხვასთან დაკავშირებით, თუ რამდენად კითხულობენ ისინი მხოლოდ მაშინ, როცა ესაჭიროებათ, უყვარს კითხვა თავისუფალ დროს, კითხვისგან სიამოვნებას იღებს და, თუ სახლშია, რამდენად ხშირად კითხულობს სიამოვნების მისაღებად და ისურვებდა, რომ კითხვისთვის მეტი დრო ჰქონოდა.

2021 წელს ასეთი მშობლების რაოდენობა გაიზარდა, სავარაუდოდ იმის გამოც, რომ მშობლებს გამოუჩნდათ მეტი თავისუფალი დრო საკითხავად. საქართველოში მშობელთა დიდი რაოდენობა 43,7% ამბობს, რომ ძალიან უყვარს კითხვა. კვლევის შედეგების მიხედვით, მშობლის კითხვისადმი სიყვარული შვილის აკადემიურ მიღწევებს წიგნიერებაში დიდწილად განაპირობებს.

გრაფიკი 6.6 შიმშილის და დადლილობის განცდა მოსწავლეებში




PIRLS 2021 შედეგები მიღწევების საფეხურების მიხედვით



თუ საერთო სურათს შევხედავთ, 2021 წლის კვლევის შედეგების მიხედვით, წიგნიერებაში მიღწევების უმაღლესი საფეხურის შესაბამისი დავალებების დაძლევა მოსწავლეთა 7%-ს შეუძლია, 2016 წლის კვლევაში ეს მონაცემი 10%-იყო, შესაბამისად, საერთაშორისო მასშტაბით მცირედ არის გაუარესებული მოსწავლეთა შესაძლებლობები. ეს ეხება არა მხოლოდ უმაღლესი მიღწევების მქონე მოსწავლეებს, არამედ მაღალი და საშუალო მიღწევის მქონე მოსწავლეებსაც. მაგალითად, 2016 წელს მაღალი საფეხურის დავალებებს მოსწავლეთა 47% წარმატებით ასრულებდა, ხოლო 2021 წელს 11%-ით ნაკლები - 36% ასრულებს. ამასთან, მთელ რიგ ქვეყნებში წლების მიხედვით მოსწავლეთა მიღწევებს შორის არსებითი სხვაობა შეინიშნება.

საქართველოში, მართალია, საერთაშორისო საშუალოსთან შედარებით მიღწევები დაბალია, კერძოდ, მიღწევის საშუალო, მაღალი და უმაღლესი საფეხურის შესაბამის დავალებებს მოსწავლეთა გაცილებით დაბალი რაოდენობა ძლევს, ვიდრე საერთაშორისო საშუალო მიღწევები ამას გვიჩვენებს, თუმცა 2016 წლიდან 2021 წლამდე მოსწავლეთა მიღწევების შესამჩნევი გაუარესება არ გვაქვს.


გრაფიკი 6.8 მოსწავლეთა მიღწევის დონეები 2021 და 2016 წელს



უმადლეს საფეხურზე მოსწავლეთა ყველაზე დიდი რაოდენობა თბილისის კერძო სკოლებში გვყავს (10%). ყველაზე ცუდი მდგომარეობა ამ მხრივ სოფლებში გვაქვს, საქართველოს სოფლებში მოსწავლეთა 17% დაბალი საფეხურის დავალებებსაც ვერ ძღვეს. საერთო ჯამში სკოლის ტიპის და ადგილმდებარეობის მიხედვით მოსწავლეთა რაოდენობა მიღწევის სხვადასხვა საფეხურზე ერთმანეთისგან სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდება. ამდენად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართველი მოსწავლეების შესაძლებლობები სხვადასხვა ტიპის დავალებების შესრულების დროს განსხვავდება არა მარტო სხვა ქვეყნების მოსწავლეთა შესაძლებლობებისგან, არამედ ქვეყნის შიგნითაც სხვადასხვა ტიპის დავალებების შესრულება მოსწავლეებს განსხვავებულად შეუძლიათ.

გრაფიკი 6.9 მოსწავლეთა მიღწევის საფეხურები სკოლის ადგილმდებარეობის მიხედვით

PIRLS 2021 შედეგები მიღწევების საფეხურების მიხედვით



წიგნიერების ქულაზე მოქმედი ფაქტორები და განსხვავება სკოლებს შორის


როდესაც ვსაუბრობთ ფაქტორებზე, რომლებიც მოსწავლეთა მიღწევებზე მოქმედებს, აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოში სკოლები რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც მოსწავლეთა მიღწევების თვალსაზრისით, ასევე მათზე მოქმედი ფაქტორების მნიშვნელოვნების თვალსაზრისით. მაგალითად, თუ ქალაქის რომელიმე კერძო სკოლაში სასწავლო რესურსი პრობლემას არ წარმოადგენს, შესაძლოა სოფლის სკოლაში სწორედ ეს ფაქტორები იყოს განმსაზღვრელი და პირიქით, პირობითად დისციპლინა და ბუღინგი შესაძლოა ქალაქის რომელიმე სკოლაში უფრო უშლიდეს ხელს მოსწავლეს, ვიდრე სოფელში. ამდენად, იმისათვის, რომ მოსწავლის წიგნიერების უნარებზე მოქმედ ფაქტორებზე რომ ვისაუბროთ, დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებას, თუ სად და რომელ სკოლაში სწავლობს მოსწავლე.

2021 წლის კვლევაში სკოლებს შორის მიღწევების განსხვავებულობის მაჩვენებელი მაღალია (Intraclass Correlation Coefficients, ICC=23%). აღნიშნული კოეფიციენტი ზომავს რამდენად მსგავსია საერთო კლასტერში მყოფი ინდივიდების შედეგები, თუ მაგალითად ჩვენს სკოლებს განვიხილავთ, როგორც ერთიანი განათლების სისტემის ნაწილს, ვნახავთ, რომ სკოლებს შორის მიღწევების განსხვავება არსებობს, რაც იმას ნიშნავს, რომ სისტემის შიგნით სკოლები განსხვავდებიან მიღწევების თვალსაზრისით და უნდა ვივარაუდოთ, რომ ამგვარი ანალიზის დროს დიდი



მნიშვნელობა აქვს სკოლის მახასიათებელ ისეთ ცვლადებს, როგორცაა სკოლის ადგილმდებარეობა, ტიპი, ზომა და სხვა ისეთი ფაქტორები, რომლებიც სკოლების განსხვავებულობას შეიძლება განაპირობებდეს. თუ საქართველოში სკოლებს შორის განსხვავებულობის მაჩვენებელს სხვა ქვეყნებში ამავე მაჩვენებელს შევადარებთ, შეიძლება ითქვას, რომ ბევრ სხვა ქვეყანაში ამ მხრივ ჩვენზე უარესი მდგომარეობაა, მაგრამ ზოგადად ყველგან სკოლებს შორის განსხვავებულობით აიხსნება ქვეყნების მიღწევების 27%, ხოლო იმ ქვეყნებს სადაც განსხვავებულობა სკოლებს შორის ნაკლებია, უკეთესი ეკონომიკური შესაძლებლობები აქვს. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ ერთგვაროვანი განათლების სისტემა, სადაც სკოლებს შორის განსხვავებულობა ნაკლებია უკეთეს შედეგებს გვიჩვენებს და ტენდენციურად ასეთი ქვეყნები უფრო მდიდრები არიან ვიდრე ქვეყნები, სადაც სკოლებს შორის განსხვავებულობას ვხვდებით.

გრაფიკი 6.10 მოსწავლეთა მიღწევის საფეხურები სკოლის ადგილმდებარეობის მიხედვით



რა თქმა უნდა, სკოლებს შორის ამგვარი სხვაობების პირობებში რთულია ვისაუბროთ, თუ როგორ მუშაობს ესა თუ ის ფაქტორი და რა ზეგავლენა აქვს მოსწავლის მიღწევებზე. მაგრამ თუ დავუშვებთ, რომ საქართველოში სკოლების მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი სისტემა გვაქვს, მაშინ ფაქტორების რეგრესიული მოდელი ეროვნულ დონეზე მიღწევების 24%-ს ხსნის და ყველაზე მეტად მოსწავლეთა მიღწევებს თავდაჯერებულობა (9.8 ქულა), სასწავლო რესურსები (6.63 ქულა) და ოჯახის სოციო-ეკონომიკური ფაქტორი (5.9 ქულა) უწყობს ხელს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეები, რომლებიც ბუღინგს უფრო მეტად განიცდიდნენ, 7.28 ქულით მეტს იღებენ. ეს უკანასკნელი შედეგი ალოგიკურია და დამატებით კვლევას საჭიროებს. ასევე ალოგიკურად გამოიყურება მოსწავლის მიერ კითხვის სიყვარულის ცვლადი. მოსწავლეები ამბობენ, რომ კითხვა უყვართ, მაგრამ ეს ცვლადი მიღწევებზე დადებითად არ მოქმედებს. შეიძლება ითქვას, რომ მოსწავლეთა პასუხები და მათი ფაქტობრივი შედეგი ერთმანეთს არ შეესაბამება. ყველა დანარჩენ ფაქტორს რეგრესიულ მოდელში მცირე გავლენა აქვს მოსწავლის ქულაზე.



ცხრილი 6.1 წიგნიერებაზე მოქმედი ფაქტორების რეგრესიული ანალიზის შედეგები


თანაბარი ვარიაცია (მუდმივა)	B 189.40	β ბეტა	B (სტან. შეცდომა) 34.54	β (სტან. შეცდომა)
გაკვეთილზე მოუწესრიგებელი ქცევა	2.93	0.08	0.79	0.02
მოსწავლის ჩართულობა გაკვეთილზე	2.11	0.05	1.11	0.03
სასწავლო რესურსები სახლში	6.63	0.11	2.50	0.04
მოსწავლის ბულინგი	7.28	0.16	1.16	0.03
მოსწავლის თავდაჯერებულობა კითხვის დროს	9.80	0.25	1.16	0.03
ციფრული თვითფექტურობა	1.62	0.04	1.05	0.02
მოსწავლეს მოსწონს კითხვა	-6.53	-0.17	1.15	0.03
მოსწავლის სკოლისადმი მიკუთვნებულობის განცდა	2.40	0.06	1.23	0.03
წიგნიერებასთან დაკავშირებული ადრეული აქტივობები	-2.81	-0.07	4.03	0.10
სკოლამდელი რიცხვებთან და წიგნიერებასთან დაკავშირებული აქტივობები	2.75	0.06	6.74	0.16
ადრეული წიგნიერების ამოცანები სკოლამდე	1.81	0.05	0.85	0.02
ადრეული აქტივობები რიცხვებზე სკოლამდე	-2.86	-0.07	3.97	0.10
მშობლების სკოლის აღქმა	-1.87	-0.04	1.10	0.02
მშობლებს უყვართ კითხვა	1.35	0.03	2.07	0.04
ოჯახის სოციო-ეკონომიკური სტატუსი	5.90	0.12	2.22	0.05



თავი 7 - COVID-19 პანდემიის ეფექტი

პანდემიის მიმდინარეობა

მთელ მსოფლიოში COVID-19 პანდემიას უზარმაზარი ზეგავლენა ჰქონდა ადამიანების ცხოვრების წესზე და მათ შორის სწავლა-სწავლების პროცესზე. PIRLS 2021-ში ჩართულ ყველა ქვეყანას მეტ-ნაკლები სიმძიმით შეეხო პანდემიით გამოწვეული შეზღუდვები. 2020 და 2021 სასწავლო წლის რაღაც პერიოდში ყველგან იყო სკოლების დახურვის შემთხვევები. პანდემიის ხანგრძლივმა მიმდინარეობამ გამოიწვია ის, რომ გართულებული პანდემიური სურათის გამო ხდებოდა სკოლების რაღაც პერიოდით გახსნა და შემდეგ კვლავ დახურვა. საქართველოში ვირუსის გამოსავლენად პირველი ტესტირებები ჯერ კიდევ 2020 წლის იანვარში დაიწყო, ინფიცირების პირველი შემთხვევა საქართველოში 2020 წლის 26 თებერვალს გამოვლინდა, ხოლო 21 მარტს ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა და დროებით დაიხურა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები. 2020 წლის გაზაფხულის სემესტრი მოსწავლეებმა დისტანციურ რეჟიმში დაასრულეს, შესაბამისად, მოსწავლეებს სწავლა სულ მცირე ორი თვის განმავლობაში განსხვავებულ რეჟიმში მოუწიათ.



PIRLS-ის საერთაშორისო ანგარიშის მიხედვით, ზოგიერთ ქვეყანაში სკოლები იხურებოდა მთლიანად ან მხოლოდ რომელიმე რეგიონში, ზოგან იყო დისტანციური ან ნაწილობრივ დისტანციური სწავლება. მაგალითად, იტალიის ზოგიერთ რეგიონში სკოლები მთლიანად დაიხურა და საერთო ჯამში მოსწავლეებმა თითქმის ნახევარი წელი დისტანციურ რეჟიმში გაატარეს, ზოგან კი 2020-2021 სასწავლო წელს არც ერთი სკოლა არ დახურულა. ინგლისში იყო სკოლების გახსნისა და შემდეგ გართულებული ვითარების გამო კვლავ დახურვის შემთხვევები. დახურვისას ყველა ქვეყანა სხვადასხვა პლატფორმის გამოყენებით შეეცადა დისტანციური სწავლების რეჟიმზე გადაართვას. დისტანციური სწავლების დროს ძირითადად გამოიყენებოდა ონლაინ პლატფორმები, სადაც მოსწავლესა და მასწავლებელს ერთმანეთთან ინტერაქცია შეეძლოთ, იყო ასევე ონლაინ გაკვეთილების და პორტალების შეთავაზების შემთხვევებიც. ამ ტიპის სწავლების ეფექტურობა განსხვავებულია და ბევრი ქვეყანა გამოხატავდა წუხილს, რომ მოსწავლეების ნაწილი, განსაკუთრებით დაბალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის მქონე ოჯახებიდან, ვერ ახერხებდა სწავლა-სწავლების პროცესში სათანადოდ ჩართვას. ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ. მაროკოსა და სამხრეთ აფრიკაში) სატელევიზიო და რადიო მაუწყებლობა იქნა გამოყენებული იმისათვის, რომ მოსწავლეებს ჰქონოდათ საშუალება გაკვეთილები მოესმინათ.


პანდემიის ეფექტის შეფასება ხანგრძლივი პროცესია და COVID-19-ის ზემოქმედების შედეგები მომავალში კიდევ უფრო გამოჩნდება, მაგრამ ამ პერიოდში იყო როგორც უარყოფითი, ასევე სასიკეთო ძვრებიც, მაგალითად, ბევრ ქვეყანაში დგინდება, რომ მოსწავლეებმა პანდემიის პერიოდში საგრძნობლად გაიმჯობესეს კომპიუტერული უნარები, თუმცა, მეორეს მხრივ, გაუარესდა მათი სოციალური უნარები, გაიზარდა მოსწავლეებში ყურადღების გაფანტულობა და გაუარესდა მოტივაცია. ამასთან, 2021 წელს სხვადასხვა ეროვნული კვლევებით 2019 წელთან შედარებით შემცირებულია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებლებიც.

PIRLS-ის საერთაშორისო ანგარიშის მიხედვით პანდემიამ გააჩინა მოსწავლეთა ელექტრონული ტექნიკით აღჭურვის აუცილებლობა. ოჯახებში მოხდა კომპიუტერული და ელექტრო ტექნიკის განაწილება ოჯახის წევრებს შორის იქ, სადაც ამის საშუალება არსებობდა. მაგალითად ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ირლანდიაში მოსწავლეთათვის დისტანციური სწავლების მხარდასაჭერად მოხდა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შესაძენად გარკვეული გრანტების გამოყოფა, რათა დახმარებოდნენ იმ მოსწავლეებს, რომელთაც სახლში შესაბამისი ტექნიკა არ გააჩნდათ.

საქართველოში დისტანციურ სწავლებაზე გადასვლა სხვა ქვეყნებთან შედარებით მარტივად და სწრაფად განხორციელდა და ჩვენმა ქვეყანამ საერთო ჯამში შეძლო შეენარჩუნებინა განათლების უწყვეტობა და ხელმისაწვდომობა. მაშინდელმა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ საჯარო სკოლებს შესთავაზა Microsoft Teams-ის გამოყენება დისტანციური სწავლების საწარმოებლად, ასევე დაიწყო




პროექტი „ტელესკოლა“, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს და გაკვეთილების ტრანსლირება ხდება ამ მიზნით შექმნილ ტელეარხ „პირველი არხი განათლება“-ზე. ამ იძულებითმა ცვლილებებმა გამოიწვია ის, რომ 2020 წლის ივნისში განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილება და ზოგადი განათლების შესახებ კანონმა დისტანციური სწავლება განათლების ერთ-ერთ ფორმად აღიარა. 2020-2021 სასწავლო წლის პირველი სემესტრის ფორმატი ეპიდვითარების შესაბამისად ინდივიდუალური მიდგომით სხვადასხვა რეგიონისათვის ინდივიდუალურად განისაზღვრა. მას შემდეგ, რაც დიდ ქალაქებში მოსწავლეები საკლასო ოთახებში დაბრუნდნენ, მათ დისტანციური ფორმატის არჩევის შესაძლებლობა მიეცათ. იმ სკოლებში, სადაც მოსწავლეები მშობლების გადაწყვეტილებით ან ინფიცირების გამო დისტანციურად სწავლობდნენ, ზოგან მოსწავლეებს ორმაგი დატვირთვით მუშაობა მოუწიათ. დისტანციურ სწავლებაზე გადასვლამ საჯარო სკოლებში გამოიწვია ელექტრონული ჟურნალის შემოღება და დანერგვა. კერძო სკოლებმა ასევე მათი შესაძლებლობის ფარგლებში სხვადასხვა პლატფორმით მოახდინეს სწავლა-სწავლების პროცესის შეუფერხებელი უზრუნველყოფა და შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში პანდემიის პერიოდში სწავლა-სწავლების პროცესის უწყვეტობა მცირე შეფერხებებით მოხერხდა. ამასთან დაინერგა დისტანციური სწავლების ხელშემწყობი არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი, რომლის შედეგებიც საგანმანათლებლო სისტემაში დღემდე რჩება.



PIRLS-ის კვლევაში მონაწილე ქართველი მშობლების 87.9% ამბობს, რომ COVID-19 პანდემიის გამო მის შვილს 2020-2021 სასწავლო წელს მცირე ხნით მაინც მოუწია სახლში იძულებით ყოფნა. მშობლების 44% მიიჩნევს, რომ ამან მისი შვილი ძალიან დააზარალა. მშობელთა აზრით ყველაზე ნაკლებად მოსწავლეები დაზარალდნენ ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში - შვედეთში, ფინეთში, დანიასა და ნორვეგიაში. საქართველოში მშობელთა უარყოფითი დამოკიდებულება სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან შედარებით უფრო მაღალია. უნდა ითქვას, რომ ქვეყნების საშუალო მიდწევების დაახლოებით 12% მშობელთა COVID-19 პანდემიის გამო მის შვილის დაზარალების აღქმით აიხსნება.

გრაფიკი 7.2 რამდენად იმოქმედა პანდემიამ მოსწავლეთა მიღწევებზე წიგნიერებაში



საქართველოში ის მოსწავლეები, რომელთა მშობლებიც თვლიან რომ პანდემიას უარყოფითი გავლენა ჰქონდა თავიანთი შვილების სწავლაზე, მართლაც უფრო დაბალ მიღწევებს გვიჩვენებენ წიგნიერებაში ვიდრე მოსწავლეები, რომელთა მშობლებიც ამბობენ, რომ პანდემიამ მათი შვილების სწავლაზე არ იმოქმედა.



თავი 8 - ტექსტური დავალებების ნიმუშები

ტექსტები და დავალებების ნიმუშები

PIRLS 2021 წლის კვლევაში გამოყენებული იყო 18 სხვადასხვა ტექსტი. მოსწავლე კითხულობს, როგორც საინფორმაციო, ასევე მხატვრულ ტექსტებს, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება როგორც თემატიკით, ასევე პერსონაჟებით, სადაც მოთხრობილი ამბავი შეიძლება იყოს რეალობასთან მიანდობილი ან გამოგონილი და ენებოდეს როგორც ადამიანებს, ასევე ცხოველებსა თუ მცენარეებს, მოქმედება ვითარდებოდეს ნებისმიერ დროში და ადგილას, მაგალითად, აფრიკაში, აზიაში, ქალაქსა თუ სოფელში. ასევე მთავარი მოქმედი გმირები შესაძლოა იყვნენ როგორც ბავშვები, ასევე უფროსები. მიუხედავად იმისა, თუ რომელ ტექსტს კითხულობს, ქართველი ბავშვი (≈76%-80%), საერთაშორისო საშუალოსთან შედარებით (≈55%-65%) გაცილებით დადებითად არის განწყობილი ტექსტის მიმართ, ვიდრე საერთაშორისო საშუალო ამას გვიჩვენებს.

ზოგადად ქართველი ბავშვები გამოირჩევიან იმით, რომ შეფასებითი კატეგორიის კითხვებზე დადებით პასუხებს სცემენ და ამ შემთხვევაშიც კითხვაზე, რამდენად მოგეწონათ ამ ტექსტის წაკითხვა, ძალიან დადებით დამოკიდებულებას გამოხატავენ როგორც საინფორმაციო, ასევე ლიტერატურული ტექსტების მიმართ. ასეთივე დადებითი დამოკიდებულება აქვთ ალბანელ, უზბეკ და ყაზახ ბავშვებს, ამ ქვეყნებშიც მოსწავლეთა 80%-დან 90%-მდე ამბობს, რომ მოსწონს, რაც წაიკითხა. უნდა აღინიშნოს, რომ PIRLS-ის კვლევებში ქართველი ბავშვების და ასევე ზემოაღნიშნული ქვეყნების მოსწავლეთა მიღწევები განსაკუთრებით მაღალი არ არის. ტექსტების მიმართ ყველაზე კრიტიკულნი არიან ჩრდილოეთ ევროპული ქვეყნების წარმომადგენელი ბავშვები - შვედები, ნორვეგიელები, ფინელები და განსაკუთრებით დანიელები. დანიელი ბავშვების მხოლოდ 25%-დან 30%-მდე მიუთითებს, რომ წაკითხული ტექსტი მოეწონა.

საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ორი გამოქვეყნებული ტექსტის მაგალითს. ერთი მათგანი წარმოადგენს მხატვრულ ტექსტს სახელწოდებით „ცარიელი ქოთანნი“, ხოლო მეორე მათგანი არის საინფორმაციო ტექსტი - „ზვიგენი“.

„ცარიელი ქოთანნი“
მოწონება საქართველოში 80,3%,
საერთაშორისო საშუალო 60,2%



„ზვიგენი“
მოწონება საქართველოში 64,7%,
საერთაშორისო საშუალო 52,6%



ვეფხისტყაოსნის ზვიგენის შესახებ ამბობენ, რომ ის თავისი მაგარი, ბასრი კბილებით ჭამს ყველაფერს, რისი გადაყლაპვაც შეიძლება — ყველანაირი საქმლის ნარჩენებს, აგრეთვე, მანქანის ნომრებსა და საღებავის ქილებს. მისი მეტსახელია „ჯართის კასრი“.


როგორც ამ მაგალითიდანაც ჩანს, ქართველ ბავშვებს უფრო მეტად მოსწონთ ლიტერატურული ტექსტების კითხვა და, შესაბამისად, სწორ პასუხებსაც ლიტერატურული ტექსტების შესახებ უფრო მარტივად სცემენ პასუხს, ვიდრე საინფორმაციო ტექსტების შესახებ დასმულ შეკითხვებზე.




ქვემოთ გრაფიკზე ნაჩვენებია საშუალო სირთულის მხატვრული ტექსტის „ცარიელი ქოთანის“ შესახებ დასმულ კითხვებზე სწორად გაცემული პასუხების პროცენტული მაჩვენებლები საქართველოში და საერთაშორისო საშუალო იმ ქვეყნებში, რომელთაც ტესტი არაელექტრონულად წერეს (ზოგიერთმა ქვეყანამ იმუშავა ტესტის, მხოლოდ არაელექტრონულ ტესტზე, ხოლო ნაწილმა როგორც ელექტრონულ, ასევე არაელექტრონულ ვერსიაზე. თუმცა აქ მოცემული მონაცემები ეყრდნობა მხოლოდ არაელექტრონული ტესტის შეფასებას).

ტექსტის შესახებ მოსწავლეს დაესმის 17 შეკითხვა, რომლებიც გულისხმობს მოსწავლის მხრიდან ან ტექსტის მიხედვით უშუალო დასკვნების გამოტანას, ან ექსპლიციტურად მოცემული ინფორმაციის პოვნასა და გადმოცემას, ასევე მოსწავლეებს უწევთ აზრებისა და ინფორმაციის ინტერპრეტაცია და ინტეგრირება, ან შინაარსისა და ტექსტუალური ელემენტების შეფასება და კრიტიკულად გააზრება.

გრაფიკი 8.1 საშუალო სირთულის
ლიტერატურული ტექსტი
„ცარიელი ქოთანი“



გრაფიკი 8.2 საშუალო სირთულის
საინფორმაციო ტექსტი
„ზვიგენი“



მართალია, კითხვები სხვადასხვა სირთულისაა, თუმცა როგორც გრაფიკიდან ჩანს, ქართველ მოსწავლეებს ყველაზე მეტად გაუჭირდათ აზრებისა და ინფორმაციის ინტერპრეტაცია და ინტეგრირებასთან დაკავშირებულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა. ასევე შედარებით რთული აღმოჩნდა მათთვის ლიტერატურულ ტექსტში ექსპლიციტურად მოცემული ინფორმაციის პოვნა და გადმოცემა და საინფორმაციო ტექსტში უშუალო დასკვნების გამოტანა.

ასევე ნათლად ჩანს, რომ საინფორმაციო ტექსტზე მუშაობისას ქართველ ბავშვებს გაცილებით უჭირთ სწორი პასუხების გაცემა, ვიდრე ლიტერატურულ ტექსტზე მუშაობა. მართალია, ასეთივე ტენდენციაა საერთაშორისო საშუალოს შემთხვევაშიც, რაც იმას ნიშნავს, რომ ზოგადად მოსწავლეები ლიტერატურულ ტექსტებზე უკეთ მუშაობენ, მაგრამ საინფორმაციო ტექსტებში თვალმისაცემია საერთაშორისო საშუალოსთან შედარებით საქართველოს მონაცემის დაბალი შედეგი.

განხილული ტექსტების ნიმუშების მაგალითზე, ქვემოთ მოყვანილია ის ტესტური დავალებები, რომლებიც მოსწავლეებს უფრო მეტად გაუჭირდათ, ან გარკვეული დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლევა.



მიღწევის დაბალი საფეხური

საშუალო სირთულის მხატვრული ტექსტის მარტივი კითხვის მაგალითი

დაბალი საფეხურის შესაბამისი კითხვები გულისხმობს, რომ მოსწავლემ შეძლოს მარტივად ამოიღოს ტექსტიდან ფაქტობრივი ინფორმაცია ან ამოიცნოს და გადმოსცეს პერსონაჟის ის გრძნობები, რომლებიც ნათლად არის მოცემული ტექსტის კონკრეტულ მონაკვეთში. ამ ტიპის მარტივ დავალებას წარმატებით გაართვა საქართველოდან მონაწილე მოსწავლეთა 82,3%-მა თუმცა დავალებას გოგონები უფრო კარგად ასრულებენ.

ილუსტრაცია 8.1. PIRLS 2021-ში მონაწილე ქვეყნების შედეგები მხატვრული ტექსტის გააზრებაში საერთაშორისო ნიშნულის დაბალი საფეხურის მიხედვით, იმ ქვეყნებში, რომლებმაც ტესტური დავალება შეასრულეს ფურცელზე.

ქვეყანა	PIRLS წელი	სწორი პასუხი %	გოგონები სწორი პასუხი %	ბიჭები სწორი პასუხი %	მიზანი: კითხვის გამოცდილება
ავსტრალია	2016	84.1	87.3	80.9	პროცესი: ექსპლიციტურად მოცემული ინფორმაციის პოვნა და გადმოცემა
	2021	85.8	87.4	84.3	
ავსტრია	2016	93.5	96.1	91.1	აღწერა: ტექსტის პირველივე წინადადებაში ნათლად არის წარმოდგენილი დასმული შეკითხვის პასუხი.
	2021	89.1	92.2	85.6	
აზერბაიჯანი	2016	74.6	75.1	74.1	
	2021	64.9	66.4	63.5	
ბაჰრეინი	2016	75.5	82.0	68.9	
	2021	73.9	76.6	71.2	
ბელგია (ფრანგულენოვანი)	2016	88.1	89.0	87.1	
	2021	82.6	81.6	83.3	
ბულგარეთი	2016	95.0	96.1	93.8	
	2021	89.6	92.6	87.3	
ინგლისი	2016	90.5	91.6	89.5	
	2021	89.0	90.2	87.8	
საფრანგეთი	2016	92.4	92.4	92.4	
	2021	90.2	91.5	88.9	
საქართველო	2016	83.7	83.8	83.6	
	2021	82.3	86.4	78.6	
ჰონგ-კონგი	2016	95.4	95.1	95.7	
	2021	95.0	93.9	96.1	
ირანის ისლამური რესპუბლიკა	2016	72.9	74.2	71.8	
	2021	70.3	71.1	69.6	
ირლანდია	2016	92.8	94.3	91.2	
	2021	94.3	94.6	94.0	
ლატვია	2016	93.9	95.9	91.7	
	2021	87.5	89.7	85.2	
მაკაო	2016	91.6	91.2	91.9	
	2021	91.2	92.7	89.7	
მაროკო	2016	52.7	54.5	51.1	
	2021	61.9	61.9	61.9	
ნიდერლანდები	2016	90.0	89.5	90.6	
	2021	84.1	84.3	83.7	
ჩრდილოეთ ირლანდია	2016	91.1	92.7	89.3	
	2021	90.5	93.2	86.7	
ომანი	2016	52.2	52.4	52.1	
	2021	56.6	58.7	54.5	
პოლონეთი	2016	92.7	94.9	90.5	
	2021	91.5	90.7	92.2	
ამერიკის შეერთებული შტატები	2016	81.8	81.4	82.2	
	2021	84.0	84.1	83.9	
საერთაშორისო საშუალო. (20)	2016	84.2	85.5	83.0	სწორი პასუხი: ბ
	2021	82.7	84.0	81.4	

- რატომ მოაწყო იმპერატორმა შეჯიბრი?
 - Ⓐ ბავშვებისათვის მცენარეები რომ გაეცნო
 - Ⓑ მომდევნო იმპერატორი რომ აერჩია
 - Ⓒ თავისი დიდებულება რომ ეჩვენებინა
 - Ⓓ საუკეთესო მცენარე რომ აღმოეჩინა

სწორი პასუხი: ბ

ჩინეთის იმპერატორმა შეჯიბრი გამოაცხადა, რათა გაერკვია, თუ ვინ იქნებოდა მის შემდეგ ტახტის მემკვიდრე. იმპერატორი მოხუცი იყო და შვილები არ ჰყავდა. მას ძალიან უყვარდა მცენარეები, ამიტომ გამოაცხადა, რომ ყველა ბავშვი, ვისაც იმპერატორობა სურდა, სასახლეში უნდა მისულიყო თითო სამეფო მარცვლის მისაღებად. ის ბავშვი, რომელიც ექვსი თვის მანძილზე საუკეთესო შედეგს აჩვენებდა, შეჯიბრში გაიმარჯვებდა და მომდევნო იმპერატორი გახდებოდა.

საავტორო უფლებები დაცულია IEA-ს მიერ. ამ დავალების გამოყენება დაუშვებელია IEA-ს ნებართვის გარეშე.



მიღწევის დაბალი საფეხური

საშუალო სირთულის მხატვრული ტექსტის საშუალო სირთულის კითხვის მაგალითი

საშუალო საფეხურის შესაბამისი კითხვის ეს მაგალითი გულისხმობს, რომ მოსწავლემ შეძლოს სწორი დასკვნის ტექსტიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი სათქმელის ამოცნობა. ამ ტიპის საშუალო სირთულის დავალებას წარმატებით გაართვა საქართველოდან მონაწილე მოსწავლეთა 64,7%-მა, თუმცა საერთაშორისო საშუალოსთან შედარებით ეს მონაცემი დაახლოებით 10%-ით დაბალია.

ილუსტრაცია 8.2. PIRLS 2021-ში მონაწილე ქვეყნების შედეგები მხატვრული ტექსტის გააზრებაში საერთაშორისო ნიშნულის საშუალო საფეხურის მიხედვით, იმ ქვეყნებში, რომლებმაც ტესტური დავალება შეასრულეს ფურცელზე.

ქვეყანა	PIRLS წელი	სწორი პასუხი %	ჯოჯობები სწორი პასუხი %	შეცდომები სწორი პასუხი %	მიზანი: კითხვის გამოცდილება
ავსტრალია	2016	82.9	84.3	81.5	პროცესი: უშუალო დასკვნების გამოტანა
	2021	85.0	87.7	82.2	
ავსტრია	2016	86.1	88.0	84.3	აღწერა: მოსწავლეს ვეალება ტექსტიდან გამომდინარე მარტივი უშუალო დასკვნის გაკეთება
	2021	78.8	80.8	76.5	
აზერბაიჯანი	2016	66.8	70.5	63.5	
	2021	60.8	65.7	56.3	
ბაჰრეინი	2016	49.0	50.6	47.4	
	2021	64.2	66.6	61.7	
ბელგია (ფრანგულენოვანი)	2016	60.4	63.1	57.7	
	2021	59.4	59.4	59.3	
ბულგარეთი	2016	80.9	82.5	79.2	
	2021	79.7	82.6	77.5	
იზრაელი	2016	89.8	92.7	86.9	
	2021	86.5	85.5	87.5	
საფრანგეთი	2016	76.8	78.7	74.7	
	2021	76.4	76.5	76.3	
საქართველო	2016	69.2	75.4	63.2	
	2021	64.7	71.7	58.3	
ჰონგ-კონგი	2016	93.7	94.8	92.7	
	2021	91.4	91.8	91.0	
ირანის ისლამური რესპუბლიკა	2016	60.6	63.8	57.6	
	2021	57.8	56.7	58.8	
ირლანდია	2016	89.3	89.6	89.0	
	2021	90.6	89.2	92.0	
ლატვია	2016	89.8	92.1	87.4	
	2021	82.0	87.9	75.7	
მაკაო	2016	85.0	84.0	85.9	
	2021	85.1	85.3	84.8	
მაროკო	2016	41.7	44.0	39.7	
	2021	43.2	44.5	42.0	
ნიდერლანდები	2016	85.4	85.8	85.0	
	2021	85.3	87.7	82.3	
ჩრდილოეთ ირლანდია	2016	89.1	90.2	87.8	
	2021	86.2	89.6	81.3	
ომანი	2016	42.3	43.6	41.1	
	2021	49.1	48.5	49.8	
პოლონეთი	2016	80.4	82.7	78.0	
	2021	77.0	77.4	76.6	
ამერიკის შეერთებული შტატები	2016	84.7	87.9	81.9	
	2021	86.0	85.4	86.7	
საერთაშორისო საშუალო. (20)	2016	75.2	77.2	73.2	საავტორო უფლებები დაცულია IEA-ს მიერ. ამ დავალების გამოყენება დაუმჯობესებელია IEA-ს ნებართვის გარეშე.
	2021	74.4	76.0	72.8	

7. რატომ შემოავლეს ლობები ბავშვებმა თავიანთ ქოთნებს?
- Ⓐ ფოთლები რომ არ გაჭუჭყიანებულიყო
 - Ⓑ თავიანთი მცენარეები გადაყირავენისაგან რომ დაეცვათ
 - Ⓒ მინისათვის ტენიანობა რომ შეენარჩუნებინათ
 - Ⓓ სხვა ბავშვებს მათი მცენარეები რომ არ დაენახათ

სწორი პასუხი: ბ

მაღე ყლორტები ყველა ქოთნიდან აღმოცენდა მთელ სოფელში. ბავშვებმა თავიანთ ქოთნებს ლობები შემოავლეს, რათა დაეცვათ ისინი შემთხვევითი ან არცთუ ისე შემთხვევითი გადაყირავენისგან. მაღე ჯუნის სოფელში ათობით ყლორტმა თავისი პირველი ფოთლები გამოისხა.



საშუალო საფეხურის შესაბამისი კითხვის წინამდებარე მაგალითი გულისხმობს, მოსწავლის მხრიდან აზრებისა და ინფორმაციის ინტერპრეტაცია და ინტეგრირებას. ქართველი ბავშვების ნახევარზე მეტმა ვერ მოახერხა ტექსტის კონტექსტის გათვალისწინება და პასუხებში აქცენტი ტექსტში მოცემულ არასწორ პასაჟზე გააკეთა. უნდა ითქვას, რომ გოგონებსა და ბიჭებს აღნიშნულ კითხვაზე პასუხები დაახლოებით ერთნაირად გაუჭირდათ.

ილუსტრაცია 8.3. PIRLS 2021-ში მონაწილე ქვეყნების შედეგები მნატრული ტექსტის გააზრებაში საერთაშორისო ნიშნულის დაბალი საფეხურის მიხედვით, იმ ქვეყნებში, რომლებმაც ტესტური დავალება შეასრულეს ფურცელზე.

ქვეყანა	PIRLS წელი	სწორი პასუხი %	გოგონები სწორი პასუხი %	ბიჭები სწორი პასუხი %	მიზანი: კითხვის გამოცდილება
ავსტრალია	2016	62.6	67.2	57.8	პროცესი: აზრებისა და ინფორმაციის ინტერპრეტაცია და ინტეგრირება
	2021	66.1	70.3	61.8	
ავსტრია	2016	56.0	59.4	52.9	აღწერა: მოსწავლეს ევალება ტექსტის მიხედვით მოქმედების განვითარების შესაბამისად სწორად განსაზღვროს კონკრეტული ქმედების მიზეზი
	2021	55.9	60.9	50.3	
აზერბაიჯანი	2016	43.7	45.7	41.8	
	2021	41.7	44.5	39.2	
ბაჰრეინი	2016	36.4	41.3	31.0	
	2021	45.1	48.9	40.6	
ბელგია (ფრანგულენოვანი)	2016	51.7	55.1	48.2	
	2021	50.4	50.3	50.5	
ბულგარეთი	2016	57.0	60.1	53.8	
	2021	56.6	60.4	53.6	
ინგლისი	2016	70.6	73.7	67.4	
	2021	65.3	71.6	59.1	
საფრანგეთი	2016	53.6	55.4	51.7	
	2021	56.1	57.2	55.0	
საქართველო	2016	51.3	55.0	47.5	
	2021	48.8	50.5	47.2	
ჰონგ-კონგი	2016	63.7	66.2	61.4	
	2021	66.3	64.7	67.8	
ირანის ისლამური რესპუბლიკა	2016	45.6	54.9	36.1	
	2021	46.4	48.4	44.4	
ირლანდია	2016	63.5	66.8	60.1	
	2021	62.4	64.9	60.0	
ლატვია	2016	63.0	68.8	56.7	
	2021	57.9	60.8	54.6	
მაკაო	2016	61.5	63.0	60.2	
	2021	64.5	67.1	61.9	
ნიდერლანდები	2016	62.4	64.6	60.0	
	2021	60.6	66.0	53.9	
ჩრდილოეთ ირლანდია	2016	64.2	67.3	60.7	
	2021	61.7	64.2	58.0	
ომანი	2016	31.9	37.6	26.1	
	2021	55.8	62.7	48.6	
პოლონეთი	2016	64.2	68.5	59.7	
	2021	59.9	63.6	57.0	
პოლონეთი	2016	58.5	62.6	54.9	
	2021	59.7	63.4	55.8	
საერთაშორისო საშუალო. (19)	2016	55.9	59.6	52.0	საავტორო უფლებები დაცულია IEA-ს მიერ. ამ დავალების გამოყენება დაუშვებელია IEA-ს ნებართვის გარეშე.
	2021	56.9	60.0	53.6	

9. რატომ დასცილდნენ სხვა ბავშვები ჯუნს? შენი პასუხი ახსენი იმის მიხედვით, თუ რა მოხდა მოთხრობაში.

იმიტომ რომ ბავშვი დარცხვენილი იყო

სწორი პასუხი ტექსტიდან

დარცხვენილ ჯუნს თავისი ცარიელი ქოთანის სასახლის გზაზე მიჰქონდა, ხოლო მის მარჯვნივ თუ მარცხნივ გახარებული ბავშვები მიაბიჯებდნენ ქოთნებით ხელში, რომლებშიც უზარმაზარი მცენარეები ირხეოდა.



საშუალო საფეხურის შესაბამისი კითხვის მომდევნო მაგალითი გულისხმობს, მოსწავლის მხრიდან სწორი დასკვნების გამოტანას. სირთულის თვალსაზრისით ეს მაგალითი, წინა მაგალითის მსგავსად, საშუალო სირთულის დავალებებში გადის, თუმცა როგორც ქართველი, ასევე სხვა ქვეყნების წარმომადგენელი ბავშვები ამ მაგალითების მიხედვით უშუალო დასკვნის გაკეთებას უკეთ ახერხებენ, ვიდრე აზრებისა და ინფორმაციის ინტერპრეტაციასა და ინტეგრირებას.

ილუსტრაცია 8.4. PIRLS 2021-ში მონაწილე ქვეყნების შედეგები მნატურული ტექსტის გააზრებაში საერთაშორისო ნიშნულის დაბალი საფეხურის მიხედვით, იმ ქვეყნებში, რომლებმაც ტესტური დავალება შეასრულეს ფურცელზე.

ქვეყანა	PIRLS წელი	სწორი პასუხი %	გოგოები სწორი პასუხი %	ბიჭები სწორი პასუხი %	მიზანი: კითხვის გამოცდილება
ავსტრალია	2016	91.2	94.3	87.9	პროცესი: უშუალო დასკვნების გამოტანა
	2021	93.8	96.5	91.2	
ავსტრია	2016	91.5	93.9	89.3	აღწერა: მოსწავლემ უნდა შეშინდეს ტექსტიდან გამომდინარე უშუალო დასკვნის გაკეთება
	2021	92.4	93.8	90.7	
აზერბაიჯანი	2016	68.6	73.5	64.3	
	2021	59.7	65.2	54.8	
ბაჰრეინი	2016	57.0	60.6	53.2	
	2021	69.4	72.7	65.8	
ბელგია (ფრანგულენოვანი)	2016	82.4	86.8	78.0	
	2021	81.5	88.3	76.4	
ბულგარეთი	2016	88.8	92.0	85.5	
	2021	89.4	90.6	88.4	
ინგლისი	2016	93.9	95.6	92.2	
	2021	93.7	93.7	93.7	
საფრანგეთი	2016	89.0	90.9	86.8	
	2021	91.8	93.7	90.0	
საქართველო	2016	78.3	81.4	75.2	
	2021	78.8	83.1	74.9	
ჰონგ-კონგი	2016	98.5	99.8	97.4	
	2021	96.5	96.4	96.5	
ირანის ისლამური რესპუბლიკა	2016	65.2	69.4	61.2	
	2021	67.8	74.1	62.3	
ირლანდია	2016	94.9	95.8	94.0	
	2021	96.2	96.6	95.8	
ლატვია	2016	86.0	89.4	82.4	
	2021	82.6	84.1	80.9	
მაკაო	2016	95.0	94.3	95.6	
	2021	94.8	96.1	93.4	
მაროკო	2016	45.9	47.1	44.8	
	2021	52.6	53.1	52.1	
ნიდერლანდები	2016	93.2	94.1	92.2	
	2021	92.7	95.4	89.4	
ჩრდილოეთ ირლანდია	2016	95.5	95.8	95.2	
	2021	95.9	97.3	93.9	
ომანი	2016	46.7	50.5	43.0	
	2021	52.6	56.6	48.4	
პოლონეთი	2016	91.9	93.4	90.3	
	2021	90.7	90.9	90.6	
ამერიკის შეერთებული შტატები	2016	91.4	92.4	90.6	
	2021	95.0	94.8	95.3	
საერთაშორისო საშუალო. (20)	2016	82.2	84.6	79.9	საავტორო უფლებები დაცულია IEA-ს მიერ. ამ დავალების გამოყენება დაუშვებელია IEA-ს ნებართვის გარეშე.
	2021	83.4	85.6	81.2	

13. რატომ უთხრა ჯუნმა იმპერატორს: „დიდი ბოდიში“?
- Ⓐ მან შევიბრისას მოიტყუა.
 - Ⓑ მას არ უნდოდა, იმპერატორი გამხდარიყო.
 - Ⓒ მან იფიქრა, რომ იმედი გაუცრუა იმპერატორს.
 - Ⓓ ის მარცვალს ძალიან ხშირად რწყავდა.

სწორი პასუხი: გ

— როგორც თქვენ ბრძანებთ, თქვენო უდიდებულესობავ,
— თქვა ჯუნმა.
— მე ყველაფერი გავაკეთე, რაც კი შემიძლო. თქვენი მარცვალი ყველაზე კარგ მიწაში ჩავთესე, სინოტივეში ვამყოფებდი და ყოველდღე ვაკვირდებოდი. რადგან არ გაიხარა, ახალ მიწაშიც კი გადავრგე. მაგრამ მაინც არ გაიხარა. დიდი ბოდიში.
— ჯუნმა თავი ჩაქინდრა.



საშუალო საფეხურის შესაბამისი კითხვის მომდევნო მაგალითი გულისხმობს, მოსწავლის მხრიდან სწორი დასკვნების გამოტანას. სირთულის თვალსაზრისით, ეს მაგალითი წინა მაგალითის მსგავსად, საშუალო სირთულის დავალებებში გადის, თუმცა როგორც ქართველი, ასევე სხვა ქვეყნების წარმომადგენელი ბავშვები ამ მაგალითების მიხედვით უშუალო დასკვნის გაკეთებას უკეთ ახერხებენ, ვიდრე აზრებისა და ინფორმაციის ინტერპრეტაციასა და ინტეგრირებას.

ილუსტრაცია 8.5. PIRLS 2021-ში მონაწილე ქვეყნების შედეგები მნატურული ტექსტის გააზრებაში საერთაშორისო ნიშნულის დაბალი საფეხურის მიხედვით, იმ ქვეყნებში, რომლებმაც ტესტური დავალება შეასრულეს ფურცელზე.

ქვეყანა	PIRLS წელი	სწორი პასუხი %	გოგობი სწორი პასუხი %	ბიჭები სწორი პასუხი %	მიზანი: კითხვის გამოცდილება
ავსტრალია	2016	49.1	54.9	42.9	პროცესი: აზრებისა და ინფორმაციის ინტერპრეტაცია და ინტეგრირება
	2021	68.7	73.0	64.3	
ავსტრია	2016	59.6	62.9	56.3	აღწერა: განვითარებულ მოვლენებზე დაყრდნობით უნდა ამოიცნოს პერსონაჟის ქმედების საფუძველი
	2021	53.1	57.7	47.7	
აზერბაიჯანი	2016	38.1	40.6	35.7	
	2021	41.1	41.8	40.4	
ბაჰრეინი	2016	28.1	30.9	25.3	
	2021	48.7	54.4	42.0	
ბელგია (ფრანგულენოვანი)	2016	53.5	54.0	53.0	
	2021	58.1	61.9	55.3	
ბულგარეთი	2016	65.2	65.8	64.6	
	2021	69.2	74.3	65.1	
იზრელისი	2016	67.0	70.2	63.8	
	2021	66.5	69.5	63.7	
საფრანგეთი	2016	55.9	58.7	52.8	
	2021	64.1	68.4	60.0	
საქართველო	2016	38.6	43.4	33.7	
	2021	57.8	63.6	52.4	
ჰონგ-კონგი	2016	87.6	87.0	88.0	
